

ედუარდ კოკოითი მოსკოვში მოლაპარაკებებს მართავს

A3



მცხეთის ფესტივალი

A5



"ამერი" ბერლინს ესტუმრება

A6

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 29 ივლისი, 2006 წელი. №169 (1321)

ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

## ამბები

### ფოთში საბიუჯეტო კრიზისია

მიმდინარე წლის ექვსი თვის მონაცემებით, საბიუჯეტო გარღვევამ ფოთში მილიონ 78 ათასი ლარი შეადგინა. ადგილობრივი ხელისუფლება ჯერ კიდევ იმ 6,5 მილიონ ლარს "მისტირის," რომელიც მოგების გადასახადის სახით ცენტრალურ ხაზინაში გადამისამართდა და სიტუაციიდან გამოსავალს ვერ პოულობს.

A2

## სამართალი

### ემზარ კვიციანს ახალი ბრალდება წაუყენეს

გენერალურმა პროკურატურამ კოდორის ხეობის ყოფილ რწმუნებულს ახალი ბრალდება კვლავ დაუსწრებლად წაუყენა.

A4

## სპორტი

### ახალი სეზონი, ძველი სტილი

ხვალ სტარტს აიღებს საქართველოს მე-18 ჩემპიონატი ფეხბურთში უმაღლესი ლიგის კლუბებს შორის. გასული ჩემპიონატის "ჩაგდების" შემდეგ, რომელშიც თბილისის "დინამომ" მესამე ადგილი დაიკავა, ეს დედაქალაქური კლუბი გულშემატკივრების თვალში რეაბილიტაციას დამდეგ ჩემპიონატში და ეროვნული თასის გათამაშებაში გეგმავს.

A6

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 29/07 | 30/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 25 | 31 |
| ბათუმი | 27 | 27 |
| სოხუმი | 29 | 28 |
| ქუთაისი | 30 | 31 |
| გორი | 22 | 26 |
| ონი | 23 | 23 |
| ზუგდიდი | 31 | 31 |
| ახმეტა | 25 | 30 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7650 |
| ევრო | 2.2474 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.2810 |
| რუბლი | 0.0658 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# შიშნარევი ულტიმატუმი თბილისს

დიმიტრი ავალიანი

*როგორც მოსალოდნელი იყო, გადაწყვეტილებას კოდორის ხეობაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განლაგების შესახებ აფხაზური მხრიდან უკიდურესად მწვავე რეაქცია მოჰყვა. სოხუმი თბილისს ულტიმატუმს უყენებს და საბრძოლო მოქმედებების დაწყებით იმუქრება. საქართველო რუსეთმაც გააფრთხილა.*



**"სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ კოდორის ხეობაში ე. წ. მთავრობის განლაგების შემთხვევაში ჩვენ ვთავისუფლდებით ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან ადრე მიღწეულ შეთანხმებებზე და აფხაზეთი მიიღებს ყველა საჭირო ზომას საკუთარი სუვერენიტეტისა და საზოგადოების უსაფრთხოების დასაცავად,"** - ამ სიტყვებით გუშინ მოსახლეობას თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა მიმართა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# თამამი და აბსოლუტურად სწორი ნაბიჯი

## ქართველი ექსპერტების შეფასებები

ვერიკო თევზაძე

*ქართველი ექსპერტების და პოლიტოლოგების უმრავლესობა კოდორში მიმდინარე სპეცოპერაციის პირველ ეტაპს, დღეს არსებული ოფიციალური ინფორმაციის ფარგლებში, დადებითად აფასებს. მათი აზრით, ცენტრალური ხელისუფლების ინიციატივა საქართველოს "ყველაზე სტრატეგიულ ტერიტორიაზე" აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების განთავსების თაობაზე, არაორდინარული, საკმაოდ თამამი და უდავოდ სწორი გადაწყვეტილებაა. პოლიტოლოგთა ერთი ნაწილის აზრით, ამ ეტაპზე არსებული უმთავრესი ამოცანა შემდეგში მდგომარეობს - რამდენად მისაღები იქნება კოდორის მოსახლეობისათვის ახალი პოლიტიკური წესრიგი?*

***არჩილ გეგეშიძე, ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში:***

სპეცოპერაციას, ზოგადად, ასეთ შეფასებას მივცემდი: საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება, აღმოეფხვრა შეიარაღებული ამბოხი, რომლის მიზანს ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდებით დამხობა წარმოადგენდა, აბსოლუტურად სწორი იყო. ჯერჯერობით ოპერაცია საკმაოდ კვალიფიციურად და ეფექტიანად მიმდინარეობს. მხედველობაში მაქვს მინიმალური მსხვერპლი. ძალიან სამწუხაროა ქალბატონის დაღუპვის ფაქტი, მაგრამ, საერთო ჯამში, ოპერაცია მაინც სწრაფად და მინიმალური დანაკარგით მიმდინარეობს. წესრიგი ხეობის დასახლებულ პუნქტებში შედარებით უმტკივნეულოდ აღდგა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# დღეს 24 საათში




# გაერო-ს უშიშროების საბჭომ კოდორის ხეობაში არსებული ვითარება განიხილა

*27 ივლისს გაერო-ს უშიშროების საბჭომ დახურულ სხდომაზე იმსჯელა ბოლო დროს კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენების შესახებ. "24 საათი" დაუკავშირდა გაერო-ში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელს რევაზ ადამიას, რომელმაც ამ სხდომის ცალკეულ დეტალებზე მოგვაწოდა ინფორმაცია.*

**"გაერო-ს უშიშროების საბჭომ კოდორის ხეობაში არსებული ვითარება რუსეთის დელეგაციის ინიციატივით განიხილა. სხდომის დაწყებამდე უშიშროების საბჭოს წევრებს რამდენჯერმე ოფიაციალურად მივაწოდეთ დოკუმენტაცია იმის შესახებ, თუ რაში მდგომარეობს კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენების არსი. მათ, კერძოდ, ეუწყათ, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებულ ზომებს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან არანაირი კავშირი არა აქვს და ჩვეულებრივ ანტიკრიმინალურ ოპერაციას წარმოადგენს.**

**გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომამ ზედმეტი ემოციების გარეშე ჩაიარა. თავად რუსეთის წარმომადგენლებიც კი არ გაღიზიანებულან და აგრესიულად არ მოქცეულან, არ უთქვამთ, გინდა თუ არა, საქართველო შეთანხმებას არღვევსო. სხდომაზე, უბრალოდ, მოისმინეს გაერო-ს სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტის წარმომადგენლის მოხსენება, რომელიც, თავის მხრივ, გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის მიერ მიწოდებულ პატაკს ეყრდნობოდა.**

**გაერო-ს უშიშროების საბჭომ მხოლოდ საკითხის მოსმენა გამართა და რაიმე რეზოლუცია ან სხვა სახის გადაწყვეტილება არ მიუღია. ყველა მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ანტიკრიმინალური ოპერაცია რაც შეიძლება სწრაფად უნდა დასრულდეს, რათა მის გამო კონფლიქტის ზონაში დამატებითი დაძაბულობის კერა არ შეიქმნას,"** - განაცხადა რევაზ ადამიამ "24 საათთან" სატელეფონო საუბარში.

*24 საათი*

# კონკურსი დასრულდა, მოლაპარაკებები გრძელდება

*ღია აკადემიური კონკურსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოთხ ფაკულტეტზე დასრულდა. მასში 1888 კონკურსანტი მონაწილეობდა, რომლებიც ჰუმანიტარულ, მედიცინის, ეკონომიკისა და ბიზნესის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტებზე 574 აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად იბრძოდნენ.*

ეკა ჯანაშია

უნივერსიტეტის პროფესორები სხვებთან ერთად უკვე გახდნენ რისმაგ გორდეზიანი, ელგუჯა ხინთიბიძე, ნობელის პრემიის ლაურეატის, მსოფლიოში ცნობილი ფიზიკოსის მიულერის მოსწავლე ალეკო შენგელია, ფილოსოფოსი და გადაცემა "ინტელექტუალური საუბრების" წამყვანი გია მაჩაბელი, გიორგი ოთხმეზური, რომელიც განათლების სამინისტროს ყველაზე მწვავე კრიტიკით გამოირჩეოდა. ისინი აკადემიურ თანამდებობებს უნივერსიტეტში 2-3 წლის ვადით დაიკავებენ. ვადის გასვლის შემდეგ კი ხელახალი კონკურსის გავლა მოუწევთ. 37 აკადემიური თანამდებობა უნივერსიტეტში ვაკანტური რჩება. ამ თანამდებობებზე კონკურსი უახლოეს მომავალში გამოცხადდება.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გია ხუბუამ კონკურსს წარმატებული უწოდა. შედეგების მიხედვით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თანამდებობას 167 კონკურსანტი დაიკავებს, ვაკანტური რჩება 13 შტატი. სრულიად შეივსო ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე გამოცხადებული 155 ვაკანსია, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 149 კონკურსანტი შეირჩა, ვაკანტურია 10 ადგილი. რაც შეეხება მედიცინის ფაკულტეტს, 80 საკონკურსო ადგილიდან 14 ვაკანტური დარჩა.

გუშინ უნივერსიტეტში კონკურსის შედეგების გასაცნობად გამართულ პრესკონფერენციას კონკურსში მონაწილეთა ნაწილიც ესწრებოდა. მათგან ერთ-ერთმა, დოცენტმა ნანა კვარაცხელიამ განაცხადა, რომ ჩატარებულმა კონკურსმა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე მნიშვნელოვანი მიმართულებები შეაჩერა და დააზარალა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# სამუდამო პატიმრობა ტერაქტის მოწყობისთვის

*გორის რაიონულ სასამართლოში გორის ტერაქტის საქმის სასამართლო განხილვა დასრულდა. განსასჯელებს - გიორგი ზასიევს, გიორგი ვალიშვილს და იოსებ კოჩიევს, მოსამართლე ბონდო ვათიაშვილმა სასჯელის უმაღლესი ზომა - სამუდამოდ თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მათ ბრალად ედებოდათ - ტერაქტის მოწყობა, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა, ნარკოტიკების და იარაღის უკანონოდ შენახვა-რეალიზება.*

თეა თედლიაშვილი
*გორიდან*

მოსამართლე ბონდო ვათიაშვილის გადაწყვეტილება ტერაქტის მოწყობაში ბრალდებულების დამცველებმა და ნათესავებმა სასჯელის ხელოვნურად დამძიმებად მიიჩნიეს და გორის რაიონული სასამართლოს განაჩენის გასაჩივრებას აპირებენ.

გიორგი ვალიშვილის და ქეთინო ვალიშვილი მიიჩნევს, რომ მისი ძმის მიმართ სასამართლომ სასჯელის უმკაცრესი ზომა იმიტომ გამოიყენა, რომ ის ეროვნებით ოსია.

თვითონ ბრალდებული გიორგი ვალიშვილი არ უარყოფს, რომ გორის ტერაქტში მონაწილეობა მიიღო, თავს დამნაშავედ ცნობს და დაზარალებულებს ბოდიშს უხდის. თუმცა, ვალიშვილის დის განცხადებით, მისი ძმა დამნაშავე არ არის და დანაშაულის აღიარება ფიზიკური ზეწოლის შედეგად მოხდა.

**"ჩემი ძმა რომ ვნახე, ველარ ვიცანი, ისე იყო ნაცემი. სამი ნეკნი ჰქონდა ჩამტვრეული. დაჰპირდნენ, - თუ აღიარებ, გამოგიშვებთო",** - ამბობს ქეთინო ვალიშვილი.

იმის შემდეგ, რაც პროკურორმა განსასჯელებისთვის უვადო თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა, განსასჯელის ნათესავები ტერაქტის დამკვეთებზე ალაპარაკდნენ, თუმცა არც ერთი მათგანი დამკვეთთა კონკრეტულ გვარებს არ ასახელებს. ისინი მათ დასახელებას საოლქო სასამართლოში აპირებენ.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ფოთში საბიუჯეტო კრიზისია

*მიმდინარე წლის ექვსი თვის მონაცემებით, საბიუჯეტო გარღვევამ ფოთში მილიონ 78 ათასი ლარი შეადგინა. ადგილობრივი ხელისუფლება ჯერ კიდევ იმ 6,5 მილიონ ლარს "მისტირის," რომელიც მოგების გადასახადის სახით ცენტრალურ ხაზინაში გადამისამართდა და სიტუაციიდან გამოსავალს ვერ პოულობს.*

ქეთინო ჭაკობია
*ფოთიდან*

ქალაქის ხელისუფლება სიტუაციის დარეგულირებას შემოდგომისთვის ვარაუდობს და დეფიციტის მიზეზად საგადასახადო სტრუქტურების არაკოორდინირებულ მუშაობას ასახელებს. **"წლიური გეგმა ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებულია, აღმოჩნდა, რომ საგადასახადო სამსახურებს ყოველთვიური გეგმები არ გააჩნიათ, რაც პრობლემებს გვიქმნის. გვქონდა შეხვედრები სამინისტროს წარმომადგენლებთან და არის დაპირება, რომ წლის ბოლოსთვის ბიუჯეტი შესრულდება. თანხების მობილიზება საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის პრეროგატივაა, ადგილობრივ საგადასახადოსთან არ გვაქვს პრობლემა, რაც დავგეგმეთ, ყველაფერი შემოდის,"** - აცხადებს ფოთის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი გელა ლაგვილავა.

ანალოგიურად მსჯელობს ფოთის საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილე მაია კუტუბიძე და ქუთაისში, მსხვილ გადამხდელთა და ქონების ინსპექციებისკენ უთითებს, თუმცა, როგორც ირკვევა, შეფერხება არც მათი მხრიდანაა გამორიცხული.

**"ადგილობრივი ინსპექცია ფინანსთა სამინისტროს გეგმებს ასრულებს, ქალაქისას კი ვერა. წლის განმავლობაში იგი შემოსავლების შესახებ ინფორმაციასაც ვერ მაწვდის. ფაქტობრივი შემოსავლებით გეგმას ფარავენ,"** - ამბობს საფინანსო სამსახურის უფროსი დავით ჩარტია.

**"საფინანსო სამსახურს ხარჯები შემოსავლების მიხედვით აქვს დაგეგმილი. თუ შემოსავლები არ არის და თანხები ფიზიკურად არ არსებობს, რა უნდა ჩავურიცხო ორგანიზაციას, რომელსაც კონკრეტული სამუშაოს შესრულებისას გარკვეული ვალდებულებები აქვს აღებული? ფინანსთა სამინისტრო პრობლემებზე არ რეაგირებს. შევხვდით მინისტრის მოადგილეს გრიგოლ გობეჯიშვილს, წერილობითაც არაერთხელ მივმართეთ, მაგრამ კვარტალური და ყოველთვიური დაფინანსების გეგმას ვერ გვაძლევენ. სამინისტრო მე მთხოვს 2007 წლის ბიუჯეტის პარამეტრებს და არა თავის დაქვემდებარებულ საგადასახადო დეპარტამენტს. მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ ოფიციალური უარი განმიცხადა ინფორმაციის გაცემაზე, სტატისტიკის სამმართველოც ფოთს არ ექვემდებარება, განსხვავებული ფორმები აქვს და ჩემთვის საჭირო მონაცემებს ვერ მაწვდის. პრობლემა მხოლოდ ფოთის დონეზე ვერ გადაწყდება"**, -აცხადებს ჩარტია.

მიუხედავად იმისა, რომ გასული წლის ბიუჯეტი წლევანდელს 6,5 მილიონი ლარით აღემატებოდა, მისი შესრულებაც ბოლომდე სათუო გახდა. თევზჭერაზე სალიცენზიო მოსაკრებლიდან ნოემბერში შემოსულმა თანხამ დაგეგმილის 98,9%-ით განაღდება განაპირობა. ჩარტიას განმარტებით, ერთბაშად მობილიზებული თანხის გადანაწილება რთულია, მაგრამ აუთვისებელი არ დარჩება, იგი ვალების გასტუმრებას მოხმარდება.

საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებს ხელფასების პრობლემა ჯერ არ შექმნიათ, მაგრამ დაუფინანსებელი რჩება მნიშვნელოვანი ღონისძიებები. განსაკუთრებით სამშენებლო ორგანიზაციები დაზარალდნენ. თუ წინა წლებში მშენებლებს ავანსის სახით ობიექტის ხარჯთაღრიცხვის 30% ერიცხებოდათ, ამჯერად სამუშაოების შესრულება ნისიად უწევთ.

**"საბიუჯეტო კრიზისი მომავალშიც გაგრძელდება, თუ ქალაქს თავისი საგადასახადო ინსპექცია არ ეყოლება, რომელიც პირველ რიგში არა ცენტრის, არამედ ადგილობრივი შემოსავლების მობილიზებით იქნება დაინტერესებული. ახლა პრიორიტეტი ცენტრალური ბიუჯეტის შესრულებას ენიჭება, ადგილობრივი კი ზარალდება,"** - აცხადებს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე თამაზ პაჭკორია.

მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებას მხოლოდ საკრებულოს წევრი, "მემარჯვენე" ირაკლი კაკულია ითხოვს და არგუნდურობის პრინციპზე მიუთითებს. საკრებულო იძულებულია, საბიუჯეტო კრიზისის თაობაზე ინფორმაცია ცნობად მიიღოს, პრობლემის მოსაგვარებელ გზებს ადგილზე ვერავინ ასახელებს და 10-მილიონიანი ბიუჯეტის მქონე ქალაქი იძულებულია, ვალებით იცხოვროს.

# კონკურსი დასრულდა, მოლაპარაკებები გრძელდება

პირველი გვერდიდან

კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ გია ხუბუამ განაცხადა, რომ უნივერსიტეტი არც ერთი ღირებული კადრის დაკარგვას არ აპირებს: **"იმ მეცნიერებს, რომლებიც კონკურსში ვერ გავიდნენ, ან სხვადასხვა მიზეზების გამო კონკურსში მონაწილეობა ვერ მიიღეს, არ უნდა დარჩეთ უპერსპექტივობის განცდა".**

თსუ-ს ადმინისტრაცია აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის დასრულების შემდეგ აკადემიური თანამშრომლების შერჩევის მეორე ეტაპს იწყებს. დაგეგმილია თანამშრომლების მოწვევა სხვადასხვა სახის კონტრაქტის საფუძველზე. ხუბუას თქმით, კონტრაქტები რამდენიმეწლიანი იქნება და ანაზღაურების ოდენობა თანამშრომლის აკადემიური დონისა და გამოცდილების მიხედვით განისაზღვრება.

კონტრაქტით მოსაწვევ თანამშრომელთა შერჩევა მომავალი კვირიდან დაიწყება. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იმ მეცნიერებსაც, რომელთაც კონკურსში მონაწილეობა არ მიუღიათ. საკონკურსო კომისიებმა სავარაუდო კონკურსანტების სია, ვინც უნივერსიტეტთან კონტრაქტის საფუძველზე ითანამშრომლებს, უკვე წარმოადგინეს. მათი რაოდენობა სასწავლო პროგრამების შესაბამისად იქნება განსაზღვრული. შერჩევის დროს საკონკურსო კომისიების გარდა დეკანატებისა და თანამდებობებზე ახლადარჩეული პროფესურის აზრსაც გაითვალისწინებენ. ამ პროცესში პრიორიტეტული ახალგაზრდა, პერსპექტიული მეცნიერების უნივერსიტეტში მოზიდვა იქნება, რაც უნივერსიტეტის ასაკობრივ სტრუქტურაზე დადებითად აისახება.



*კონკურსის დასრულების მიუხედავად, უნივერსიტეტის წინ აქციები გრძელდება.*

როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, ისინი უყურადღებოდ არ დატოვებენ იმ ღვაწლმოსილ, ხანდაზმულ თანამშრომლებსაც, რომლებიც კონკურსში ვერ გავიდნენ, მაგრამ თავიანთი ცხოვრებით და მოღვაწეობით მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს პირველი ქართული უნივერსიტეტის განვითარებაში. **"ხელმძღვანელობა მათ უნივერსიტეტში მუშაობის საშუალებას სხვადასხვა ფორმით მისცემს. გარდა ამისა, მათ მიმართ სოციალური დახმარებისა და ჯანმრთელობის დაზღვევის ეფექტური ღონისძიებები განხორციელდება,"** - ნათქვამია თსუ-ის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

კონკურსში ვერ გაიმარჯვა უახლესი ლიტერატურის კათედრის გამგე რევაზ მიშველაძემ, იგი ახალ საუნივერსიტეტო საზოგადოებაში ვერ მოხვდა.

როგორც ხუბუამ აღნიშნა, შერჩეულ თანამშრომელთა შორის მოხვდნენ ის პროფესორ-მასწავლებლებიც, რომლებიც უნივერსიტეტის რეფორმის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. მისი თქმით, **"ეს იმაზე მეტყველებს, რომ საკონკურსო კომისია მუშაობდა ობიექტურად და კონკურსანტის შეხედულებებს მის კონკურსში მონაწილეობაზე გავლენა არ მოუხდენია".**

"24 საათთან" საუბარში უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გია ხუბუამ განაცხადა, რომ ადმინისტრაცია აწარმოებს მოლაპარაკებას ამბოხებულ პროფესურასთან და რადენიმე მათგანი თანახმაა, ვაკანტურად დარჩენილ აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მიიღოს მონაწილეობა. რაც შეეხება ჯემალ მებონიასა და თენგიზ სანაძეს, მათ, ხუბუას თქმით, უნივერსიტეტთან თანამშრომლობის არანაირი სურვილი არ გამოუმჟღავნებიათ. ადმინისტრაცია ძალაში ტოვებს ყველა პირობას, რაც გრივერ ფარულავას უნივერსიტეტში დასარჩენად შესთავაზეს.

# ალავერდის მეორე სიცოცხლე

ალავერდის სამონასტრო კომპლექსში მასშტაბური სარესტავრაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს. ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობს კახეთის სამხარეო ადმინისტრაცია და სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი.

ამჟამად, აღდგენილი და განახლებულია ძველი გალავანი და ქონგურები, დასასრულს უახლოვდება საეპისკოპოსო სახლის, სენაკებისა და სატრაპეზო დიდი დარბაზის შეკეთება. ძველი იერსახე უბრუნდება მონასტრის ეზოს და მის შემოგარენს. დაგეგმილია ფეიქარ-ხანის XVII საუკუნის სასახლის და შუა საუკუნეების II ნახევარში აგებული აბანოს აღდგენა.

კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს ეკლესიის ხუროთმოძღვრების, რესტავრაციისა და ხელოვნების ცენტრისა და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს შეთანხმებით მიმდინარეობს ალავერდის მონასტრის ისტორიული მარნის აღდგენა. 2006 წლის ოქტომბრისთვის მონასტრის ძველი მარანი აღდგება და იქ დაიწურება უნიკალური საბარძიმე და ტრადიციული თეთრი ღვინოები.

მონასტრის მამები უსასყიდლოდ დაამზადებენ და ჩამოასხამენ ექსკლუზიურ ღვინოს.

მარნის მშენებლობაში ალავერდის მონასტერს ეხმარება ღვინის მწარმოებელი კომპანია "ბადაგონი".

წელს, ოთხმოცწლიანი დუმილის შემდეგ, ალავერდის სამრეკლოდან ისევ გაისმა ზარების ხმა. სამი დიდი ზარი მონასტერს სწორედ ამ კომპანიამ შესწირა.

ალავერდის წმიდა გიორგის მამათა მონასტრის წინამძღვრის აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის ინფორმაციით, ალავერდის მონასტრის ტერიტორიაზე სამმხრივი (საქართველოს ეკლესია, კულტურის სამინისტრო და არქეოლოგიის ცენტრი) შეთანხმებით მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების დროს, აღმოჩენილია მე-XVIII საუკუნის ქვევრები, რომელიც 50 ტონამდე ღვინოს იტევდა. ქვევრების ნაწილი შესაბამისი შესწავლა-დამუშავების შემდეგ დაკონსერვდა და მარნის პერიმეტრშივე მიწით დაიფარა, ხოლო ნაწილი დაზიანებული ქვევრებისა მომავალში მონასტრის მუზეუმის ექსპოზიციაში გამოიფინება.

*მედიანიუსი*

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე
დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
საქართველოს რეგიონებში 12თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)
დროის წამობრივი აღრიცხვა
აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი
8-100
ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# დევნილებმა სასამართლო პროცესი წააგეს

ბათუმის საქალაქო სასამართლომ დევნილთა ერთი ჯგუფის სარჩელი არ დააკმაყოფილა. ისინი ხელისუფლებისაგან არასწორად შედგენილი "საოჯახო კოდების" გაუქმებასა და დოკუმენტებში ფაქტობრივად არსებული ოჯახების დაფიქსირებას მოითხოვენ. დევნილთა 130-მდე ოჯახს ხელშეკრულებაზე ხელი დღემდე არ მოუწერია და კომპენსაცია არ აუღია. დევნილთა ადვოკატის, ალექსანდრე ბერაიას განცხადებით აჭარის მთავრობის მიერ შედგენილ დევნილთა ოჯახებში ბევრგან უზუსტობებია: "აჭარის მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ ბრძანებაში მითითებულ ოჯახს კანონით დადგენილ ოჯახთან კავშირი არა აქვს. ამ ბრძანებით "ოჯახში" მოიაზრება ჯანდაცვის სამინისტროში დევნილთა საოჯახო ნომრები. აქ კი ოჯახში ისეთი პირები არიან შეყვანილები, რომლებსაც ფაქტობრივად ნათესაური ურთიერთობაც არა აქვთ ერთმანეთთან და ოჯახის იურუდიულ გაგებას ეწინააღმდეგება".

ბერაიას თქმით, აჭარის მთავრობამ დევნილთა ოჯახების სია იმ წესით არ წარადგინა, როგორც ეს თბილისში მოხდა: "თუ რატომ გაკეთდა ეს ასე, ამაზე აჭარის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა ვერნაირი განმარტება სასამართლოზე ვერ გააკეთეს. მიუხედავად ამისა, ბათუმის სასამართლომ სარჩელი მაინც არ დაგვიკმაყოფილა. თუ რა მოტივით, ჩვენთვის ჯერ უცნობია, რადგან განაჩენი არ ჩაგვბარებია".

დევნილები განაჩენის ჩაბარების მომენტისთანავე მის გასაჩივრებას აპირებენ. ***24 საათი***

# "კონფლიქტის ზონაში სიმშვიდეა"

შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი მარატ კულახმეტოვი კატეგორიულად უარყოფს სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, სამხრეთ ოსეთის შსს-ს საგუშაგოს დაცხრილვის შესახებ. მისი თქმით, დაცხრილვის ფაქტი არ დაფიქსირებულა.

"კონფლიქტის ზონაში მშვიდი ვითარებაა", - აცხადებს კულახმეტოვი.

შეგახსენებთ, რომ სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ გუშინ, დაახლოებით 11:20 საათზე დაიცხრილა სამხრეთ ოსეთის შსს-ს საგუშაგო "მამისანტი".

"რამდენიმე გასროლა "მამისანტის" მიმართულებით, ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მიმავალი УАЗ-ის ტიპის ავტომობილიდან, განხორციელდა. მსხვერპლი არ არის", - ნათქვამია სამხრეთ ოსეთის შსს-ს პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ცნობაში. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მოკლედ

### კოდორში საავტომობილო გზის აღდგენა მიმდინარეობს

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი მიმდინარე წელს კოდორის ხეობაში გეგმურ სამუშაოებს ახორციელებს. დეპარტამენტის ცნობით, ამჟამად მიმდინარეობს ჭუბერი-საკენის საავტომობილო გზის 15-20 კმ-ებზე გზის სავალი ნაწილის აღდგენა-ფიცარნაგების მოწყობით. ამ სამუშაოების დასრულება დაგეგმილია აგვისტოში. ასევე, აგვისტოსთვის, დასრულდება ამავე გზის 26-36 კმ-ებზე დროებითი მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები.

ჭუბერი-სენაკის საავტომობილო გზის 39-ე კმ-ზე და მაჭარა-სამხრეთ თავშესაფრის ს/გზის 89-ე კმ-ზე გათვალისწინებულია ხიდების რეაბილიტაცია;

მაჭარა-სამხრეთ თავშესაფრის ს/გზის 65, 67 კმ-ებზე გათვალისწინებულია შევიწროებული გზის ბურღვააფეთქებით გაფართოება. ასევე, ამავე გზის 71-ე კმ-ზე (ჩხალთა) ჩატარდება მიწის ვაკისის გასაფართოებელი და გასამაგრებელი სამუშაოები ხის მორების ფენილის მოწყობით, ხოლო 71-73 კმ-ებზე აღდგება ხიდების სავალი ნაწილი;

წელსვე, დაგეგმილია კოდორის ხეობის ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ჩხალთა-პტიშის მე-3 კმ-ზე მიწის ვაკისის გაფართოება, ხოლო აჟარა-ბრამბას საავტომობილო გზის 1-ელ კმ-ზე ხიდის სავალი ნაწილის აღდგენა. ომარიშარა-გვანდრას ს/გზაზე სტიქიისაგან დაზიანებული მიწის ვაკისის და მდ. კლიჩზე ხიდის აღდგენა.

აღნიშნული სამუშაოების განსახორციელებლად წელს სახელმწიფო ბიუჯეტში 1 100 000 ლარია გათვალისწინებული. დამატებითი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. **ჯი-ეიჩ-ენი**

### "კოდორის ხეობის აღორძინებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს"

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ მთავრობის სხდომაზე მთავრობის წევრებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს კოდორის ხეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის შესაბამისი საკითხების მომზადება დაავალა. საქართველოს პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ ამ კუთხის აღორძინება უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

"ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ კუთხის სოციალურ-ეკონომიკურ აღორძინებას", - განაცხადა მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

ნოღაიდელის თქმით, უკვე დაწყებულია შესაბამისი სამუშაოები ინფრასტრუქტურის აღდგენის თვალსაზრისით. ხეობაში შესაბამისი სამსახურების მიერ გაგზავნილია სპეციალისტები საპროექტო სამუშაოების ჩასატარებლად. გუშინ ხეობაში ჩაიტანეს ჰუმანიტარული ტვირთი, რომელიც მოსახლეობას დაურიგდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### რუსული გაზი ყველას არ ეყოფა?

გაზრდილი მოთხოვნა ბუნებრივ აირზე, შესაძლოა, რუსულმა კომპანია "გაზპრომმა" ვერ დააკმაყოფილოს. "გაზპრომის" შვილობილმა კომპანიამ "მიიგაზეკონომიკამ" გამოაქვეყნა მოხსენება, რომელიც რეკომენდაციას აძლევს "გაზპრომს", რუსული გაზის ინდუსტრიის სტრატეგია შეცვალოს.

ამ დოკუმენტის თანახმად, რუსეთმა უნდა შეამციროს გაზის ექსპორტი ევროპულ ბაზრებზე და ყურადღება გაამახვილოს გაზის მოპოვებაზე, რათა შიდა ბაზრის დაკმაყოფილება უზრუნველყოს.

ამ მოხსენების თანახმად, ბუნებრივი აირის მოხმარება იმდენად იზრდება, რომ ამის გათვალისწინება გაზპრომს ადრე არ შეეძლო.

თუკი ასეთი ტენდენცია გაგრძელდა, შესაძლოა, სერიოზული პრობლემები შეექმნას დსთ-ს ბაზრების მომარაგებას ბუნებრივი აირით.

ასევე, პრობლემები შექმნება აზიისა და წყნარი ოკეანის ასევე ევროპული რეგიონების მომარაგებაში.

ევროპის მოთხოვნა, გაზპრომს გზა დაეთმო ბუნებრივი აირის დამოუკიდებელი მომპოვებელი კომპანიებისთვის, არ იქნა დაკმაყოფილებული. პირიქით, სახელმწიფო სათათბირომ გაამყარა გაზპრომის მონოპოლია ექსპორტზე.

მოხსენების ავტორები რეკომენდაციას იძლევიან, რომ რუსეთის მთავრობამ გაზარდოს ბუნებრივი აირის მოპოვება და შეამციროს ექსპორტი ევროპულ ბაზრებზე. **ჯი-ეიჩ-ენი**

### "ალ-ქაიდა" შურისძიებისთვის ეზადება

აიმან ალ-ზავახირი, ტერორისტული დაჯგუფება "ალ-ქაიდას" წევრი, "ტერორისტი ნომერი 2", ამერიკასა და ისრაელს ტერაქტების სერიალით ემუქრება. ტერორისტის ეს განცხადება გახდა პირველი რეაქცია ლიბანში საომარი მოქმედებების მიმდინარეობაზე. აიმან ალ-ზავახირი აცხადებს, რომ "ალქაიდა" არ დატოვებს "უყურადღებოდ" ისრაელის დედაქალაქში მიმდინარე ამბებს და მუსულმანებს მოუწოდებს, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლონ, სიონისტებისა და ქრისტიანების წინააღმდეგ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### მოლდოვა ღვინის ემბარგოსგან გამოწვეულ დანაკარგებზე საუბრობს

რუსეთში ღვინის ექსპორტის აკრძალვის გამო მოლდოვას ეკონომიკურმა დანაკარგებმა 21 მილიონი დოლარი შეადგინა. ამის შესახებ რესპუბლიკის პრემიერ- მინისტრმა ვასილი ტარლევმა განაცხადა. მისი თქმით, ხელისუფლება აქტიურად მუშაობს ღვინის ბაზრების დივერსიფიკაციისთვის, რის გამოც მინისტრთა კაბინეტში საგანგებო კომისია ჩამოყალიბდა.

კომისია თითოეული ქვეყნის ბაზარს ინდივიდუალურად განიხილავს.

პრემიერის ინფორმაციით, მოლდოვა 5 ათას ჰექტარზე ყურძნის ახალი პლანტაციების გაშენებასაც გეგმავს.

ტარლევი მიიჩნევს, რომ ღვინის ემბარგოს მიზეზები დნესტრისპირეთს უკავშირდება და პროდუქციის უხარისხობის შესახებ ინფორმაცია სიცრუეა. **ჯი-ეიჩ-ენი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# შიშნარევი ულტიმატუმი თბილისს

პირველი გვერდიდან

მან ქართული მხარე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოსკოვის 1994 წლის შეთანხმების უხეშ დარღვევაში დაადანაშაულა. ბაგაფშის თქმით, კოდორის ხეობაში განხორციელებული საპოლიციო ოპერაცია სინამდვილეში მსხვილმასშტაბიანი სამხედრო აქციაა, რომელიც მიზნად სტრატეგიული პლაცდარმის დაკავებას ისახავს.

**"საპასუხო ზომები მკაცრი იქნება. ეს აფხაზეთის ტერიტორიაა და ჩვენ საქართველოს ხელისუფლების თვითნებობას დიდხანს ვერ მოვითმენთ. ჩვენ იძულებულნი ვართ, საქართველოს ხელისუფლება გავაფრთხილოთ იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მხოლოდ ოფიციალურ თბილისს ეკისრება დაუფიქრებელი, ძალზე საშიში ქმედებებისთვის,"** - განაცხადა ბაგაფშმა.

იგი საქართველოს "დევნილთა ახალი ნაკადებით" და ახალი მსხვერპლით დაემუქრა. მისი თქმით, ბრძოლაში ჩასაბმელად უკვე მზად არიან აფხაზურ-ჩერქეზული დიასპორის წარმომადგენლები და "ჩრდილოკავკასიელი ძმები". **"ჩვენ ძლივს ვახერხებთ აფხაზი რეზერვისტების შეკავებას,"** - ხატოვნად აღწერს სიტუაციას დე-ფაქტო პრეზიდენტი.

აფხაზური მხარე კატეგორიულად ითხოვს კონფლიქტის მოწესრიგებაში მონაწილე ყველა მხარისაგან, მკაფიო შეფასება მისცენ საქართველოს ქმედებებს.

**"ყველამ უნდა გაიგოს აფხაზეთის მკვეთრი პოზიცია - საქართველოსთან მოლაპარაკების ორმხრივ ფორმატში მონაწილეობას არ მივიღებთ. საქართველოს საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკური კონსულტანტები მწარედ ცდებიან, თუ ფიქრობენ, რომ კოდორის ოპერაცია მოლაპარაკებებზე თბილისის პოზიციას გაამყარებს. ეს დამღუპველი ილუზიებია, რომლებიც მათ სრულ კრახამდე მიიყვანს - როგორც სამხედრო-პოლიტიკურ, ასევე საქართველოს მონაწილეობით ეკონომიკური პროექტების კუთხით,"** - აცხადებს ბაგაფში.

ბაგაფშთან საგანგებოდ გამართულ თათბირზე გადაწყდა, რომ კოდორის ხეობის მოსახლეობისადმი სპეციალური მიმართვა შემუშავდება. **"მოსახლეობას ჩვენი მოქმედებების შესახებ გავაფრთხილებთ, რათა თავიდან ავიცილოთ მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში,"** - განაცხადა სოხუმის დე ფაქტო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ.

გალის რაიონის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა რუსლან ქიშმარიამ გუშინ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ენგურის შესართავთან საქართველოს საზღვაო ძალების სამი ხომალდია განლაგებული. მისი ინფორმაციით, სენაკის სამხედრო ბაზაზე 4 ათასი სამხედროა თავმოყრილი. იქვე განლაგებულია ცხრა სამხედრო ვერტმფრენი, მათ შორის ორი "მი-24", ორი "მი-8" და "იროკეზები".

მანვე განაცხადა, რომ ზუგდიდის რაიონის მიმართულებით საქართველოს ცენტრალური რაიონებიდან ათასი სამხედროსგან შემდგარი კოლონა დაიძრა. ზუგდიდში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოცდაათკაციანი სპეციალური დანიშნულების რაზმია განლაგებული.

**"ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემების ძალისმიერი გზით გადაწყვეტას ცდილობს,"** - განაცხადა გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა. **"ვფიქრობ, ამ პრობლემების ძალით გადაწყვეტის შანსები არ არსებობს,"** - აღნიშნა ლავროვმა.

ლავროვის გაცხადებას მისი ქართველი კოლეგა გამოეხმაურა. **"ჩვენს რუს მეგობრებს არა აქვთ მორალური უფლება, ჭკუა გვასწავლონ, თუ როგორ უნდა გადავწყვიტოთ ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა,"** - განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა.

მისი აზრით, ყველამ კარგად იცის, თუ რა მეთოდებით წყვეტდნენ და წყვეტენ რუსები ტერიტორიულ პრობლემებს თავიანთ ქვეყანაში. **"სწორედ ამიტომ არ აქვთ მათ უფლება, გვასწავლონ, თუ რა უნდა გავაკეთოთ ჩვენს ტერიტორიაზე სამართლიანობის აღდგენის მიზნით,"** - განაცხადა საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

ბეჟუაშვილის თქმით, **"ყველას კარგად ესმის, თუ რას აკეთებს საქართველოს ხელისუფლება კოდორის ხეობაში - რომ ეს არის ანტიკრიმინალური ოპერაცია. კრიმინალებთან ბრძოლა საქართველოს ნებისმიერ კუთხეში იქნება. გამოვიყენებთ ყველა იმ მეთოდს, რისი გამოყენების უფლებაც ნებისმიერ სუვერენულ ქვეყანას აქვს."**

გალის რაიონში გუშინ დაგეგმილი ოთხმხრივი შეხვედრა დსთის სამშვიდობო ძალების სარდლობის, გაერო-ს მისიის, ასევე აფხაზური და ქართული მხარეების მონაწილეობით, აფხაზური მხარის პროტესტის გამო ჩაიშალა. სერგეი ბაგაფშის განცხადებით, **"საქართველომ განგებ ჩართო საკუთარ დელეგაციაში ადამიანები ე.წ. აფხაზეთის ავტონომიური ხელისუფლებიდან, რომლებიც 1992-1993 წლებში აფხაზი ხალხის წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობდნენ".**

**"სამხედრო მოქმედებების დამწყები აფხაზები არ არიან - ეს პანიკაა, რაც ადასტურებს, რომ გადაწყვეტილება სწორად იქნა მიღებული,"**- განაცხადა გუშინ საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე გაბაშვილმა.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გივი თარგამაძის განცხადებით, მუქარის განხორციელების მცდელობის შემთხვევაში, აფხაზური მხარე **"გამანადგურებელ დარტყმას მიიღებს"**.



*კოდორის ხეობაში ცენტრალური ხელისუფლება სრულად აკონტროლებს ვითარებას.*

# ედუარდ კოკოითი მოსკოვში მოლაპარაკებებს მართავს

მოსკოვში "სამხრეთ ოსეთის" ლიდერი ედუარდ კოკოითი იმყოფება, რომელმაც გავრცელებული ინფორმაციით, რეგიონულ თანამშრომლობასთან დაკავშირებით რუსულ მხარესთან მოლაპარაკებები უნდა გამართოს.

კოკოითმა გუშინ დილით გამართა შეხვედრა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მოგვიანებით კი ის ტელეარხ "ვესტი 24"-ის პირდაპირ ეთერში გამოვიდა.

თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის განცხადებით, აფხაზეთის მიერ მოლაპარაკებების პროცესიდან გამოსვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, "სამხრეთ ოსეთიც აფხაზეთის მაგალითს მიბაძავს".

კოკოითის თქმით, საქართველომ უნდა შეწყვიტოს პროვოკაციების მოწყობა აფხაზეთის წინააღმდეგ და დაუბრუნდეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 1994 წლის 14 მაისს მოსკოვში ხელმოწერილ შეთანხმებას.

**"იმაში, რომ ქართული მხარე ომისთვის ემზადება, არაფერია ახალი, ეს პრეზიდენტ სააკაშვილის პათოლოგიის გამოვლინებაა, რომელსაც არაერთხელ განუცხადებია უარი პირდაპირ კონტაქტზე",** - აღნიშნავს კოკოითი და საქართველოს პრეზიდენტს ბრალს სდებს აფხაზეთისა და "სამხრეთ ოსეთის" წინააღმდეგ აგრესიული პოლიტიკის წარმოებაში.

მისი თქმით, ამის ერთ-ერთი დადასტურებაა სააკაშვილის განცხადება აფხაზეთის "მარიონეტული ხელისუფლების" კოდორის ხეობაში გადაყვანის შესახებ.

"ვესტი 24"-ის ეთერში დეფაქტო პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საქართველოსთან მოლაპარაკებების წარმოებაზე დათანხმდება მხოლოდ ერთი პირობით - თუ ეს მოლაპარაკებები "საერთაშორისო დონეზე გაიმართება".

მისი თქმით, ქართველ და ოს ხალხს ერთმანეთში გასაყოფი არაფერი აქვთ.

საქართველო, კოკოითის თქმით, თავადაა საერთაშორისო ტერორიზმის ბუდე, "რადგანაც ქართული სპეცდანიშნულების რაზმის შემადგენლობაში კოდორის ხეობაში ომობენ ეროვნებით არაქართველი, დაქირავებული მოქალაქეები".

ედუარდ კოკოითი რუსეთის დედაქალაქში კიდევ რამდენიმე დღეს დაჰყოფს. იგი მოსკოვში რეგიონის ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას გეგმავს.

*ინტერპრესნიუსი*

# კიდევ ერთი ნაბიჯი ნატო-სკენ

საქართველოს ხელისუფლებამ, კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ნატოში ინტეგრაციისკენ. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა, დღეს, მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მისი თქმით ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მისი ბრიუსელში ვიზიტი და ის შეხვედრები, რომელიც ნატოს შტაბ-ბინაში გაიმართა.

"მე არ მინდა ვადებით სპეკულირება, თუმცა მინდა აღვნიშნო, ძალიან მალე საქართველოს ნატოში ინტეგრაცია, შეუქცევადი პროცესი იქნება," - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა. მისი თქმით, შემდეგი ნაბიჯი იქნება ის, რომ დაიწყება ინტენსიური დიალოგი ნატოსთან, ეს კი ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკურ და დემოკრატიულ განვითარებასთან ერთად საქართველოს უსაფრთხოებას.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბრიუსელში, ნატო-ს შტაბბინაში 25-26 ივლისს იმყოფებოდა.

*ინტერპრესნიუსი*

# თამამი და აბსოლუტურად სწორი ნაბიჯი

პირველი გვერდიდან

რასაკვირველია, ოპერაცია ბოლომდე უნდა მივიდეს. სასურველია, რომ მეორე ეტაპიც უმსხვერპლოდ დასრულდეს. მნიშვნელობა არ აქვს, როგორი კვალიფიკაცია მიენიჭება ტყეში გახიზნულ ხალხს, რად იწოდებიან ისინი - კრიმინალებად თუ მოღალატეებად, სამართალდამცავებმა პროფესიონალიზმი უნდა გამოიჩინონ. სურვილი მაქვს, მსხვერპლი ნულის ტოლი იყოს, თუმცა, მსხვერპლი გამორიცხული არ არის.

ჩვენ ჯერჯერობით ხეობიდან გამოსული არანაირი ინფორმაცია არ გვაქვს იმის შესახებ, სპეცოპერაციის მიმდინარეობისას რამდენად იყო დაცული აუცილებელი ნორმები და სტანდარტები. სასურველი იქნება, თუ ოპერაციის დასრულების შემდეგ საზოგადოება ამ ოპერაციის მსვლელობის შესწავლას მოითხოვს. ამით, შესაძლოა, რაღაც-რაღაცეები გაირკვეს. იმედი მაქვს (თუმცა, დარწმუნებული არ ვარ), რომ იქ სერიოზული დარღვევები არ შეინიშნებოდა.

აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის კოდორის ხეობაში გადაყვანა ბევრისთვის მოულოდნელი, საკმაოდ თამამი და სტრატეგიულად სწორი გადაწყვეტილებაა. მართალია, მისი განხორციელება გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ამ რისკების გონივრული მართვის, ამ გადაწყვეტილების სათანადო პოლიტიკური და დიპლომატიური უზრუნველყოფის შემთხვევაში, შესაძლოა, პრობლემა წარმატებით მოგვარდეს.

აფხაზურ მხარეს ეს გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, არ მოეწონა და ღია აგრესიულ ქმედებად შეაფასა. აფხაზები იმუქრებიან კიდეც, მაგრამ, ჩემი აზრით, არასასურველ შედეგებს არ უნდა ველოდოთ. ეს არის საქართველოს ხელისუფლების ლეგიტიმური გადაწყვეტილება. ვფიქრობ, საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის სათანადოდ შემზადების პირობებში, ყველა რისკი, რაც ამ გადაწყვეტილებასთან არის დაკავშირებული, მოიხსნება.

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების კოდორის ხეობაში გადასვლა თვითმიზანი არ უნდა იყოს. მათ რეალურად უნდა აკეთონ საქმე, კოდორის ხეობაში არსებული პრობლემების გადაჭრა უნდა შეძლონ. ასევე უნდა იზრუნონ საქართველოს დანარჩენ ნაწილში მცხოვრებ დევნილებზეც.

კოდორში მყოფი აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება უწინდელზე მეტად ეფექტური უნდა იყოს.

**დავით დარჩიაშვილი,**
***პოლიტოლოგი:***

ამ ეტაპზე შემიძლია, ზოგადი პოლიტიკური შეფასება გავაკეთო. შეფასება დადებითია. ოპერაცია აუცილებელი იყო. დანაშაული, რომელიც კვიციანმა ჩაიდინა, მოითხოვდა სწრაფ, ადეკვატურ და რადიკალურ რეაგირებას. ეს რეაგირება მოხდა. დეტალებზე ვერ ვისაუბრებ, რადგან საამისო ინფორმაცია არ გამაჩნია, თანაც ვერც იმაზე დავდებ თავს, რომ ოპერაციის შესრულების ხარისხის შემფასებელი ექსპერტი ვარ.

ძალიან სამწუხაროა, რომ ოპერაციის დროს ქალბატონი დაიღუპა. საჭიროა გამოძიების ჩატარება და დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, მსხვერპლის თავიდან აცილება შეიძლებოდა თუ ეს გარდაუვალი იყო.

სამწუხაროდ, ამგვარი ოპერაციებისთვის მსხვერპლი უცხო არ არის. ნამდვილად არსებობდა იმის საშიშროება, რომ მსხვერპლი გაცილებით მეტი ყოფილიყო და მოვლენები უფრო დრამატულად განვითარებულიყო. ჩემი აზრით, მინიმალური ტრაგიკული შედეგებით საქმის მაქსიმუმს მივაღწიეთ.

მართალი გითხრათ, კოდორში აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების განთავსების ინიციატივა ორიგინალურ და გაბედულ გადაწყვეტილებად მიმაჩნია. ეს ქართულ-აფხაზური ურთიერთობის პრობლემას სრულიად ახალ რაკურსში აყენებს. ეს პოლიტიკური თვალსაზრისით ძალზე ორიგინალური სვლაა.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში გადამწყვეტი არის მხარეების პოზიციები, ამ პოზიციების სიმყარე, არგუმენტების სიმყარე და გარკვეული მატერიალური შესაძლებლობები, რაც მათ უკან დგას. სასურველია, რომ ეს პროცესი მთლიანად ნდობის მშენებლობაზე იყოს ორიენტირებული, მაგრამ არსებულ ვითარებაში ეს ვერ ხორციელდება.

ახლა ქართულ ხელისუფლებას მოლაპარაკებებისათვის გაუმჯობესებული პოზიციები ექნება. კოდორი აფხაზეთის განუყოფელი ნაწილია. როგორც სოხუმში ზის აფხაზებისთვის სასურველი, ასე ვთქვათ, მთავრობის ერთი ნაწილი, ასევე მეორე ნაწილსაც აქვს უფლება, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდეს. ეს არანაირად არ ნიშნავს პროცესის მშვიდობიანი ხასიათის უგულებელყოფას და იარაღის ძალაზე გადასვლას.

კოდორის ხეობა აქამდე მხოლოდ ფორმალურად იყო თბილისის ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის ქვეშ. დღეს უკვე ფაქტობრივად არის. ამას არ ეწინააღმდეგება არანაირი საერთაშორისო პირობა, რომელიც ამ პროცესში არსებობდა.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე რა განხორციელდება, ეს ამ ხელისუფლების საქმეა. ყველაზე ადეკვატური და ლოგიკური გადაწყვეტილება იყო აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლეობის იმ ნაწილის წარმომადგენლობის შექმნა, რომელიც სრულ უთანხმოებაშია სოხუმის ხელისუფლებასთან. ეს უზომოდ აღიზიანებთ აფხაზებს. ამაში ისინი ვითარების სერიოზულ ცვლას ხედავენ, მაგრამ ეს ცვლა ობიექტური და გამართლებულია.

**გია ნოდია,**
***პოლიტოლოგი:***

პირადად მე მხოლოდ ოფიციალური წყაროებით მოწოდებული შეზღუდული ინფორმაცია მაქვს. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შემიძლია ვთქვა, რომ ოპერაცია ჯერჯერობით საკმაოდ წარმატებულია. ოპერაციის პირველი ეტაპის შედეგი ასეთია - კონტროლი კოდორის ხეობაზე მინიმალური მსხვერპლით დამყარდა.

არსებობს მეორე მნიშვნელოვანი საკითხი - ასე ვთქვათ, მორალური გამარჯვებისა. ოპერაციის შემდეგ ადგილობრივ მოსახლეობას ხელისუფლებისადმი მტრული განწყობა არ უნდა შეექმნას. ანუ ამ ეტაპის უმთავრესი პრობლემაა, თავად კოდორის მოსახლეობა რამდენად ლეგიტიმურად ჩათვლის სპეცოპერაციის შედეგებს. იმედი მაქვს, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდება.

რაც შეეხება კოდორში ლეგიტიმური მთავრობის გადაყვანას, სამართლებრივად და სიმბოლურად სრულიად გასაგები ნაბიჯია. მიუხედავად ამისა, მთავარი ისევ ის საკითხი გახლავთ, რომლის შესახებაც უკვე მოგახსენეთ - კოდორის მოსახლეობისთვის რამდენად იქნება ეს სიახლე მისაღები, რამდენად ეფექტურად შეძლებს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება კოდორში თავისი უფლებამოსილების განხორციელებას?

ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ გასულ წლებში კოდორის მოსახლეობასა და მის ლეგიტიმურ ხელისუფლებას შორის დაძაბული ურთიერთობა შეიქმნა. შეიძლება ეს იყო ადრე, ახლა კი სხვა დროსთან და სხვა ხალხთან გვაქვს საქმე, - ყველაფერი ეს მალე გამოჩნდება. მთავარია, კოდორის ხეობის მოსახლეობისთვის ახალი კონტროლის რეჟიმი მისაღები იყოს.

კოდორში უსაფრთხოების პრობლემები მხოლოდ იმ შემთხვევაში გაჩნდება, თუ იქაური მოსახლეობისთვის ახალი პოლიტიკური სიტუაცია მისაღები არ იქნება. აფხაზებისგან საფრთხე, ზოგადად, არსებობს, მაგრამ აფხაზებმა ამ ხეობას ვერაფერი დააკლეს. პრობლემა არსებობდა თვითონ ხეობის შიგნით.


**Georgian National airlines**

CLUB Class -
როცა კომფორტი მნიშვნელოვანია

საქართველოს ნაციონალური ავიახაზები

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცენდენტო **CLUB Class** სერვისს.

რას ნიშნავს იფრინოთ **CLUB Class**-ით ეს არის, საუკეთესო მომსახურება, გაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ. კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.

ავიაკომპანია ,,საქართველოს ნაციონალური ავიახაზების,, ყველა რეგულარული რეისი შესრულდება ახალი, **Bombardier CRJ 200 LR** -ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

**ავიაბილეთების დაჯავშნისთვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:**
- შ. რუსთაველის პრ. № 5 ; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- კეკელიძის ქ. № 1 ; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო: ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
ზაფხულის სანავიგაციო სეზონი
(ადგილობრივი დრო)

| | ფრენა თბილისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:05 | 16:35 |
| | დნეპროპეტროვსკი | QB 525/526 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| ოთხშაბათი | ალმა - ატა | QB 577/578 | 12:50 | 18:30 | 21:20 | 23:10 |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:20 | 15:50 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| ხუთშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 777/778 | 8:30 | 10:55 | 11:50 | 14:10 |
| | კიევი | QB 595/596 | 17:30 | 18:50 | 11:05 | 16:35 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) **** | QB 777/778 | 17:30 | 19:50 | 21:00 | 23:20 |
| პარასკევი | სანქტ-პეტერბურგი | QB 555/556 | 8:30 | 11:55 | 13:00 | 16:20 |
| | ოდესა | QB 541/542 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| კვირა | კიევი | QB 543/544 | 17:30 | 18:50 | 20:00 | 23:20 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| | მინერალნიე ვოდი | QB 523/524 | 17:50 | 19:10 | 22:00 | 23:10 |

* ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
*** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან
**** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან

| | ფრენა ქუთაისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |



**შ.პ.ს. "ელიტელექტრონიკსი" აცხადებს კონკურსს ქ. ბათუმში სავაჭრო-საქმიანი შენობის ესკიზურ პროექტზე**

კონკურსის მიზანია, ქ. ბათუმის ცენტრში (ყოფილი უნივერმაღის ადგილას) ახალი თანამედროვე სავაჭრო ცენტრის ასაშენებლად საუკეთესო არქიტექტურული წინადადების შერჩევა.

კონკურსში გამარჯვებულთათვის გათვალიწინებულია (ექვივალენთი ლარებში) :
ერთი პირველი პრემია 5000 აშშ
ერთი მეორე პრემია 3000 აშშ
ერთი მესამე პრემია 1000 აშშ

საკონკურსო პირობების გაცემა 01.08.06 - 15.08.06
საკონკურსო მასალების ჩაბარება 20.10.06 18სთ-მდე
მისამართი - "დიზაინცენტრი" ირ. აბაშიძის ქ. 41 თბილისი
"ელიტელექტრონიქსი" გამსახურდიას ქ, 47 ბათუმი
დამატებითი ინფორმაციისთვის
საკონტაქტო ტელ: **25-10-22 877 40-60-99**
ელ-ფოსტა: designcenter@mail.ru



net2phone

**Net2Phone (www.net2phone.com) - მსოფლიოს წამყვანი კომპანია VoIP ტექნოლოგიაში ეძებს პარტნიორებს საქართველოში**

თუ თქვენი კომპანია დაინტერესებულია IP-ტელეფონიის სერვისების შეთავაზებით, ან ის უკვე იმყოფება IP-ტელეფონიის პროვაიდერი, Net2Phone - ის სპეციალიზირებული სრული გადაწყვეტილებები სწრაფი დანერგვის გეგმით და მისი ბიზნეს განვითარების ჯგუფი წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას წარმატებული თანამშრომლობისათვის.

**დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ:**
**salesgeorgia@net2phone.com**

მოკლედ

## ყაჩაღობისთვის ძებნილი დააკავეს

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციამ ჭუბერში ყაჩაღობისთვის ძებნილის დასაკავებლად სპეცოპერაცია ჩაატარა.

როგორც სამხარეო პოლიციის უფროსმა მერაბ გერგაიამ განაცხადა, სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულია კობა ცინდელიანი.

გავრცელებული ინფორმაციით, კოდორის ხეობის ყოფილი რწმუნებულის ემზარ კვიციანისა და მისი მომხრეების ამბოხის ჩასახშობად საქართველოს შს სამინისტროს მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ კოდორის ხეობაში დამალული კრიმინალები ხეობიდან გაღწევას შეეცადნენ. სწორედ ამიტომ მიიღო სამხარეო პოლიციამ აღნიშნული სპეცოპერაციის ჩატარების გადაწყვეტილება. **ინტერპრესნიუსი**

## საზოგადოებრივი გამოკითხვა პოლიციის საქმიანობის შესაფასებლად

გაერო-ს დამკვირვებელთა მისიამ, ქართული მხარის ტერიტორიაზე არსებული კრიმინალური სიტუაციის შეფასების მიზნით, საზოგადოებრივი გამოკითხვა ჩაატარა.

სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გარდა, საქართველოს ყველა რეგიონში ჩატარებულ გამოკითხვებში 16 წლის და უფროსი ასაკის 1400 ადამიანი მონაწილეობდა.

გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის წარმომადგენლებმა განსაკუთრებულად წალენჯიხის, ხობის, ჩხოროწყუსა და ზუგდიდის რაიონებზე გაამახვილეს ყურადღება. გამოკითხვამ ამა თუ იმ დანაშაულის სხვადასხვა ფორმითა და დარღვევით დაზარალებული მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებლები განსაზღვრა და პოლიციის იმიჯზე გარკვეული წარმოდგენა შექმნა. მაგალითად, გამოკითხულთა 77,5 პროცენტის აზრით, პოლიცია ხალხის დასახმარებლად ძალას არ ზოგავს; რესპონდენტთა 13,9 პროცენტი უარყოფითადაა განწყობილი პოლიციის მიმართ. გამოკითხულთა 8,6-მა პროცენტმა ეს შეკითხვა უპასუხოდ დატოვა.

გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის პოლიტიკური მრჩევლის მარიან სტაშევსკის განცხადებით, "დამოუკიდებელი გამოკითხვისა და გამოკვლევის შედეგად მომზადდა მოხსენება - უკანონო რეპრესია, დანაშაულის შიში, თაღლითობა, კორუფცია და საზოგადოებრივი წესრიგი". მირიან სტაშევსკის განმარტებითვე, მართალია, გამოკითხვა გაერო-ს დამკვირვებელთა ინიციატივით ჩატარდა, მაგრამ მოხსენება სრულიად დამოუკიდებელი პროექტია, რომელიც საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის, შს სამინისტროს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი უსაფრთხოების, კორუფციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შესახებ ობიექტური და მიუკერძოებელი აზრის მიწოდებას ისახავს მიზნად. **24 საათი**

## აფხაზური მხარის პროტესტი

ჭუბურხინჯის ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრა პროტესტის ნიშნად დატოვეს აფხაზური მხარის წარმომადგენლებმა - რუსლან ქიშმარიამ და გალის აფხაზური ადმინისტრაციის პროკურორმა რომან კაპბამ.

მათი განცხადებით, პროტესტი გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ქართულმა მხარემ მათთან შეუთანხმებლად მოლაპარაკებაზე მიიწვია რამინ ფირცხალავა, სამხედრო შენაერთ "თეთრი ლეგიონის" ერთ-ერთი მეთაური. შეხვედრაზე კოდორის ხეობასა და გალის რაიონში არსებული მდგომარეობის შესახებ უნდა ყოფილიყო მსჯელობა. **ინტერპრესნიუსი**

## შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი დააკავეს

შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა უწყების ყოფილი მაღალჩინოსანი დააკავეს. კუკიის დასახლებაში ჩატარებულ დაკავების ოპერაციას ხმაური მოჰყვა. ნარკოდანაშაულის ფაქტზე თბილისის შს მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე ბორის ივანოვი დააკავეს.

როგორც ივანოვის მეზობლები აცხადებენ, მათ არასოდეს შეუმჩნევიათ ყოფილი მაღალჩინოსანი რაიმე სახის კანონდარღვევაში და ისინი მოწმენი გახდნენ, თუ როგორ ჩაუდეს ივანოვს დაკავებისას ნარკოტიკული ნივთიერება.

ბორის ივანოვი თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ შოთა კვირაიას შინაგან საქმეთა მინისტრობის პერიოდში მუშაობდა. **ინტერპრესნიუსი**

## იუსტიციის სამინისტროს მონაცემები

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებიდან 2006 წლის 6 თვეში 285 783 მოქალაქის პირადობის მოწმობა და 131 896 მოქალაქის პასპორტი გაიცა.

2005 წლის პირველ ნახევართან შედარებით, 2006 წელს გაცემული პასპორტების რაოდენობა 23 167-ით გაიზარდა, ხოლო პირადობის მოწმობებისა - 40 386-ით შემცირდა.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, 2005-2006 წლებში, წინა წლებთან შედარებით, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სამსახურებიდან გაცემული დოკუმენტების სტატისტიკა საგრძნობლად გაიზარდა. 1995-2004 წლების პირველ 6 თვეში გაცემული პირადობის მოწმობის რაოდენობა 79 ათასიდან 157 ათასამდე მერყეობდა, ხოლო პასპორტების რაოდენობა - 37 ათასიდან 71 ათასამდე.

როგორც სამინისტროში განმარტავენ, დოკუმენტების გაცემის დინამიკის ზრდა სამოქალაქო რეესტრის სამსახურებში მომსახურების პროცედურების გამარტივებამ და გაუმჯობესებამ გამოიწვია. ამასთან, 2005 წლის ივლისიდან გაუქმდა პირადობის მოწმობის სახელმწიფო ბაჟი. 2006 წლის თებერვლიდან პასპორტისა და პირადობის მოწმობის გაცემა შესაძლებელი გახდა მოქალაქისთვის სასურველ ვადაში. საქართველოს რამდენიმე რეგიონში ამოქმედდა კურიერის ინსტიტუტი, რაც მოსახლეობას საშუალებას აძლევს, პასპორტი რეგიონულ ცენტრში ჩაუსვლელად, საკუთარი რაიონის სამოქალაქო რეესტრის სამსახურში მიიღოს. **24 საათი**

## სამართალდამცველები "ქუთაისის რეგიონულ სისხლის ბანკს" მოწმებენ

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის სამმართველომ მითვისება-გაფლანგვის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

საქმე ეხება შპს "ქუთაისის რეგიონული სისხლის ბანკის" ყოფილ დირექტორს მირიან კვირიკაძეს. ფინანსური პოლიციის წინასწარი ინფორმაციით, ფირმის ხელმძღვანელობა აყალბებდა დოკუმენტაციას, სარემონტო სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხები ხელოვნურად იყო გაზრდილი, საჭირო მედიკამენტების ჩამონათვალის ღირებულება, რეალურ საბაზრო ღირებულებასთან შედარებით გაზრდილი იყო.

გარდა ამისა, პოლიციის ინფორმაციით, დაწესებულებაში გაფორმებული იყვნენ ე.წ. "მკვდარი სულები", რომლებიც სახელფასო უწყისში ფორმდებოდნენ და ყოველთვიურად მათზე ხელფასები გაიცემოდა. დაწყებულია საგამოძიებო მოქმედებები. ფინანსური პოლიცია შპს "ქუთაისის რეგიონული სისხლის ბანკის" საბუღალტრო დოკუმენტაციას ამოიღებს და კომპლექსურ რევიზიას ჩაუტარებს. რევიზიის დასრულების შემდეგ ზიანის ოდენობა განისაზღვრება.

ფინანსურ პოლიციაში გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით დაიწყო, რაც "მითვისებას ან გაფლანგვას" გულისხმობს. **ინტერპრესნიუსი**

**განცხადება**

**ლანჩხუთის რაიონის გამგეობის მიერ 2006 წლის 5 ივნისს გამოცხადებულ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შუხუთი-აცანა-მამათის საავტომობილო გზის კმ.0-კმ.12,17 სტიქიის შედეგად დაზიანებული მონაკვეთებისა და სავალი ნაწილის აღდგენითი სამუშაოების ტენდერის წინადადებები და საკვალიფიკაციო მონაცემები მიიღება 2006 წლის 7 აგვისტოს 14 საათამდე.**

**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე**

# სამუდამო პატიმრობა ტერაქტის მოწყობისთვის

პირველი გვერდიდან

გიორგი ვალიშვილის და გიორგი ზასიევის ადვოკატები პროცესის დასრულებამდე ითხოვდნენ, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფთა მიმართ გამოყენებული არ ყოფილიყო სასჯელის უკიდურესი ფორმა.

რაც შეეხება იოსებ კოჩიევს, მისი ადვოკატები მიიჩნევენ, რომ ტერაქტში მონაწილეობა მათი დაცვის ქვეშ მყოფს არ მიუღია და ირიბი მტკიცებულებაც კი არ არსებობს საქმეში, რომელიც კოჩიევის ტერაქტში მონაწილეობას დაადასტურებს.

**"სოსო კოჩიევის ბრალი მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ის ქოქოევს გაჰყვა იმ მანქანის საყიდლად, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ გორის პოლიციის შენობის წინ აფეთქდა. ტერაქტის მოწყობის შესახებ კოჩიევს არანაირი ინფორმაცია არ გააჩნდა. ამასთანავე, კონტრდაზვერვის თანამშრომელი გიორგი ედიშერაშვილი საკუთარ ჩვენებაში ამბობს, რომ კოჩიევი გორში დააკავა, ხოლო სასამართლოსთვის მიცემულ მეორე ჩვენებაში აღნიშნავს, რომ კოჩიევი თბილისში დააპატიმრა. პირველი ჩვენების მიხედვით, თურმე, კოჩიევი გორში აიყვანეს, ხოლო ორი საათის შემდეგ თბილისში ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა, რა დროსაც დიდი რაოდენობით "ოპიუმი" აღმოაჩნდა, რაც სრული აბსურდია",** - ამბობს კოჩიევის ადვოკატი გიზო ბერიშვილი.

კოჩიევის ადვოკატების თქმით, საქმეში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება, რომელიც მსჯავრდებულის დანაშაულს დაადასტურებს, მაგრამ სასამართლომ კოჩიევსაც თავისუფლების უვადოდ აღკვეთა მიუსაჯა. აღსანიშნავია, რომ დანარჩენი ორი ბრალდებული დანაშაულს აღიარებს. ისინი აცხადებენ, რომ კოჩიევს არ იცნობენ და მას ტერაქტში მონაწილეობა არ მიუღია.



*გორის ტერაქტი.*

ბრალდებული ვალიშვილი და ზასიევი ტერაქტის მოწყობას ადასტურებენ, მაგრამ ორივე მათგანი უარყოფს ნარკოტიკებთან რაიმე კავშირს.

2004 წლის პირველ თებერვალს შიდა ქართლის სამხარეო პოლიციასთან აფეთქდა ტროტილით და ჰექსოგენით დატვირთული "ვაზ-21011" მარკის თეთრი ფერის ავტომანქანა, აფეთქებას მოყვა მსხვერპლი - დაიღუპა სამი ადამიანი.

შსს-ს ინფორმაციით, ტერორისტთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა ანატოლი ივანეს ძე სისოევი, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს კადრის მაღალჩინოსანი, დპს-ს პოლკოვნიკი, რომელიც რუსეთმა 2004 წლის ივნისში ცხინვალში დე-ფაქტო პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის მრჩევლად მიავლინა. რუსეთის სპეცსამსახურის კადრის ჩინიანი ოფიცერი, რომელმაც საქართველოში რამდენიმე ტერორისტულ-დივერსიული აქტი დაგეგმა და რომელიც სამხედრო წვრთნას უტარებდა სპეცჯგუფებს, რომელთაც საქართველოს წინააღმდეგ უნდა ემოქმედათ, ქართველი სამართალდამცველების მიერ ძებნილად გამოცხადდა. საქართველოს შსს-მ რუს კოლეგებს 18 წერილი გაუგზავნა და სისოევის დაკავების საქმეში დახმარებას სთხოვდა, თუმცა - უშედეგოდ.

**"ანატოლ სისოევი ყველაზე გავლენიანი ფიგურა იყო კოკოითის შემდეგ, რომელიც ხელმძღვანელობდა საქართველოს წინააღმდეგ დაგეგმილ ტერორისტულ-დივერსიულ აქტებს. გორის ტერაქტის გახსნის შემდეგ მის მიერ დაგეგმილი კიდევ რვა ტერორისტულ-დივერსიული აქტის საქმე გაიხსნა. ყველა მონაწილე დაკავებულია. ერთი წელი მოვანდომეთ ამ საქმეზე მუშაობას. ორი მონაწილე მტრის ზურგიდან, ფაქტობრივად, მოვიტაცეთ, რის შემდეგაც ძალზე სერიოზული ინფორმაციები და საბოლოოდ ჩვენთვის სასურველი შედეგიც მივიღეთ - უმნიშვნელოვანესი საქმე გავხსენით. გორის ტერაქტი პირველი ისეთი საქმეა, რომლის პრაქტიკულად გახსნით, სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების იმ კვალის გამოვლენაც მოვახერხეთ, რომელმაც საქართველოში არაერთი ტერაქტი განახორციელა",** - "24 საათისთვის" მიცემულ ინტერვიუში ასე შეაფასა გორის ტერაქტის საქმე შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა.

# ემზარ კვიციანს ახალი ბრალდება წაუყენეს

გენერალურმა პროკურატურამ კოდორის ხეობის ყოფილ რწმუნებულს ახალი ბრალდება კვლავ დაუსწრებლად წაუყენა. როგორც ცნობილია, გამოძიებამ კვიციანს უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-შეძენისა და ტარების მუხლებით ბრალი რამდენიმე დღის წინ წაუყენა და ძებნილად გამოაცხადა, მას შემდეგ, რაც თბილისის საქალაქო სასამართლომ კვიციანისა და მისი დისშვილის ბაჩო არღვლიანის დაპატიმრების ბრძანება გასცა. გენერალური პროკურორის მოადგილის კახა კობერიძის მაშინდელი განმარტებით, უახლოეს დღეებში გენპროკურატურა კვიციანს სამშობლოს ღალატის მუხლითაც წაუყენებდა ბრალს.

გენერალურმა პროკურატურამ ემზარ კვიციანს ახალი ბრალდება მართლაც წაუყენა - საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ხელყოფა, შეიარაღებული ამბოხება ხელისუფლების დამხობის მიზნით ანუ სამშობლოს ღალატი - ასეთია ახალი ბრალდების კვალიფიკაცია.

საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ხელყოფა 12-დან 20-წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, შეთქმულება ან ამბოხი ხელისუფლების შესაცვლელად - 10-დან 15-წლამდე პატიმრობას. ექსპერტების განმარტებით, ორივე დანაშაულის კვალიფიკაცია იძლევა იმის საშუალებას, რომ პროკურატურამ ემზარ კვიციანისთვის 25 წლამდე პატიმრობა მოითხოვოს.

სოდ-ის თანამშრომლებმა კვიციანის სახლში, რომელიც თბილისში, დოლაბაურის ქუჩაზე მდებარეობს, ჩხრეკა ჩაატარეს. სახლიდან ამოიღეს სანადირო თოფი, სპორტული იარაღი, ვაზნები, ერთი ყუთი დოკუმენტაცია. როგორც ემზარ კვიციანის ძმა ნოდარ კვიციანი აცხადებს, ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა წაიყვანეს "მერსედესის" მარკის მიკროავტობუსი, რომელიც ერთ-ერთ ფირმას ეკუთვნოდა; ასევე, ამოიღეს ქსეროქსის აპარატი და გატეხეს სეიფი, საიდანაც დოკუმენტაცია ამოიღეს.

სოდ-ის თანამშრომლები ჩხრეკას 4 საათის განმავლობაში ატარებდნენ. ნოდარ კვიციანი აცხადებს, რომ მისი ძმის სახლში აღმოჩენილი იარაღის არსებობის შესახებ არაფერი იცოდა. მისივე თქმით, ემზარ კვიციანს იარაღის შენახვის უფლება ჰქონდა და სოდ-ის თანამშრომლებმა ამის მოწმობაც აღმოაჩინეს.

ჩხრეკას დაესწრო თავად ნოდარ კვიციანი და ოჯახის ახლობელი ორი ქალბატონი, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი ემზარ კვიციანის დედის მომვლელები იყვნენ. ემზარ კვიციანის დედა სამი კვირის წინ გარდაიცვალა.

როგორც ახლობლები აცხადებენ, სოდ-ის თანამშრომლები კვიციანის ბინაში რამდენიმე დღის წინათაც იმყოფებოდნენ და ოფიციალური დოკუმენტაციაც გააფორმეს იმის შესახებ, რომ ემზარ კვიციანი თბილისში არ იმყოფება და კოდორის ხეობაშია.

სოდ-ის თანამშრომლებმა ჩხრეკის პროცესი ვიდეოკამერით გადაიღეს.

სამართალდამცველების მიერ ძებნილი ემზარ კვიციანისა და ბაჩო არღვლიანის ადგილსამყოფელის შესახებ გავრცელდა რამდენიმე ვერსია, რომელთაგან ერთი პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა დაადასტურა. გიორგი არველაძის განცხადებით, მოეპოვებათ დაზუსტებული ინფორმცია, რომ კვიციანი, მისი ცოლ-შვილი, მეგობრები და ბაჩო არღვლიანი აფხაზეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან.

როგორც ცნობილია, შსს-ს დაპირებით, ინფორმატორი, რომელიც კვიციანისა და არღვლიანის სამალავის თაობაზე ინფორმაციას სამართალდამცველებს შეატყობინებს, დაჯილდოვდება 200 ათასი ლარის ოდენობის პრემიით - თითოეულ ძებნილზე 100 ათასი ლარია დაწესებული.

*24 საათი*

**უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი**

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**..................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..................

**საკონტაქტო ტელეფონი**..................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

უცხოეთი

## სტრასბურგის სასამართლომ კიდევ ერთი სარჩელი დააკმაყოფილა

სტრასბურგის სასამართლომ უპრეცედენტო გადაწყვეტილება გამოიტანა - ევროსასამართლომ განიხილა და დააკმაყოფილა სარჩელი, რომელიც ეხებოდა 2000 წელს ჩეჩნეთში უგზო-უკვლოდ დაკარგული 25 წლის ხაჯი მურატ იანდიევის საქმეს. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, რუსეთის მთავრობას დაეკისრა იანდიევის დედისთვის 35 ათასი ევროს გადახდა.

სტრასბურგის სასამართლომ რუსეთი ადამიანის უფლებების დარღვევაში დამნაშავედ ცნო და პირველად ევროსასამართლოს არსებობის ისტორიაში განაჩენი გამოიტანა ნრგ-სა და CNN-ის ოპერატორების მიერ გადაღებული ვიდეოფირის საფუძველზე.

ფირზე აღბეჭდილია მომენტი, სადაც ფიგურირებს ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის გენერალ-პოლკოვნიკი ალექსანდრ ბარანოვი, რომლის მითითებითაც, სავარაუდოდ, სტუდენტი დახვრიტეს.

ფირის მიხედვით ირკვევა, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი ხაჯი მურატი 1999-2000 წელს გროზნოს ომის ეპიცენტრში აღმოჩნდა. ერთი ვერსიით, მიმდინარე ომისას ის გროზნოში იმყოფებოდა, რათა მოეძებნა მეგობრები და მამა, ხოლო მეორე ვერსიით, ის იყო "ბოევიკი". 2000 წელს გროზნოს შტურმის შემდეგ გროზნოში მყოფი მოსახლეობა, მათ შორის "ბოევიკები", ალყიდან გამოსვლას ცდილობდნენ. იქ მოხვდა ხაჯი მურატიც, რომელიც ნაღმზე აფეთქდა და იგი საავადმყოფოში წაიყვანეს. გზაში ავტობუსი, რომელშიც დაჭრილები იმყოფებოდნენ, გააჩერა რუს სამხედროთა ჯგუფმა, რომელსაც ალექსანდრ ბარანოვი ხელმძღვანელობდა. რუსმა სამხედროებმა დაჭრილები გაჩხრიკეს. ხაჯი მურატს ჯიბეში აღმოაჩნდა კომპასი. ბარანოვსა და ხაჯი მურატს შორის გამართული ხანმოკლე დიალოგი იმით დასრულდა, რომ რუსმა გენერალმა მისი დახვრეტის ბრძანება გასცა. ოპერატორთა მიერ გადაღებული ფირი იმით მთავრდება, რომ სტუდენტი ბარანოვის ბრძანების შემდეგ რუს ჯარისკაცებს ავტობუსიდან ჩაჰყავთ. მას შემდეგ ხაჯი მურატი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ნრგ-ს ოპერატორის მიერ გადაღებული ეს სიუჟეტი დაკარგულის დედამ ტელევიზიით ნახა და მიმართა რუსეთის გენერალურ პროკურატურას, სადაც საქმის გამოძიება ექვსი წლის მანძილზე მიმდინარეობდა, თუმცა - უშედეგოდ. "ვფიქრობ, რომ გენერალ ბარანოვის ბრძანება ჯარისკაცებმა სისრულეში მოიყვანეს", - აცხადებს ხაჯი მურატის დედა.

მოგვიანებით, დაკარგული სტუდენტის მშობლებმა ევროსასამართლოს მიმართეს. ევროპის სასამართლომ ხაჯი მურატის მშობლების სარჩელი განიხილა და ახალგაზრდა ჩეჩენისთვის სიცოცხლის უფლების წართმევაში რუსეთი დამნაშავედ ცნო.

## საბერძნეთის პროკურატურამ არასრულწლოვნებს ბრალი წაუყენა

რუსული საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საბერძნეთის პროკურატურამ 11-დან 13 წლამდე ასაკის ხუთ მოსწავლეს ბრალი წაუყენა. მათ ბრალი ქართველი თანაკლასელის მკვლელობაში ედებათ.

11 წლის ალექს მეიშვილი 2006 წლის თებერვლიდან უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. ივნისში მეიშვილის თანაკლასელებმა პოლიციას აცნობეს, რომ ალექსთან იჩხუბეს და მიყენებული ტრავმების შედეგად უგონო მდგომარეობაში მყოფი სარდაფში დატოვეს, მეორე დღეს მისი ცხედარი სხვა ადგილას გადაიტანეს.

ხუთი ბრალდებული მოსწავლიდან ორი ბერძენია, ორი რუმინელი, ერთი კი ალბანელი.

მიუხედავად პირდაპირი მტკიცებულებების არარსებობისა, პროკურორმა მოსწავლეებს ჯგუფური მკვლელობისა და ცხედრის შეურაცხყოფისთვის მაინც წაუყენა ბრალი.

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისის მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "[illegible]" შენობის ხელ[illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.72 იურიდიული ოფისი "გაპი".

# მცხეთის ფესტივალი

ლევან ჭანშიაშვილი

ზაფხულის მოსვლა თბილისში მარტო იმიტომ უნდა გიხაროდეს, რომ შანსი გეძლევა თვეში ორ-სამ ფესტივალს თუ როკ-კონცერტს დაესწრო, მაგრამ ყველაფერი მზიურში, კუს ტბაზე ან ვაკის პარკში ეწყობა, რაც თავისთავად მოსაბეზრებელი და დამღლელია. რატომ ყველაფერი აქ, როცა თბილისიდან 20 წუთის სავალ გზაზე - მცხეთაში, ბევრად უკეთესი ადგილებია, სადაც განწყობაც კარგი იქმნება და არც ჩასვლაა რთული საქმე.

კომპანია "მაგთიმ" გადაწყვიტა ხანგრძლივი ფესტივალის მოწყობა მცხეთის "თეატრონში", რომელიც 20 წლის მანძილზე უმოქმედოდ იყო.

"ეს ძალიან კარგი ადგილია, უკან ბებრის ციხე, წინ კი ჯვრის მონასტერი ჩანს, დიდი ხანია აქ არაფერი მომხდარა და ჩვენ შევეცადეთ ეს ადგილი ხალხისთვის შეგვეხსენებია, თან ძალიან დიდ სიამოვნებას ვღებულობთ, როცა ამდენ გაბედნიერებულ ადამიანს ვხედავთ. ჩვენი მიზანი სწორედ ეს არის და მუსიკოსებს რომლებიც წამოჩიტულები არიან, ეძლევათ საშუალება უკეთ თავის წარმოჩენის" -აღნიშნა კომპანიის მარკეტინგის დირექტორმა გერი ქოებმა.

ფესტივალი ხუთი კვირის განმავლობაში, ყოველ პარასკევს, საღამოს შვიდის ნახევარზე იწყება.



Young Georgian Lolitaz.



Blues Mobile Band.

### 14 ივლისი პირველი პარასკევი

ძალიან ცოტა ხალხი მოვიდა, ამის მიზეზი ალბათ თბილისელი ზარმაცი მსმენელი და ასეთ სიამოვნებას მოკლებული მცხეთელები იყვნენ, სამაგიეროდ პოლიციელი, რომლებიც სიტუაციას აკონტროლებდნენ და "მაგთის" მაისურიანი გოგონები, რომლებიც "მაგთის" ჟურნალებს და ბროშურებს ღიმილით არიგებდნენ, ეტყობოდათ, რომ თავიანთ საქმეს გულმოდგინედ ეკიდებოდნენ. მოსაწვევის გარეშე ვერც ე.წ ცენტრალურ სადგომზე შეძლებდი მანქანის გაჩერებას და ვერც წითელ ვიპ ადგილებზე მოთავსდებოდი, რომლებიც სტუმრებისთვის იყო განკუთვნილი.

ხალხის სიმცირის მიუხედავად, კონცერტი, როგორც ყოველთვის დაგვიანებით დაიწყო ჯგუფ String-თან ერთად. ბიჭებმა ბევრი კარგი სიმღერა, მათ შორის ჰიტებიც შეასრულეს. როგორც ჩანს, ვოკალისტ ქვინის ყველაზე მეტად გაუმართლა და დიდი სივრცის წყალობით დახტოდა და ენერგიას არ ზოგავდა, თუმცა ვოკალისტი ამით ბოლომდე კმაყოფილი არ დარჩენილა: "სცენა დიდია, თუმცა არა ისეთი, როგორიც მე მინდა, ანუ უფრო დიდი ადგილი, სადაც ბევრს ვიმოძრავებდი. როცა ჩვენ ვუკრავთ, ყოველთვის კარგი განწყობა მაქვს, განსაკუთრებით კი დღეს, მშვენიერი ადგილია". ბოლოს ხალხში გაერია და რიგითი მსმენელივით ჩამოჯდა სკამზე, იქვე აწყობილი ახალი სიმღერაც "ჩვენ ერთი გუნდი ვართ" შეასრულა და კარგად გახურებული მსმენელები ბაკურ ბურდულს დაუტოვა, რომელმაც ასევე ნაცნობი ჰიტები და საყვარელი სიმღერები დაუკრა და მსმენელიც გაახარა, თუმცა ბაკური ჟღერადობით და აპარატურით უკმაყოფილო დარჩა.

ჯგუფებს შორის-15 წუთიანი შესვენებები ხალხს დასვენების და გასეირნების საშუალებასაც აძლევდა, წამყვანი ვასიკო ხალხს მოდუნების საშუალებას არ აძლევდა და სხვადასხვა შეძახილებით ართობდა კიდეც.

განსაკუთრებული სტუმარი ჯგუფებს შორის Young Georgian Lolitaz აღმოჩნდა, სხვებისგან განსხვავებით მთელი საათნახევრიანი პროგრამით წარდგნენ მსმენელის წინაშე, თან არც ჩვეული სტილი დაივიწყეს და კაბებში გამოწყობილი, ამჯერად მხოლოდ ვოკალისტი და გიტარისტი ავიდა სცენაზე. დაღლილი მსმენელების გამოცოცხლება ცეკვა-ხტუანობის მხრივ დიდად ვერ მოახერხეს, სამაგიეროდ კალიების, მწერების, კოღოების და სხვა ათფეხა არსებები კარგად მიიზიდეს. ვოკალისტის თავზე არაერთხელ მოთავსებული უზარმაზარი კალია სიამოვნებით უძლებდა პატრონის მკვეთრ მოძრაობებს და როგორც ჩანს, არც აწუხებდა.

ბოლოსკენ აქა-იქ თუ მოკრავდი თვალს ხალხს, ერთი-ორის ხტუნაობამ კი წამყვანს დაკვრის სურვილი აღუძრა და ექსპრომტად დაუკრა ჯგუფის წევრებთან ერთად, თან "მაგთისაც" უმღერა და სიმღერ-სიმღერით კეთილი სურვილებით შემდეგ პარასკევამდე დაგვემშვიდობა.

### 21 ივლისი მეორე პარასკევი

მეორე პარასკევს საკმაოდ ბევრი ხალხი მოვიდა, განწყობაც ამაღლებული იყო როგორც მუსიკოსებში, ასევე ხალხშიც. ამჯერადაც სამი ჯგუფი გამოვიდა. კონცერტი Green Mama-მ გახსნა, კარგად შეასრულეს "ბითლზის", ჯორჯ ჰარისონის, პიტერ გებრიელის ჰიტები, თუმცა მსმენელი მათი შემოქმედებიდანაც ითხოვდა რამდენიმე სიმღერას, მაგრამ ამაოდ. Green Mama-ს შემდეგ გამოვიდა საკმაოდ ძველი ჯგუფი Blues Mobile Band, რომლის გამოჩენაც ხალხს ძალიან გაუხარდა; ხშირად გაიგებდი ფრაზებს - "თავი ვუდსტოკის ფესტივალზე მგონია", ან "აქ მაგარ ჯგუფებს ჩამოვიყვანდი" და ა.შ. კონცერტი Moving Band-მა დახურა.

წინ კიდევ სამი პარასკევია, პროგრამაშია ჯგუფები: "33ა", "ვაკის პარკი", Jazz or Cat, "ქართული ვერსია".

ბოლო პარასკევს "მაგთი" სიურპრიზს უმზადებს მისულ ხალხს. აბა, თქვენ იცით, არ გამოტოვოთ, დაისვენეთ და კარგად გაატარეთ უქმე დღე!

# ოპერის თეატრი საგასტროლოდ მიემგზავრება

ზურაბ ოიკაშვილი

8 აგვისტოს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საოპერო დასი მიემგზავრება შვედეთის ქალაქ დალჰალაში საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში მონაწილეობისთვის.

დღეს უკვე დალჰალას ფესტივალი ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და ავტორიტეტულია მსოფლიოს მასშტაბით. პირველი კონცერტი კი იქ 1993 წელს გაიმართა. დალჰალას "აღმოჩენა" ცნობილი მომღერლის მარგარეტ დელეფორსის სახელს უკავშირდება, რომელმაც საზაფხულო ფესტივალის კერად სწორედ დალჰალა შეარჩია და ადგილობრივი ლანდშაფტის გათვალისწინებით ზედმიწევნით ზუსტად განჭვრიტა თავისი ჩანაფიქრის წარმატებული მომავალი. ლანდშაფტი კი მართლაც უნიკალურია - 360 მილიონი წლის წინათ იქ ოთხი კილომეტრი დიამეტრის მქონე მეტეორი ჩამოვარდნილა, რის შედეგადაც წარმოიქმნა ტბა სილჯენი და მისი შემოგარენი. სწორედ აქ, ყოფილი კირქვის კრატერში სამთამადნო სამუშაოების შედეგად შეიქმნა შთამბეჭდავი მასშტაბების მქონე ბუნებრივი ამფითეატრი (სიგრძე - 400, სიგანე - 175, სიღრმე კი 60 მეტრია). დალჰალას შემოგარენის ბუნება სცენის ერთგვარი ნაწილია - ლამაზი მწვანე ტბა, რომელზეც განთავსებულია სცენა, კლდის მასიური კედლები სცენის ზემოთ, კანადური ნაძვებისა და ფიჭვებისგან წარმოქმნილი ჰორიზონტის უსწორმასწორო ხაზი, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა საოპერო წარმოდგენას დაუვიწყარ ელფერს სძენს. 1993 წლიდან დალჰალას ფესტივალს ძალზე მაღალი კლასის, რეიტინგული მუსიკოსები და მუსიკალური კოლექტივები სტუმრობენ. ამ გარემოებებმა დაუმკვიდრა დალჰალას ფესტივალს ჩინებული რენომე, ულამაზესი სცენის სახელი, რომელიც საერთაშორისო რეპუტაციისა და უნიკალური აკუსტიკური თვისებების მეოხებით მსოფლიოს საუკეთესო ღიაცისქვეშა სცენათა შორის მოიაზრება. ამიტომაც სტუმრობს ამ ფესტივალს ათასობით სტუმარი, ტურისტი, რომელთაც სულისშემძვრელ ბუნებასთან ერთად, მუსიკისგან მიღებული განუმეორებელი, ჯადოსნური შთაბეჭდილებები სამუდამოდ აღებეჭდებათ აზრსა და გრძნობაში.



წლეულსაც, ტრადიციულად, დალჰალას ფესტივალი ივნისში დაიწყო და სექტემბრის შუა რიცხვებამდე გასტანს. მრავალფეროვანია საფესტივალო პროგრამაც - ოპერა, საგუნდო, სიმფონიური, კამერული მუსიკა, ჯაზური და პოპმუსიკის საღამოები. წელს თბილისის ოპერის თეატრის გარდა ფესტივალში მონაწილეობენ ლატვიის ეროვნული საოპერო თეატრი (ვერდის "აიდა") და ნორვეგიის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი (გრიგის "პერ გიუნტი").

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივი ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელისა და მთავარი დირიჟორის ზაზა აზმაიფარაშვილის ხელდასხმით აუდიტორიას ორ ნაწარმოებს წარუდგენს - 11 აგვისტოს კამილ სენ-სანსის ოპერას "სამსონი და დალილა" (საკონცერტო შესრულებით), 12-ში კი - ჯუზეპე ვერდის "ტრუბადურს", რომლის პრემიერა თბილისში ივნისის მიწურულს გაიმართა (დამდგმელი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი, რეჟისორი ვერნონ მაუნდი, მხატვარი ქრის დევილდე). "ტრუბადური" დაიდგა სწორედ დალჰალას საერთაშორისო საოპერო ფესტივალზე წარსადგენად (პრაქტიკულად, ეს შვედური მხარის დაკვეთაა).

ვფიქრობთ, თბილისური "ტრუბადური" დიდ ინტერესს გამოიწვევს უცხოელ მსმენელებსა და მაყურებლებში იმ უჩვეულო სიახლეების გათვალისწინებით, რომლებიც განახორციელეს რეჟისორმა და მხატვარმა. საგულისხმოა, რომ თბილისური პრემიერით ძალიან კმაყოფილი დარჩა დალჰალას საოპერო ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი სტეფან ხიოლდი, რომელიც "ტრუბადურის" სანახავად საგანგებოდ ესტუმრა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქს.

ოპერის თეატრის ბოლო გასტროლი 2003 წელს შედგა ისრაელში. განახლებული დასისთვის კი ეს პირველი გასვლაა ევროპაში (მოგეხსენებათ, თუ რაოდენ მძლავრი შემოქმედებითი სტიმულია მუსიკოსებისთვის საგასტროლო მოღვაწეობა). ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს არის სრულმასშტაბიანი გასტროლი (მიწვეულია თეატრის სიმფონიური ორკესტრი, გუნდი, რამდენიმე სოლისტი), რომელიც დიდად შეუწყობს ხელს ქართული საოპერო ხელოვნების, ჩვენი თეატრის შემოქმედების პოპულარიზაციას უცხოეთში. "ტრუბადურში" იმღერებენ თეატრის სოლისტები გიორგი ონიანი, ირინე რატიანი, ელენა პუტილოვა, ლევგი იმედაშვილი, გულნაზ ბერიძე, თამაზ საგინაძე. გრაფ დი ლუნას როლს მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი იური ნეჩაევი შეასრულებს.

როგორც აღინიშნა, დალჰალაში "ტრუბადურის" გარდა საოპერო დასი წარმოადგენს კამილ სენსანსის ოპერასაც "სამსონი და დალილა" (რომლის სარეპეტიციო მზადება მთელი ივლისის მანძილზე მიმდინარეობდა ზაზა აზმაიფარაშვილის ხელმძღვანელობით). მთავარი პარტიებით დალჰალას სცენაზე წარდგებიან უცხოეთში მოღვაწე ქართველი საოპერო ვარსკვლავი ბადრი მაისურაძე (სამსონი), აღიარებული შვედი მეცოსოპრანო ანა ლარსონი (დალილა), ლევგი იმედაშვილი (აბიმელეხი; მოხუცი ებრაელი) და დაგონის პარტიით - ქართველებისთვის ნაცნობი ჩინებული ლიტველი მომღერალი დაინიუს სტუმბრასი (მან შარშან თბილისურ "აიდაში" ამონასროს პარტია იმღერა და მონაწილეობა მიიღო მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტთა გალა-კონცერტსა და ოთარ თაქთაქიშვილის საიუბილეო კონცერტში).

"დალჰალას" ფესტივალისკენ თბილისის ოპერის თეატრს "გზის გაკაფვაში" დიდად დაეხმარა ბადრი მაისურაძე, რომლის ხელოვნებას დიდ პატივს მიაგებენ ამ ფესტივალის ხელმძღვანელები. ბადრი არაერთხელ ყოფილა დალჰალას შემოქმედებითი სტუმარი. "დალჰალას ფესტივალი ძალიან სერიოზული მუსიკალური ფორუმია. ის პრესტიჟულობის მხრივ "არენა დი ვერონას" (იტალია), "ორანჟს" (საფრანგეთი), "კარაკალას" (ესპანეთი) უთანაბრდება. შესაბამისია აუდიტორიაც, რომლის შემადგენლობაში მუსიკის მოყვარულებთან ერთად მრავლად არიან თეატრებით დაინტერესებული პირებიც - იმპრესარიოები, სხვადასხვა ფესტივალების დირექტორები, რაც ჩვენი თეატრისთვის მნიშვნელოვანია უცხოეთთან ურთიერთობის მომავალი პერსპექტივის თვალსაზრისით. დალჰალაში მიწვევა ნათლად ცხადყოფს, რომ თბილისის ოპერის თეატრის შემოქმედება საინტერესოა, რომ ქართველი ხელოვანები საინტერესონი ვართ", - ამბობს ბადრი მაისურაძე.

მართლაც, ფესტივალში მონაწილეობა სერიოზული ნაბიჯია საერთაშორისო აღიარებისკენ არა მხოლოდ ჩვენი თეატრისთვის, არამედ უფრო ფართოდ - მთლიანად ქართული კულტურისთვისაც, მით უფრო, წარმატებული მონაწილეობა, რაც ობიექტურ ფაქტორთა გათვალისწინებით ეჭვს არ იწვევს.

მოკლედ

## ფრანგი სპეციალისტი ეროვნულ მუზეუმს ეწვია

თბილისს საფრანგეთის მუზეუმების რესტავრაცია-კონსერვაციის ცენტრის დირექტორი კრისტიან ლაფანი ეწვია, რომელიც საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებისთვის სემინარს ჩაატარებს. ლაფანი ქართველ კოლეგებს ექსპონატების შეფუთვისა და გადაზიდვის უახლეს ტექნოლოგიებს გააცნობს.

აღნიშნული ღონისძიება საქართველოს ეროვნული მუზეუმის გაერთიანებაში შემავალ მუზეუმებში მიმდინარე წლის ზაფხულში მასშტაბური სარემონტო სამუშაოების დაწყებას უკავშირდება.

როგორც ეროვნული მუზეუმის დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ განაცხადა, რემონტის დროს ძალიან მნიშვნელოვანია მუზეუმის საცავებში დაცული კოლექციების შეფუთვისა და გადაადგილების პროცესი. მისი განცხადებით, ეს პროცესი საკმაოდ დიდ დროს მოიცავს და სპეციალური მომზადება და წინასწარი ანალიზი სჭირდება.

ლორთქიფანიძის განცხადებით, სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს უმაღლესი კლასის საცავები, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სარესტავრაციო-საკონსერვაციო ლაბორატორია და საერთაშორისო დონის საგამოფენო დარბაზები ექნება.

ეროვნული მუზეუმის გაერთიანებაში საქართველოს რვა უმსხვილესი მუზეუმი ერთიანდება: სიმონ ჯანაშიას სახელობის ისტორიის, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების, თბილისის ეთნოგრაფიული, თბილისის ისტორიული, ვანის, სამცხე-ჯავახეთის, სვანეთისა და დმანისის მუზეუმები.

*ინტერპრესნიუსი*

## კინოცენტრმა კონკურსში გამარჯვებულები გამოავლინა

ეროვნული კინოცენტრის საექსპერტო კომისიამ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების დასაფინანსებლად გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულები გამოავლინა.

როგორც კინოცენტრის წარმომადგენლებმა განაცხადეს, დაფინანსებას მიიღებს ორი ფილმი: შპს "ტაია ჯგუფის" პროექტი "ჯაყოს ხიზნები" და ეკატერინე ხვედელიძის "ბიჭები". "ჯაყოს ხიზნებისთვის" 500 ათასი ლარია განკუთვნილი, "ბიჭებისთვის" - 466 ათასი ლარი.

ეროვნული კინოცენტრი ფილმების ბიუჯეტის მხოლოდ 75 პროცენტს დაფარავს. აღნიშნული თანხა უკვე გაწერილია კინოცენტრის 2007-2008 წლების ბიუჯეტში.

ფილმებს რეჟისორები დათო ჯანელიძე და ლევან კოღუაშვილი გადაიღებენ.

სულ კონკურსში 14 პროექტი მონაწილეობდა.

*ჯი ეიჩ ენი*

## ფიროსმანის გამოფენა თბილისში

ნიკო ფიროსმანის გამოფენას ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ათასამდე დამთვალიერებელი ესტუმრა. მათ შორის უცხოელი ტურისტებიც.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო ნიკო ფიროსმანის 35 ნამუშევარი, რომლებიც მიმდინარე წლის 5 აპრილიდან 14 მაისამდე კიევში, უკრაინის სამხატვრო მუზეუმში იყო გამოფენილი.

შარშანდელი წელი უკრაინაში საქართველოს წლად იყო გამოცხადებული. ღონისძიებათა დასკვნითი ეტაპი ფიროსმანის გამოფენა იყო. საქართველოს ეროვნული მუზეუმის შემდეგ ეს გამოფენა პირველი საზღვარგარეთული ექსპოზიცია იყო. კიევში ფიროსმანის ტილოები 60 ათასმა უკრაინელმა დამთვალიერებელმა ნახა.

ნიკო ფიროსმანის გამოფენა ნომინირებულია კონკურსზე "უკრაინის 2006 წლის საუკეთესო სამუზეუმო მოვლენა", რომლის ორგანიზატორები არიან საერთაშორისო ფონდი "უკრაინა 3000" და უკრაინის ნაციონალური არხი. კონკურსის სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელია უკრაინის პირველი ლედი.

ექსპოზიცია "ნიკო ფიროსმანი - თბილისი-კიევი-თბილისი" 13 ივლისს გაიხსნა და სექტემბრის შუა რიცხვებამდე გაგრძელდება.

*ინტერპრესნიუსი*

## რუსთაველის თეატრი ბათუმშია

შოთა რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრი გასტროლებზე ბათუმში გაემგზავრა. დასი ბათუმის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე სამ სპექტაკლს წარმოადგენს.

3 და 4 აგვისტოს წარმოადგენენ ირაკლი სამსონაძის "ვანილის სევდიანი, მოტკბო სურნელი", 5-6 აგვისტოს - დავით კლდიაშვილის "დარისპანის გასაჭირი", ხოლო 7 და 8 აგვისტოს რეჯინალდ როუზის "თორმეტი განრისხებული მამაკაცი".

"ბათუმში საგასტროლოდ რუსთაველის თეატრის მთელი დასი გაემგზავრა. ჩვენი თეატრისთვის საქართველოს თეატრებში ტურნეს მომზადება საკმაოდ რთულია, რადგან გვჭირდება დიდი და გამართული სცენა. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ასეთი დარბაზები ცოტაა. ამ მხრივ ბათუმის თეატრი სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენს", - განაცხადა რუსთაველის თეატრის დირექტორმა გია თევზაძემ.

რუსთაველის თეატრის დასი თბილისში 11 აგვისტოს დაბრუნდება.

*ინტერპრესნიუსი*

## Metallica

ჯგუფმა Metallica მიიღო გადაწყვეტილება, რომ 2006 წლის 25 ივლისიდან განათავსოს თავისი ალმობემი გასაყიდად iTunes Music Store. ერთი ტრეკის ღირებულება 99 ცენტს შეადგენს. Metallica დიდი ხნის განმავლობაში წინააღმდეგი იყო მუსიკის ციფრული ვიდეო ჩანაწერების. ჯგუფი არა მარტო აკრიტიკებდა პოპულარ სერვისებს, როგორიცაა Napster, არამედ უარს ამბობდა თავისი მუსიკის გაყიდვაზე ლეგალურ mp3-მაღაზიებში. ახლაც კი ჯგუფმა განათავსა iTunes მხოლოდ ოთხი ალბომი: "Kill'Em All," "Ride The Lightning", "Master of Puppets," და "...And Justice For All," რომელთა ყიდვაც მხოლოდ ამერიკის და კანადის მცხოვრებლებს შეუძლიათ. დამატებით ჯგუფმა გამოაქვეყნა რამდენიმე ტრეკი ცოცხალი შესრულებით, რომლებიც ჩაწერილია სიეტლში 1989 წელს.

ივერია მოტორსი



- ახალი ავტომობილები ხელსაყრელ ფასებში
- გარანტიით
- თვითმცლელები, სატვირთოები, სპეცავტომობილები, მაღალი ტვირთამწეობის, მრავალღერძიანი ევრო-2, ევრო-3-ის სტანდარტების.

მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის მარცხენა სანაპირო, გუდაუთის ქ. N7. ტელ: 34-60-03, 34-16-50; მობ.: 899 51 30 49

საქართველოს მე-18 ეროვნული ჩემპიონატის და დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გათამაშების კალენდარი 2006 წელს

**პირველი ტური:**

**29 ივლისი, შაბათი:** "დინამო" (თბილისი) - "ბორჯომი" (ბორჯომი); "დილა" (გორი) - "დინამო" (ბათუმი); "სიონი" (ბოლნისი) - "ოლიმპი" (რუსთავი); "კახეთი" (თელავი) - "მერანი" (თბილისი); "ზესტაფონი" (ზესტაფონი) - "ლოკომოტივი" (თბილისი)

**31 ივლისი, ორშაბათი:** "ამერი" (თბილისი) - "ჩიხურა" (საჩხერე); "ტორპედო" (ქუთაისი) - "ვიტ ჯორჯია" (თბილისი)

**მეორე ტური:**

**5 აგვისტო, შაბათი:** "დინამო" (ბათუმი) - "ამერი" (თბილისი)

**6 აგვისტო, კვირა:** "ვიტ ჯორჯია" (თბილისი) - "სიონი" (ბოლნისი); "ბორჯომი" (ბორჯომი) - "ლოკომოტივი" (თბილისი); "მერანი" (თბილისი) - "ზესტაფონი" (ზესტაფონი); "ოლიმპი" (რუსთავი) - "კახეთი" (თელავი); "ჩიხურა" (საჩხერე) - "ტორპედო" (ქუთაისი); "დინამო" (თბილისი) - "დილა" (გორი)

**9-11 აგვისტო, ოთხშაბათი-პარასკევი:** თასის გათამაშების 1/16 ფინალის პირველი მატჩები

**მესამე ტური:**

**20 აგვისტო, კვირა:** "დილა" (გორი) - "ბორჯომი" (ბორჯომი); "ამერი" (თბილისი) - "დინამო" (თბილისი); "ტორპედო" (ქუთაისი) - "დინამო" (ბათუმი); "სიონი" (ბოლნისი) - "ჩიხურა" (საჩხერე); "კახეთი" (თელავი) - "ვიტ ჯორჯია" (თბილისი); "ზესტაფონი" (ზესტაფონი) - "ოლიმპი" (რუსთავი); "ლოკომოტივი" (თბილისი) - "მერანი" (თბილისი)

**23 აგვისტო, ოთხშაბათი:** თასის გათამაშების 1/16 ფინალის საპასუხო მატჩები

**მეოთხე ტური:**

**27 აგვისტო, კვირა:** "ბორჯომი" (ბორჯომი) - "მერანი" (თბილისი); "ოლიმპი" (რუსთავი) - "ლოკომოტივი" (თბილისი); "ვიტ ჯორჯია" (თბილისი) - "ზესტაფონი" (ზესტაფონი); "ჩიხურა" (საჩხერე) - "კახეთი" (თელავი); "დინამო" (ბათუმი) - "სიონი" (ბოლნისი); "დინამო" (თბილისი) - "ტორპედო" (ქუთაისი); "დილა" (გორი) - "ამერი" (თბილისი)

**მეხუთე ტური:**

**9 სექტემბერი, შაბათი:** "ამერი" (თბილისი) - "ბორჯომი" (ბორჯომი); "ტორპედო" (ქუთაისი) - "დილა" (გორი); "სიონი" (ბოლნისი) - "დინამო" (თბილისი); "კახეთი" (თელავი) - "დინამო" (ბათუმი); "ზესტაფონი" (ზესტაფონი) - "ჩიხურა" (საჩხერე); "ლოკომოტივი" (თბილისი) - "ვიტ ჯორჯია" (თბილისი); "მერანი" (თბილისი) - "ოლიმპი" (რუსთავი)

**1 სექტემბერი, ოთხშაბათი:** თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპის პირველი ტურის მატჩები

**მეექვსე ტური:**

**17 სექტემბერი, კვირა:** "ბორჯომი" (ბორჯომი) - "ოლიმპი" (რუსთავი); "ვიტ ჯორჯია" (თბილისი) - "მერანი" (თბილისი); "ჩიხურა" (საჩხერე) - "ლოკომოტივი" (თბილისი); "დინამო" (ბათუმი) - "ზესტაფონი" (ზესტაფონი); "დინამო" (თბილისი) - "კახეთი" (თელავი); "დილა" (გორი) - "სიონი" (ბოლნისი); "ამერი" (თბილისი) - "ტორპედო" (ქუთაისი)

**მეშვიდე ტური:**

**23 სექტემბერი, შაბათი:** "ტორპედო" (ქუთაისი) - "ბორჯომი" (ბორჯომი); "სიონი" (ბოლნისი) - "ამერი" (თბილისი); "კახეთი" (თელავი) - "დილა" (გორი); "ზესტაფონი" (ზესტაფონი) - "დინამო" (თბილისი); "ლოკომოტივი" (თბილისი) - "დინამო" (ბათუმი); "მერანი" (თბილისი) - "ჩიხურა" (საჩხერე); "ოლიმპი" (რუსთავი) - "ვიტ ჯორჯია" (თბილისი)

**27 სექტემბერი, ოთხშაბათი:** თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპის მეორე ტურის მატჩები

**მერვე ტური:**

**14 ოქტომბერი, შაბათი:** "ბორჯომი" (ბორჯომი) - "ვიტ ჯორჯია" (თბილისი); "ჩიხურა" (საჩხერე) - "ოლიმპი" (რუსთავი); "დინამო" (ბათუმი) - "მერანი" (თბილისი); "დინამო" (თბილისი) - "ლოკომოტივი" (თბილისი); "დილა" (გორი) - "ზესტაფონი" (ზესტაფონი); "ამერი" (თბილისი) - "კახეთი" (თელავი); "ტორპედო" (ქუთაისი) - "სიონი" (ბოლნისი)

**მეცხრე ტური:**

**21 ოქტომბერი, შაბათი:** "სიონი" (ბოლნისი) - "ბორჯომი" (ბორჯომი); "კახეთი" (თელავი) - "ტორპედო" (ქუთაისი); "ზესტაფონი" (ზესტაფონი) - "ამერი" (თბილისი); "ლოკომოტივი" (თბილისი) - "დილა" (გორი); "მერანი" (თბილისი) - "დინამო" (თბილისი); "ოლიმპი" (რუსთავი) - "დინამო" (ბათუმი); "ვიტ ჯორჯია" (თბილისი) - "ჩიხურა" (საჩხერე)

**25 ოქტომბერი, ოთხშაბათი:** თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპის მესამე ტურის მატჩები

**მეათე ტური:**

**29 ოქტომბერი, კვირა:** "ბორჯომი" (ბორჯომი) - "ჩიხურა" (საჩხერე); "დინამო" (ბათუმი) - "ვიტ ჯორჯია" (თბილისი); "დინამო" (თბილისი) - "ოლიმპი" (რუსთავი); "დილა" (გორი) - "მერანი" (თბილისი); "ამერი" (თბილისი) - "ლოკომოტივი" (თბილისი); "ტორპედო" (ქუთაისი) - "ზესტაფონი" (ზესტაფონი); "სიონი" - "კახეთი" (თელავი)

**მეთერთმეტე ტური:**

**5 ნოემბერი, კვირა:** "კახეთი" (თელავი) - "ბორჯომი" (ბორჯომი); "ზესტაფონი" (ზესტაფონი) - "სიონი" (ბოლნისი); "ლოკომოტივი" (თბილისი) - "ტორპედო" (ქუთაისი); "მერანი" (თბილისი) - "ამერი" (თბილისი); "ოლიმპი" (რუსთავი) - "დილა" (გორი); "ვიტ ჯორჯია" (თბილისი) - "დინამო" (თბილისი); "ჩიხურა" (საჩხერე) - "დინამო" (ბათუმი)

**11 ნოემბერი, შაბათი:** თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპის მეოთხე ტურის მატჩები

**მეთორმეტე ტური:**

**18 ნოემბერი, შაბათი:** "ბორჯომი" (ბორჯომი) - "დინამო" (ბათუმი); "დინამო" (თბილისი) - "ჩიხურა" (საჩხერე); "დილა" (გორი) - "ვიტ ჯორჯია" (თბილისი); "ამერი" (თბილისი) - "ოლიმპი" (რუსთავი); "ტორპედო" (ქუთაისი) - "მერანი" (თბილისი); "სიონი" (ბოლნისი) - "ლოკომოტივი" (თბილისი); "კახეთი" (თელავი) - "ზესტაფონი" (ზესტაფონი)

**22 ნოემბერი, ოთხშაბათი:** თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპის მეხუთე ტურის მატჩები

**მეცამეტე ტური:**

**26 ნოემბერი, კვირა:** "ზესტაფონი" (ზესტაფონი) - "ბორჯომი" (ბორჯომი); "ლოკომოტივი" (თბილისი) - "კახეთი" (თელავი); "მერანი" (თბილისი) - "სიონი" (ბოლნისი); "ოლიმპი" (რუსთავი) - "ტორპედო" (ქუთაისი); "ვიტ ჯორჯია" (თბილისი) - "ამერი" (თბილისი); "ჩიხურა" (საჩხერე) - "დილა" (გორი); "დინამო" (ბათუმი) - "დინამო" (თბილისი)

**2 დეკემბერი, შაბათი:** თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპის მეექვსე ტურის მატჩები

**მე-18 ეროვნული ჩემპიონატი: უმაღლეს ლიგაში 14 გუნდი**

საქართველოს მე-18 ეროვნულ ჩემპიონატში, რომლის პირველი ტურის თამაშები 29-31 ივლისს გაიმართება, 16 გუნდის ნაცვლად 14 ითამაშებს - პროფესიული ფეხბურთის ლიგის მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო ფოთის "კოლხეთი 1913" და ცხინვალის "ცხინვალი" უმაღლესი ლიგიდან მოკვეთილნი არიან.

დიმიტრი რამიშვილი, პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი:

"25 ივლისს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე სარევიზიო კომისიის დასკვნა მოვისმინეთ. აღმოჩნდა, რომ გორის "დილა", ფოთის "კოლხეთი 1913" და ცხინვალის "ცხინვალი" ვერ აკმაყოფილებდნენ ჩვენს მოთხოვნებს. ამ კლუბებს ორდღიანი ვადა მივეცით სიტუაციის გამოსასწორებლად - წინააღმდეგ შემთხვევაში უმაღლეს ლიგაში ვერ ითამაშებდნენ. ვადის ამოწურვამდე მხოლოდ გორის "დილამ" მოახერხა პფლ-ის მოთხოვნების დაკმაყოფილება და შესაბამისად, ჩემპიონატშიც ის ითამაშებს, ფოთის "კოლხეთი 1913" და ცხინვალის "ცხინვალი" კი - არა."

ორი გუნდის გამოკლებით საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის კალენდარიც შეიცვალა და თამაშების რაოდენობაც შემცირდა, თუმცა პფლ-ის მესვეურთა გადაწყვეტილებით, დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების ფორმატი შეიცვალა, რის გამოც გუნდებს თასზე დამატებითი შეხვედრების გამართვა მოუწევთ, საერთო ჯამში კი სეზონში თითქმის იმდენივე მატჩს გამართავენ, რამდენსაც ადრე:

სათასო მატჩები 1/16 ფინალიდან დაიწყება. თავდაპირველად გათამაშებაში ჩაებმება უმაღლესი ლიგის 10 გუნდი, პირველლიგელები ფარმ-კლუბების გარდა და რეგიონალლიგის ორი წარმომადგენელი - სულ 24 გუნდი. მერვედფინალში გასულ 12 კლუბს დაემატება 4 უმაღლესლიგელი, ისინი, რომლებსაც წლეულს ევროთასებზე ასპარეზობა მოუხდათ. ეს თექვსმეტი გუნდი ოთხ ოთხგუნდიან ჯგუფში განთესვის პრინციპით გადანაწილდება. ჯგუფურ ტურნირში მატჩები წრიული სისტემით - შინ და გარეთ - ჩატარდება. მეოთხედფინალში ჯგუფებიდან ორ-ორი საუკეთესო გუნდი გავა, შემდეგ კი გათამაშება ოლიმპიური სისტემით წარიმართება.

**დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გათამაშების კალენდარი:**

9-11 აგვისტო - 1/16 ფინალის პირველი მატჩები
23 აგვისტო - 1/16 ფინალის საპასუხო მატჩები
13 სექტემბერი - ჯგუფური ეტაპის პირველი ტური
27 სექტემბერი - ჯგუფური ეტაპის მეორე ტური
25 ოქტომბერი - ჯგუფური ეტაპის მესამე ტური
11 ნოემბერი - ჯგუფური ეტაპის მეოთხე ტური
22 ნოემბერი - ჯგუფური ეტაპის მეხუთე ტური
2 დეკემბერი - ჯგუფური ეტაპის მეექვსე ტური

**საქართველოს მე-18 ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტური:**

29 ივლისი, შაბათი: "დინამო" (თბილისი) - "ბორჯომი" (ბორჯომი); "დილა" (გორი) - "ბათუმი" (ბათუმი); "სიონი" (ბოლნისი) - "ოლიმპი" (რუსთავი); "კახეთი" (თელავი) - "მერანი" (თბილისი); "ზესტაფონი" (ზესტაფონი) - "ლოკომოტივი" (თბილისი)

31 ივლისი, ორშაბათი: "ამერი" (თბილისი) - "ჩიხურა" (საჩხერე); "ტორპედო" (ქუთაისი) - "ვიტ ჯორჯია" (თბილისი)

*სფფ-ის პრესცენტრი*

# ახალი სეზონი, ძველი სტილი

## "დინამოში" ექსპერიმენტი გრძელდება

მიხეილ აბაიშვილი

ხვალ სტარტს აიღებს საქართველოს მე-18 ჩემპიონატი ფეხბურთში უმაღლესი ლიგის კლუბებს შორის. გასული ჩემპიონატის "ჩაგდების" შემდეგ, რომელშიც თბილისის "დინამომ" მესამე ადგილი დაიკავა, ეს დედაქალაქური კლუბი გულშემატკივრების თვალში რეაბილიტაციას დამდეგ ჩემპიონატში და ეროვნული თასის გათამაშებაში გეგმავს. ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ "დინამოს" დიღმის საწვრთნელ ბაზაზე გამართულ პრესკონფერენციაზე კლუბის ხელმძღვანელობამ, თუმცა, პირადად ჩემთვის უცნობია, რა საფუძველს ემყარება კლუბის შეფების ოპტიმიზმი.

"გუნდი ტრადიციულად უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს. საქართველოს ჩემპიონატის ოქროს მედლები და გამარჯვება დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის ტურნირში", - ასეთი გახლავთ კლუბის მმართველი დირექტორის ბუბა ტყავაძის განცხადება. მაგრამ ერთია განცხადება, მეორე - რეალობა. ასეთივე წარმატებით კახა ცხადაძეს შეუძლია თქვას, რომ მისი ბოლნისის "სიონი" ჩემპიონთა თასის ტურნირში გამარჯვებისთვის იბრძოლებს. შესაძლოა, შედარება მთლად ზუსტი არ არის, მაგრამ, სხვა ხარვეზებზე რომ აღარაფერი ვთქვა, თუნდაც კლუბის სამწვრთნელო შტაბში არსებული ქაოსური სიტუაცია გუნდისთვის რომ სერიოზულ შემაფერხებელ გარემოებად იქცევა, ფაქტია. თავად განსაჯეთ: "დინამოს" ისევ არ ჰყავს მთავარი მწვრთნელი და ამ ფუნქციას შარშან, შუა სეზონში ზარ-ზეიმით ჩამოყვანილი, ხოლო სეზონის ბოლოს უხმაუროდ გაშვებული ანდრეი ჩერნიშოვის შემცვლელი კახა კაჭარავა ასრულებს. მისი ბედი თვით "დინამოს" შეფებისთვის არის გაურკვეველი.

"კახა კაჭარავა თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის დროებით შემსრულებელია. იგი ჩვენი კადრია და ყველანაირად შევეცდებით, მაქსიმალურად შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა. თუ კაჭარავა ამ პოსტზე წარმატებული იქნება, მასთან კონტრაქტსაც გავაფორმებთ. ვფიქრობთ კვალიფიციურ უცხოელ სპეციალისტზე, თუმცა, უცხოელის ჩამოყვანა ჩვენი თვითმიზანი არ არის. არსებულ ვითარებაში, შესაძლოა, არც იყოს აუცილებელი ასეთი ნაბიჯის გადადგმა. თუ კაჭარავამ ნდობა გაამართლა, ის პოსტზე დარჩება", - ასეთი გახლავთ ბუბა ტყავაძის კომენტარი.

თავად ხედავთ, რომ ექსპერიმენტები თბილისის "დინამოზე" არ მთავრდება. პიროვნულად კახა კაჭარავას საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ძალიან კარგი, შრომისმოყვარე ადამიანია, მაგრამ, დავიჯერო, ეს თვისებები თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელის პოსტის დასაკავებლად საკმარისია? ნუთუ ერთ დროს ჩვენი საამაყო გუნდის მთავარი მწვრთნელობისთვის თუნდაც ადგილობრივი მნიშვნელობის უმაღლეს დონეზე წარმატებული სამწვრთნელო გამოცდილებაც აღარ არის საჭირო?

კიდევ ერთი არაორდინარული სიტუაცია: კაჭარავას არ ჰყავს ასისტენტი, ან თუ ჰყავს, ზუსტად არ იცის ვინ არის ის.

"სამწვრთნელო შტაბში არიან მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი კახა კაჭარავა, მეკარეების მწვრთნელი გელა ჭანტურია და სპორტული კოორდინატორი (???) გია ჯიშკარიანი. ასისტენტის, ანუ მეორე მწვრთნელის მოვალეობასაც გელა ჭანტურია შეასრულებს", - ეს ბუბა ტყავაძემ განგვიცხადა.

"მეკარეების ვარჯიში გელა ჭანტურიას აქვს მინდობილი. რაც შეეხება გია ჯიშკარიანს, ის გუნდის გაწვრთნაში დამეხმარება და ასისტენტის ფუნქციას იტვირთებს", - ეს უკვე თავად კახა კაჭარავას მიერ იმავე პრესკონფერენციაზე ნათქვამი სიტყვებია. ვის დავუჯეროთ? კლუბის მმართველ დირექტორს თუ მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელს? საერთოდ, ასისტენტი ის სპეციალისტია, რომელსაც მთავარი მწვრთნელი ერთპიროვნულად ირჩევს და რომელიც მისი მარჯვენა ხელია. ვთქვათ, კაჭარავას წინამორბედმა ანდრეი ჩერნიშოვმა თბილისში არა მხოლოდ ასისტენტი, არამედ პირადი ვიდეოინჟინერიც ჩამოიყვანა და მედიას უთხრა, რომ მათ გარეშე მუშაობას ვერ შეძლებდა.

მისი გაურკვეველი სტატუსიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ მას თანაშემწისა და სამწვრთნელო შტაბის შერჩევის დროსაც კი არ მიეცა მოქმედების თავისუფლება, ასეთ მნიშვნელოვან პოსტზე დანიშვნა კახა კაჭარავას სამწვრთნელო კარიერის გაწირვად მიმაჩნია. "დინამო" კი კიდევ ერთხელ დაიწყებს ცუდად, შუა ჩემპიონატში მწვრთნელს გამოუცვლიან, კიდევ ვიღაც დროებით მწვრთნელს მოუყვანენ და უკვე მერამდენე სეზონი დაიკარგება.

კიდევ ერთი ფაქტორი მაფიქრებინებს, რომ "დინამოს" მკვეთრად უარყოფითი შედეგები ექნება. პრესკონფერენციაზე გამოჩნდა, რომ კაჭარავას ჯერ ვერ განუსაზღვრავს, თუ ფეხბურთელთა რომელ ბირთვზე გააკეთებს აქცენტს.

"თბილისის "დინამო" ძალზე ახალგაზრდული გუნდია. საშუალო ასაკი 20-21 წელია. ჩემს გუნდში ერთ ან ორ ფეხბურთელზე არ აეწყობა თამაში. ითამაშებს მთელი გუნდი, უფრო მეტიც, განაცხადში მყოფი ოცდაორივე ფეხბურთელი. ერთი და იგივე შემადგენლობით თამაშს არ ვაპირებ. გუნდის შემადგენლობა შეიცვლება მოწინააღმდეგის დონისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით და ეს მუდმივი პროცესი იქნება", - ეს ძალზე ორიგინალური განცხადებაც "დინამოს" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელს ეკუთვნის. თუ მართლაც ასე მოხდა და პირტიტველა ბიჭებით დაკომპლექტებული "დინამო" პერმანენტულად შემადგენლობის როტაციას და ტაქტიკის ცვლას მოუნდა, აბსურდის თეატრამდე მივალთ.

თქვე დალოცვილებო, თუ მაინცდამაინც ქართველი მწვრთნელი გინდათ და კლუბის ბიუჯეტი არ გაძლევთ მაღალანაზღაურებადი უცხოელი სპეციალისტის მოწვევის საშუალებას, რატომ მიდიხართ ასეთ გაუმართლებელ რისკზე და კრახისთვის განწირულ ექსპერიმენტზე? იქნებ ისეთი კაცი მოგეძებნათ, რაღაც რომ გაუკეთებია და რაღაცისთვის მიუღწევია? თუ საქართველოში ასეთი აღარავინ დაგვრჩა? დავიჯერო, რაც არ უნდა კარგი პოსტი ეკავოს, საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ მყოფი რომელიმე ქართველი მწვრთნელი უარს იტყვის "დინამოს" მესაჭეობაზე? თემურ მახარაძე, რომელიც დღეს საუკეთესო ქართველი მწვრთნელია, სულაც უმუშევარია. მახარაძე რომ მოგეყვანათ, საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვება ხომ გარანტირებული გექნებოდათ?

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ "დინამო" მხოლოდ მე და კიდევ რამდენიმე იდეალისტ გულშემატკივარსღა გვტკივა. პრეზიდენტს და მეპატრონეს ეს გუნდი აღარ აინტერესებს და მძიმე ტვირთად მიაჩნია, სამეთვალყურეო საბჭო ურთიერთქიშპობით არის დაკავებული, კლუბის მმართველები "ორიგინალურ" გადწყვეტილებებს იღებენ და აბსურდულ ექსპერიმენტებს აგრძელებენ. მიზანი კი არ იცვლება - ჩემპიონობა და თასი. ნეტარ არიან...

# "ამერი" ბერლინს ესტუმრება



წილისყრამ "ამერი" ბერლინში გაგზავნა.

გუშინ ნიონში, უეფას შტაბბინაში, ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის წილაისყრა გაიმართა. ცხადია, ჩვენ ქართთული გუნდების ბედი გვაღელვებდა. თბილისურ "ამერს" უეფას თასის გათამაშების მეორე რაუნდში უაღრესად სერიოზული მეტოქე ეყოლება ბერლინის "ჰერტას" სახით. რაც შეეხება ბოლნისის "სიონს", თუ კახა ცხადაძის გუნდმა ბულგარული ბარიერი გადალახა, იტალიურ "კიევოსთან" მოუწევს დაპირისპირება. ბოლნისელებს წილისყრით შედარებით გაუმართლათ. მეტიც, მათ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლის შანსიც კი მიეცათ. რა თქმა უნდა, ამაზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ თუ მაინც ვიტყვით, "სიონმა" საკუთარ მინდორზე "ლევსკისთან" არსებული ორბურთიანი დეფიციტი რომ აღმოფხვრას და შემდეგ ეტაპზე გავიდეს, მაშინ უკვე "კიევოს" ბარიერის გადალახვაზეც შეიძლება საუბარი.

რაც შეეხება "ამერს", ცხადია, მეტოქე ძალიან სერიოზულია. თუმცა, იმით მაინც შეგვიძლია გავიხაროთ, რომ ქართველი ფეხბურთელები ბერლინში ზუსტად იმ სტადიონზე ითამაშებენ, რომელზეც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი გაიმართა.

**ჩემპიონთა ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი**

შერიფი (მოლდოვა) / სპარტაკი (რუსეთი) - ლიბერეცი (ჩეხეთი)
შახტარი (უკრაინა) - ჰაფნარფორდური (ისლანდია) / ლეგია (პოლონეთი)
ციურიხი (შვეიცარია) / ზალცბურგი (ავსტრია) - ვალენსია (ესპანეთი)
ჰართსი (შოტლანდია) / შიროკი ბრეგი (ბოსნია) - აეკი (საბერძნეთი)
ცსკა (რუსეთი) - იურგორდენი (შვედეთი) / რუმბეროკი (სლოვაკეთი)
მილანი (იტალია) - კორკ სიტი (ირლანდია) / ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)
გალათასარაი (თურქეთი) - ბოლესლავი (ჩეხეთი) / ვოლერენგა (ნორვეგია)
სტანდარდი (ბელგია) - ნოვო გორიცა (სლოვენია) / სტიაუა (რუმინეთი)
**ლევსკი (ბულგარეთი) / სიონი (საქართველო) - კიევო (იტალია)**
აუსტრია (ავსტრია) - ბენფიკა (პორტუგალია)
ეკრანაუსი (ლიტვა) / დინამო (ხორვატია) - არსენალი (ინგლისი)
კოპენჰაგენი (დანია) / მილკოსკენი (ფინეთი) - აიაქსი (ჰოლანდია)
ჰამბურგი (გერმანია) - ოსასუნა (ესპანეთი)
მეტალურგსი (ლატვია) / დინამო (უკრაინა) - ფენერბახჩე (თურქეთი) / ტორსჰვანი (ფარერები)
ლივერპული (ინგლისი) - მაქაბი (ჰაიფა, ისრაელი)
ლილი (საფრანგეთი) - დებრენეცი (უნგრეთი) / რაბოტნიჩკი (მაკედონია)

**პირველი მატჩები გაიმართება 8-9 აგვისტოს, განმეორებითი - 22-23 აგვისტოს**

**უეფას თასი. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი**

აპოელი (კვიპროსი) - ტრაბზონი (თურქეთი)
ჰაპოელი (ტელ-ავივი, ისრაელი) - დომჟალე (სლოვენია)
ცსკა (ბულგარეთი) - ჰაიდუკი (სერბეთი)
რუზელარე (ბელგიტა) - ეთნიკოსი (კვიპროსი)
ბეოგარდი (სერბეთი) - ოსერი (საფრანგეთი)
დინამო (რუმინეთი) - ბეითარი (ისრაელი)
პარტიზანი (სერბეთი) - მარიბორი (სლოვენია)
სარაევო (ბოსნია) - რაპიდი (რუმინეთი)
ბნეი ეჰუდა (ისრაელი) - ლოკომოტივი (ბულგარეთი)
ომონია (კვიპროსი) - ლიტექსი (ბულგარეთი)
ტირანა (ალბანეთი) - კაიზერი (თურქეთი)
არტმედია (სლოვაკეთი) - დინამო (ბელორუსი)
რიდი (ავსტრია) - სიონი (შვეიცარია)
ფეჰრევარი (უნგრეთი) - გრასჰოპერი (შვეიცარია)
ქარვანი (აზერბაიჯანი) - სლვაია (პრაღა, ჩეხეთი)
ჩერნომორეცი (ოდესა) - პლოცკი (პოლონეთი)
ბაზელი (შვეიცარია) - ვადუცი (ლიხტენშტაინი)
ზიმქრუ (მოლდოვა) - მეტალურგი (უკრაინა)
მატერსბურგი (ავსტრია) - ვისლა (პოლონეთი)
**ჰერტა (გერმანია) - ამერი (თბილისი)**
რუბინი (რუსეთი) - ბატე (ბელორუსი)
მარსელი (საფრანგეთი) - იანგ ბოისი (შვეიცარია)
სტარტი (ნორვეგია) - დროგჰედა (ირლანდია)
ოდენსე (დანია) - ლანელი (უელსი)
კაუნასი (ლიტვა) - რანდერსი (დანია)
ტვენტე (ჰოლანდია) - ლევადია (ესტონეთი)
ვენცპილსი (ლატვია) - ნიუკასლი (ინგლისი)
ბრანი (ნორვეგია) - ატვიდაბერგი (შვედეთი)
მიოლდე (ნორვეგია) - სკონტო (ლატვია)
ფლორა (ესტონეთი) - ბრონდბიუ (დანია)
სუდოვა (ლიტვა) - ბრიუგე (ბელგია)
გრეტნა (შოტლანდია) - დერი სიტი (ირლანდია)

**პირველი მატჩები გაიმართება 10 აგვისტოს, განმეორებითი - 24 აგვისტოს**

# ფსკერს თავი დაავაღწიეთ

ორადეაში (რუმინეთი) მიმდინარე წყალბურთელთა ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატი საქართველოს ნაკრებისთვის დასრულდა. B ჯგუფში რუმინეთთან, საფრანგეთთან და უნგრეთთან მარცხის, G ჯგუფში სლოვენიელებთან წაგებული და ამავე ჯგუფში დიდ ბრიტანეთთან მოგებული მატჩების შემდეგ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუშინ მე-13-14 ადგილებისთვის ბრძოლაში ჩაება. მეტოქედ ჰოლანდიის ნაკრები ჰყავდა, რომელმაც მანამდე, საკვალიფიკაციო ეტაპზე D ჯგუფში, სამივე მატჩი წააგო და H ჯგუფში გადაინაცვლა. ჰოლანდიისა და საქართველოს სახით გუშინ სტატისტიკურად თანაბარი ძალის გუნდებს მოუხდათ ერთმანეთში ურთიერთობის გარკვევა. ოთხი პერიოდის ჯამში ([2-1] [1-2] [0-5] [2-2]) საქართველოს ნაკრები დამარცხდა - 5:10, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენმა გუნდმა ევროპის ჩემპიონატი მე-14 ადგილით დაასრულა. მე-15-16 ადგილები დაიკავეს ბრიტანელებმა და პოლონელებმა.



# მიწისძვრები და ჩვენ

თანამედროვე პირობებში, როდესაც შეიმჩნევა კლიმატის გლობალური ცვლილება, როდესაც ხორციელდება ტერიტორიების ინტენსიური სამეურნეო ათვისება, როდესაც იზრდება ადამიანის გავლენა გარემოზე, ბუნების სტიქიური მოვლენებისაგან რისკის შემცირების პრობლემების გადაწყვეტა წარმოადგენს განსაკუთრებულად აქტუალურ ამოცანას.

საქართველოსათვის, რომელიც მთაგორიანი ქვეყანაა, სადაც წარმოდგენილია ბუნებრივ-კლიმატური და გეოლოგიური საშიში მოვლენების მთელი სპექტრი (მიწისძვრები, მეწყერები, წყალდიდობები, ღვარცოფები, ნიადაგის ეროზია, ქარიშხლები და ა.შ.), რომლებიც იწვევენ სტიქიურ კატასტროფებს, რისკის შემცირების საკითხის გადაწყვეტას აქვს პირველხარიხოვანი მნიშვნელობა.

საშიშროების ხარისხის მიხედვით ჩვენი ქვეყნისათვის, რომელიც მაღალი სეისმურობის ზონაში მდებარეობს, სტიქიურ მოვლენებს შორის პირველ ადგილზეა მიწისძვრები. ისინი წარმოადგენენ სერიოზულ საფრთხეს ადამიანებისათვის, შენობა-ნაგებობებისათვის, ქალაქების ინფრასტრუქტურისათვის და დასახლებული პუნქტებისათვის.

უკანასკნელ წლებში საქართველოს ტერიტორიაზე სეისმური ვითარება გაუარესდა და ძლიერი მიწისძვრების წარმოშობის ალბათობა გაიზარდა, რაც ნათლად დაგვანახა 1991 წლის რაჭა-იმერეთის, 2002 წლის 25 აპრილის თბილისის და 2006 წლის თებერვლის რაჭა-იმერეთის ძლიერმა მიწისძვრებმა, რომელბმაც დიდი მატერიალური ზარალი მიაყენეს ქვეყნის ეკონომიკას.

შეიძლება ითქვას, რომ მიწისძვრის გაკვეთილები ნათელია, მაგრამ მიწისძვრების მისტიკა სეისმოლოგიისა და სეისმომედეგი მშენებლობის დარგის მეცნიერების მუდმივი კვლევის საგანს წარმოადგენს. ძალზე შთამბეჭდავია ამ მიმართულებით ჩატარებული ბოლოდროინდელი ძალისხმევის შედეგები, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში, ასევე საქართველოში, სადაც რამდენიმე ათეული წელია ფუნქციონირებს კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტი.

ინსტიტუტის მთავარ სამეცნიერო მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობის, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების სეისმური უსაფრთხოების უზრუნველყოფა მიწისძვრების შემთხვევაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ინსტიტუტი ერთადერთი ორგანიზაციაა საქართველოში, რომელიც სისტემატურ კვლევებს ატარებს სეისმომედეგობის დარგში.

ინსტიტუტი ასრულებს მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ფუნქციას - სისტემატიურად ამახვილებს ყურადღებას მსხვილი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების სეისმური საფრთხის დამატებითი შეფასებისა და მისი შემცირების ღონისძიებათა გატარების აუცილებლობაზე. ამუშავებს რა სეისმომედეგი პროექტირებისა და მშენებლობის ნორმებს, ინსტიტუტი აყალიბებს სეისმომედეგი მშენებლობის სტრატეგიას საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის ტერიტორიაზე მომხდარი მიწისძვრების შედეგების ინჟინრული ანალიზის შესრულებასა და სალიკვიდაციო სამუშაოებში, სახელმწიფო სტრუქტურებს უწევს მეთოდოლოგიურ დახმარებას და მონაწილეობს აღდგენითი სამუშაოების წარმართვის კონცეფციის შემუშავებაში.

ძირითად სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად ინსტიტუტი სისტემატიურად აწარმოებს სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევას, გასცემს საექსპერტო დასკვნებს და დაზიანებული შენობების გამაგრების რეკომენდაციებს, ასრულებს მშენებარე ობიექტების პროექტების ექსპერტიზას, ამოწმებს სამშენებლო მასალების ხარისხს.

ამჟამად ქვეყანაში აღმშენებლობითი პროცესია და მშენებლობის სფეროში მიმდინარე რადიკალური ცვლილებების დაჩქარებული ტემპიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, დინამიკურად განვითარებადი ამ დარგის ინტელექტუალურ მხარდაჭერას და საკონსულტაციო მომსახურებას. მხოლოდ სამშენებლო მეცნიერების და სეისმომედეგი მშენებლობის უკანასკნელ მიღწევათა გამოყენებით დაპროექტებული საცხოვრებელი სახლები, სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების შენობა-ნაგებობები და კომპლექსები შეიძლება განხილული იქნეს უსაფრთხოების საიმედო კუნძულებად მიწისძვრებისას.

ინოვაციური პროექტების განხორციელება, ახალი სამშენებლო მასალებისა და ტექნოლოგიების დანერგვა სეისმომედეგი მშენებლობის პრაქტიკაში რთულ პროცესებს მოიცავს, რაც ამავე დროს ინტეგრირებული უნდა იყოს და ერთ რეჟიმში უნდა იმუშაოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამშენებლო პროფილის მეცნიერებთან ერთად.

ინსტიტუტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თანამშრომლობის ისეთ ფორმებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვას მშენებლობაში, თანამედროვე კონცეპტუალური დაპროექტების მეთოდოლოგიის საფუძველზე სწორად კონსტრუირებული შენობა-ნაგებობების მშენებლობას, მათი სეისმომედეგობისა და უსაფრთხოების დადგენილი ნორმების დაცვას, სეისმომედეგი მშენებლობის დარგის საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ მიწისძვრების საზიანო შედეგები მკვეთრად შერბილდეს, მატერიალური ზარალი და ადამიანთა მსხვერპლი საგრძნობლად შემცირდეს, საჭიროა წინასწარ მიწისძვრამდე კარგად მომზადება მის შესაგებებლად, რაც თავის მხრივ სხვა ფაქტორებთან ერთად დაკავშირებულია შენობა-ნაგებობების სეისმურ დატვირთვებზე გაანგარიშების მეთოდების შემდგომ სრულყოფასთან, ახალი სამშენებლო მასალათა ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლასთან, ეფექტური ანტისეისმური ღონისძიებების დადგენასა და სეისმოიზოლაციის სისტემების დანერგვასთან.

საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული რეფორმების, ასევე სამშენებლო პროექტებში მნიშვნელოვანი ინვესტიციების შედეგად, დღეს სამშენებლო სექტორი არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ რეგიონებშიც ვითარდება და გვევლინება საქართველოს ეკონომიკის ყველაზე კონკურენტულ და სწრაფად მზარდ დარგად.

ამიტომ, ჩვენი მიზანია ინსტიტუტში ნაგებობათა სეისმომედეგობის, სამშენებლო მექანიკისა და საშენ მასალათა მექანიკის სფეროში ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგად მიღებული უახლესი შედეგები, ახალი ქართული ნორმების, "მშენებლობა სეისმურ რაიონებში" რეკომენდაციები, ჩვენს ხელთ არსებული საერთაშორისო ტექნიკური ნორმების მოთხოვნები და მიღწევები მივაწოდოთ საპროექტო ორგანიზაციებს, სამშენებლო კომპანიებს, მენაშენეებსა და სამშენებლო სექტორში გაერთიანებულ ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში.

ამ თვალსაზრისით რეგიონალურ ხელისუფლებას ვთავაზობთ, რომ რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრსა თუ ცალკეულ რაიონში ან ქალაქში შეიქმნას ინსტიტუტის წარმომადგენლობა შესაბამისი ადგილობრივი სამსახურის ბაზაზე, რაც ხელს შეუწყობს სეისმომედეგი მშენებლობის ძირითადი ამოცანის - მატერიალური ზარალისა და ადამიანთა მსხვერპლის შემცირების სრულყოფილ გადაჭრას, მიწისძვრებისათვის წინასწარ მომზადებას პრევენციული ღონისძიებების გატარების გზით, საპროექტო-საძიებო და სამშენებლო სამუშაოების ხარისხის გაუმჯობესებას.

თანამშრომლობასთან დაკავშირებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ინსტიტუტი მზადაა შეასრულოს შემდეგი სახის სამუშაოები:

**1.** ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების შესაბამის ტერიტორიებსა და სამშენებლო მოედნებზე სეისმური მიკროდარაიონების სამუშაოების ჩატარება ანუ საანგარიშო სეისმურობის დაზუსტება ადგილობრივი საინჟინრო-გეოლოგიური და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით;

**2.** არსებული საცხოვრებელი ფონდისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ტექნიკური პასპორტიზაცია სეისმომედეგობის დეფიციტისა და დარჩენილი რესურსების დადგენის მიზნით;

**3.** მასობრივი თავშეყრის ობიექტების (რკინიგზის ვაგზალი, სპორტული დანიშნულების ნაგებობები, თეატრისა და დახურული სხვა ტიპის შენობები, დახურული ტიპის სავაჭრო ობიექტებიდა სხვ) საიმედოობისა და სეისმური უსაფრთხოების შეფასება;

**4.** საშენ მასალათა სიმტკიცისა და ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების დადგენა;

**5.** ადგილებზე საკონსულტაციო მომსახურება, სკოლა-სემინარების მოწყობა, საპროექტო ორგანიზაციებში, სამშენებლო კომპანიებსა და მშენებლობაზე დასაქმებული ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

**6.** მიწისძვრისა და სხვა სტიქიური მოვლენების შემთხვევაში დაზიანებული შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და მიწისძვრის შედეგების ოპერატიული ინჟინრული ანალიზის ჩატარება შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებით.

ვიმედოვნებთ, რომ თანამშრომლობა რეგიონალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ნაყოფიერი და სასარგებლო იქნება ორივე მხარისათვის, რაც ხელს შეუწყობს მიწისძვრებითა და ბუნებრივ-ტექნოგენური ზემოქმედებით განპირობებული სოციალურ-ეკონომიკური დანაკარგების შემცირებას, რეგიონების მდგრად განვითარებას და დადებით შედეგებს მოუტანს როგორც მოსახლეობას, ისე სახელმწიფოს მთლიანად.

*კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი პაატა რეკვავა*

# განცხადება

ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნისა და ხორცკომბინატის ტერიტორიაზე არსებული თავისუფალი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნუ-ლების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვის მიზნით

## ქალაქ ბათუმის მთავრობა

1-01-25 / 17-1 N 219 " 19 " ივლისი 2006 წ.

**დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა**

ქალაქ ბათუმში, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნისა და ხორცკომბინატის ტერიტორიაზე არსებული თავისუფალი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

ქ. ბათუმის მთავრობა აღნიშნავს, რომ ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სხვადასხვა უბნის თანაბარი, გეგმაზომიერი განვითარე-ბისათვის, აუთვისებელი ტერიტორიების კომპლექსურად განსახლებისა და მისი ქალაქის ქსელში ორგანულად ჩართვის მიზნით, აუცილებელია ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნისა და ხორცკომბინატის ტერიტორიებზე არსებული თავისუფალი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ერთდროულად დაგეგმარება და განაშენიანება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ურბანული გარემოს გეგმაზომიერი განვითარების მიზნით, მიზანშეწონილია ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნისა და ხორცკომბინატის ტერიტორიებზე არსებულ თავისუფალ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, საკუთრებაში განკარგვაზე გამოცხადდეს კონკურსი.

"ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქარ-თველოს ორგანული კანონის, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასა-სოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონის, "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნუ-ლების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 10 მაისის N65 ბრძანების შესაბამისად,

ქალაქ ბათუმის მთავრობა ა დ გ ე ნ ს :

1. ქალაქ ბათუმში, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნისა და ხორცკომბი-ნატის ტერიტორიებზე, კომპლექსური განაშენიანებისა და თანამედროვე მო-თხოვნების შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით, საკუთრებაში გადაცემაზე გამოცხადდეს კონკურსი.
2. დამტკიცდეს თანდართული საკონკურსო პირობები.
3. დაევალოს ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასა-სოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიას ქ. ბათუმის მთავრობის მიერ დამტკიცებული საკონკურსო და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირობების საფუძველზე შეადგინოს სათანადო საინ-ფორმაციო პაკეტი.
4. ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიამ პრესაში გამოაქვეყნოს ინფორმაცია, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
   ა) კონკურსის ორგანიზატორის დასახელება;
   ბ) საკონკურსო პირობები;
   გ) ძირითადი მახასიათებლები საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტიდან;
   დ) განცხადების მიღების დაწყების, დამთავრების და კონკურსის ჩატარების თარიღები;
   ე) კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელი შენატანის სახით "ბე"-ს (შემდგომში სადეპონენტო თანხა) ოდენობა;
   ვ) კომისიის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი;
   ზ) განმცხადებელთა წინადადებების შემცველი კონვერტის გახსნის თარიღი, დრო და ადგილი.
5. კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის, კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კომისიის სასარგებლოდ წარმოადგინოს დეპოზიტი 351 250 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს მიწის ნაკვეთების საწყისი ფასის - 7 025 000 ლარის 5%-ს.
6. კონკურსში მონაწილეობის მსურველთაგან განცხადების მიღება განხორციელდეს ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფ-ლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის მიერ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
7. წინამდებარე დადგენილება გადაეგზავნოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს და ეთხოვოს "უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბა-მისად მოახდინოს დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ქ. ბათუმის ადგი-ლობრივი თვითმმართველობის (ქ. ბათუმის მერია) სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვა.
8. დადგენილება გამოქვეყნდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9. დადგენილების შესრულება დაევალოს ქალაქ ბათუმის სახელმწიფო სა-კუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვი-სა და განკარგვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს (რ. ჩხაიძე) და კომისიის ტექნიკურ მდივანს (ო. მჟავანაძე).
10. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამარ-თლოში (ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N5) მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში.
11. დადგენილების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
12. დადგენილება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მერის მოვალეობის
შემსრულებელი ირაკლი თავართქილაძე
დანართი

"დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა"

ქალაქ ბათუმის მთავრობის დადგენილება
2006 წლის 18 ივლისი N219

ქალაქ ბათუმში, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნისა და ხორცკომბინატის ტერიტორიაზე არსებული თავისუფალი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემის საკონკურსო პირობები

**შესავალი**

ქალაქ ბათუმში, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნისა და ხორცკომბი-ნატის ტერიტორიაზე არსებული თავისუფალი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების კომპლექსური განაშენიანებისა და თანამედროვე მოთხოვნების ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 18 ივლისის N219 დადგენილების შესაბამისად ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემაზე.

**1. კონკურსის მიზანი:**

კონკურსის მიზანია: ქალაქ ბათუმში, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე, რომლის ფართია 150 000 კვ.მეტრი, გაშენდეს ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საცხოვრებელი უბანი, რომელიც კომპლექსურად იქნება განაშენიანებული, აღჭურვილი იქნება შესაბამისი სოციალური ინფრასტრუქტურით (სკოლა, ბაგა-ბაღი, პოლიკლინიკა, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები და სხვ.) და ჩაერთვება ქალაქში ჩამოყალიბებულ საგზაო ინფრასტრუქტურის ქსელში, ხოლო ხორცკომბინატის ტერიტორიაზე ფართით 65 000 კვ.მეტრი, გაშენდეს ახალი, თანამედროვე სპორტული კომპლექსი.

**2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ:**

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნისა და ხორცკომბინატის ტერიტორიები;
მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: კონკურსი;
მიწის ნაკვეთის გასხვისების ფორმა: საკუთრება;
მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - ბინათმშენებლობები შესაბამისი ინფრასტრუქტურითAდა ტერიტორიების ურბანული კეთილმოწყობა;
მიწის ნაკვეთის ფართობი:
ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორია - 150 000 კვ.მ.;
ყოფილი ხორცკომბინატის ტერიტორია - 65 000 კვ.მ.
მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი სულ: 7 025 000 ლარი;
ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე - 5 400 000 ლარი;
ყოფილი ხორცკომბინატის ტერიტორიაზე - 1 625 000 ლარი.

**3. საკონკურსო პირობები**

კონკურსის ძირითადი პირობებია:

1. საკუთრებაში გადაცემას ექვემდებარება:
   ა) ქ. ბათუმში, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორია - 150 000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან ქალაქის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო ტერიტორიის გამოკლებით, რომლის ფართი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 40 000 კვ. მეტრს, ხოლო მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი - 5 400 000 ლარს.
   ბ) ყოფილი ხორცკომბინატის ტერიტორია - 65 000 კვმ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყისი ღირებულება შეადგენს 1 625 000 ლარს.
   აღნიშნულ ტერიტორიაზე სპორტული კომპლექსის მშენებლობის აუცილებელი პირობებია:
   - საერთაშორისო, UEFA-ს ნორმების შესაბამისი ფეხბურთის სტადიონის მშენებლობა - 10 000 მაყურებელზე და ჩოგბურთის კორტების მშენებლობა - 2 000 მაყურებელზე;
   - მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო ინფრასტრუქტურით უზრუნველყო-ფა და კეთილმოწყობა;
   - მშენებლობის ვადა - ნებართვის გაცემიდან არა უმეტეს 24 თვისა.

2. კონკურსში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს აღნიშნული ტერიტორიების დაგეგმარების საპროექტო წინადადება, რომელშიც ნაჩვენები იქნება ტერიტორიების ფუნქციონალური და ზონალური განაშენიანების პრინციპები. კერძოდ:
   ა) ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიის დაგეგმარების პროექტში გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი პირობები:
   - საგზაო ინფრასტრუქტურის ქსელი აუცილებლად უნდა ესადაგებოდეს ქალაქის არსებულ ქსელს, რაც ითვალისწინებს პუშკინის, გიორგი ბრწყინვალეს და ოძელაშვილის ქუჩების გაგრძელებას, სიგანით არანაკლებ 22 მეტრისა და ზღვის მიმართულებით გამავალი ახალი ქუჩის დაგეგმვას, რომლის სიგანე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 30 მეტრს (თანახმად დანართისა). დასაპროექტებელი ქუჩები მაქსიმალურად იქნეს გამწვანებული.
   - აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსდეს საცხოვრებელი კომპლექსი, ფართით მინიმუმ 250 000 კვ.მ.
   - გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი სოციალური ინფრა-სტრუქტურა. მათ შორის: საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები, სკოლა, ბაგა-ბაღი, სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები.
   - კეთილმოეწყოს საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარე ტერიტორია, სადაც უნდა განთავსდეს: ავტოპარკინგი, ბავშვთა სათამაშო და სპორტული მოედნები. მაქსიმალურად გამწვანებულ უნდა იქნეს მიმდებარე ტერიტორიები.
   ბ) ყოფილი ხორცკომბინატის ტერიტორიაზე სპორტული კომპლექსის დაგეგმარების საპროექტო წინადადებაში გათვალისწინებულ იქნეს:
   - საერთაშორისო UEFA-ს ნორმების შესაბამისი ფეხბურთის სტადიონი - 10 000 მაყურებელზე და ჩოგბურთის კორტები - 2 000 მაყურებელზე.
   - მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო ინფრასტრუქტურით უზრუნველ-ყოფა და კეთილმოწყობა;
   - შესაბამისი რაოდენობის ავტოპარკინგის მოწყობა.

3. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია უზრუნველყოს ზემოთ აღნიშნული ტერიტორიები შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურით. კერძოდ, მოაწყოს:
   ა) ელექტრომომარაგების ქსელი;
   ბ) წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემა;
   გ) სანიაღვრე არხების სისტემა;
   დ) კავშირგაბმულობის ქსელი;
   ე) გაზის მომარაგების სისტემა;
   ვ) ტროტუარების მოკირწყვლა, განათება და გამწვანება;
   ზ) ტერიტორიის სანდასუფთავებით უზრუნველყოფა;
   თ) ინვესტორმა 60 თვის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს საგზაო-საინჟინრო ქსელის მშენებლობასთან ერთად არანაკლებ 60 000 კვ.მ. საბინაო ფართის მშენებლობა, შესაბამისი სოციალური ინფრასტრუქტურით.

4. საინვესტიციო წინადადება უნდა შეიცავდეს, როგორც ინვესტიციების რაოდენობას, ასევე დაბანდების გეგმა-გრაფიკს.

5. კონკურსში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს წინადადება ინვესტიცი-ების დაბანდებისა და მშენებლობის მენეჯმენტის ერთობლივი (ქალაქის მთავრობასთან ერთად) მონიტორინგის შესახებ. პროექტის განხორციელება უნდა მოხდეს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი და დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად.

**4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობები:**

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობაა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება:
1. ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიის ინტეგრაცია და მისი ხედვა ქალაქის განვითარების ერთიან პერსპექტივაში და ასაშენებელი ობიექტების არქიტექტურული ერთიანობა;
2. ინვესტიციის მინიმალური ოდენობა 60 თვის განმავლობაში;
3. განაშენიანების მინიმალური ოდენობა 60 თვის განმავლობაში;
4. განაშენიანების ინტენსივობის მინიმალური კოეფიციენტი;
5. საერთო-საქალაქო დანიშნულების საზოგადოებრივი და კომერციული ფართის მინიმალური რაოდენობა;
6. საერთო ინვესტიციების მინიმალური ოდენობა და დაბანდების სქემა;
7. შემოთავაზებული მაღალი ფასი (მიწის);
8. სხვა პირობები და მომსახურების სახეები, რომლებიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

**5. კონკურსში მონაწილეობის პირობები:**

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:
   ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
   ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის სა-პროექტო) ცალკე დალუქული სახით;
   გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარისწორებო ანგარიშზე სავალდებლო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტურებელი დოკუმენტი;
   დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;
   ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
3. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას.
4. კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი (მათ შორის საპროექტო) წინადადებები საკონკურსო ტერიტორიის განაშენიანების შესახებ როგორც წერილობით, ასევე პრეზენტაციის სახით (15 წთ-იანი მოხსენება). საპროექტო წინადადება აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მინიმალური მოცულობით (ანოტაციით და ალბომის სახით, A3 ფორმატში, ლამინირებული ყდით - 2 ეგზემპლარი, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად). პროექტში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიათა გამოყენება და უნდა იძლეოდეს წარმოდგენას განაშენიანების ძირითადი გეგმარებით და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ.
5. კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის თვითოეულმა პრეტენდენტმა კომისიის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს დეპოზიტი 351 250 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს მიწის ნაკვეთების საერთო ღირებულების 7 025 000 ლარის 5%-ს.

**6. სხვა პირობები:**

1. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.
2. სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურ-სო პროცესში მონაწილეობისათვის.
3. საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათიანის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.
4. კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2006 წლის 4 სექტემბერს 1500 სთ-ზე.
5. კომისიის სხდომაზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2006 წლის 4 სექტემბერს, 1600 სთ-ზე.
6. კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:
   აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102
   მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.
   საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.
   ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

# ფრანგული ლაბირინთი

ორი ოსკარის მფლობელი ხილარი სუონკი ფრანგულ თრილერში "ლაბირინთი" ითამაშებს, რომლის გადაღებაც დაგეგმილია ამერიკულ კინოკომპანია Summit Entertainment-ში. სცენარს დაწერს რასელ გევერცი, რომელიც ცნობილია ფილმიდან "ქურდიც არ არის დაჭერილი". რაც შეეხება რეჟისორს, მისი ვინაობა კინოკომპანიაში ჯერ არ სახელდება.

თრილერში საქმე ეხება ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტს, რომელიც რეალობისგან გაქცევას ცდილობს. თუმცა, მისი ცხოვრების შესახებ ინფორმირებულია პოლიცია და სპეცრაზმი, რომელნიც ცდილობენ, დაიჭირონ სერიული მკვლელი. ფილმის გადაღების დაწყების დრო ჯერ აღნიშნული არ არის. მაგრამ 2006 წელს ეკრანზე გამოვა ფილმი "შავი ორქიდეია", რომელშიც სუონკი თამაშობს, სადაც იგი იძიებს 40-იანი წლების, ამერიკელი მსახიობის ელიზაბეტ შორტის მკვლელობას. ფილმში აგრეთვე თამაშობს სკარლეტ იოხანსონი და როგორც ცნობილია სწორედ ამ ფილმითვე იხსნება ვენეციის კინოფესტივალი, რომელიც 30 აგვისტოდან 9 სექტემბრამდე ჩატარდება.

## საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**სრულმეტრაჟიანი მხატვრული, სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ან სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტის შესაქმნელად**

გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 18 000 ლარით. კონკურსის საერთო ბიუჯეტია 36 000 ლ.

კომისია არ განიხილავს ეროვნული კინოცენტრის კონკურსებში გამარჯვებულ პროექტებს და იმ პროექტებს, რომლებსაც მიღებული აქვთ დაფინანსება სხვა წყაროებიდან პროექტის განვითარებისთვის.

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2006 წლის 31 ივლისი, 17:00 სთ.

კონკურსების პირობების გაცნობა შესაძლებელია ეროვნულ კინოცენტრში ან ეროვნული კინოცენტრის ვებგვერდზე. კონსულტაციები ჩატარდება ყოველ სამშაბათს, 12 საათზე.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4,
ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail o www.filmcenter.ge

## საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**2006 წელს დოკუმენტური ფილმის წარმოების დასაფინანსებლად**

გამარჯვებული პროექტი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით.

კონკურსის საერთო ბიუჯეტია 100 000 (ასი ათასი) ლარი.

ფილმის ქრონომეტრაჟი არ უნდა იყოს 26 წუთზე ნაკლები.

ეროვნული კინოცენტრი არ განიხილავს პროექტებს, რომლებიც მონაწილეობდნენ 2005 წლის 26 აპრილს გამოცხადებულ დოკუმენტური ფილმების კონკურსში (N 03) და ვერ მოაგროვეს 45 ქულაზე მეტი.

ეროვნული კინოცენტრი არ განიხილავს იმ პროდიუსერთა პროექტებს, რომელთაც ეროვნული კინოცენტრის წინაშე აღებული ვალდებულება შესრულებული არ აქვთ.

პროექტი უნდა განხორციელდეს 2006 წლის 20 დეკემბრამდე პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2006 წლის 7 აგვისტო 17:00 სთ.

კონკურსების პირობების გაცნობა შესაძლებელია ეროვნულ კინოცენტრში ან ეროვნული კინოცენტრის ვებგვერდზე.

კონსულტაციები ჩატარდება ყოველ სამშაბათს, 12 საათზე საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი.
0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4,
ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail: o www.filmcenter.ge

TV5MONDE

## 29 ივლისი

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.10** ის არ არის ჯადოქარი. სერიალი. **08.30** სამხრეთის ანარეკლი. **11.05** გამარჯობა ქალბატონო ალუბლის ჭამია. საბავშვო გადაცემა. **11.30** ის არ არის ჯადოქარი. სერიალი. **13.40** "შატოების" ისტორია. **14.05** სოფელი: სენტ ჟოზე დე ლა რივი. დოკ.ფილმი. **16.30** სპორტული მოედანი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.30** ვითომ გაქცევა. მხ.ფილმი. რეჟისორი პიერ ბუტრონი. 2000. **23.00** მსოფლიოს ყველაზე დიდი კაბარე. **01.20** ფორტ ბოიარდი. **04.40** დინოზავრის ნაკვალევი. დოკ. ფილმი.

## 30 ივლისი

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.10** ის არ არის ჯადოქარი. სერიალი. **09.30** გაია, შეხვედრა მუდმივ განვითარებასთან. დოკ.ფილმი. **11.05** გამარჯობა ქალბატონო ალუბლის ჭამია. საბავშვო გადაცემა. **11.30** ის არ არის ჯადოქარი. სერიალი. **13.25** ქრონიკები მთიდან. **14.05** დინოზავრის ნაკვალევი. დოკ.ფილმი. **21.30** სენტ ეგზუპერის უკანასკნელი გაფრენა. დოკ.ფილმი. **23.00** ზაფხულის არდადეგები. ტელესერიალი. **01.20** არარაობა. მხ.ფილმი. რეჟისორი-მიშელ დევილი. 1986. **04.40** სენტ ეგზუპერის უკანასკნელი გაფრენა. დოკ.ფილმი.

**ქირავდება 4930მ² ფართი, საოფისე ფართი 230მ2, 3300მ² ეზოთი, 800მ² სასაწყობო ფართით, 600მ2 საწარმოო ფართით, აეროპორტის დასახლებაში. ფასი 2500$. ტელ: 899516312.**

# უნიკალური ოპერაცია



კაიროში უნიკალური ექსპერიმენტი ჩატარდება. ფარაონ რამზეს II მსგავსი მრავალტონიანი ბეტონის ფიგურის "თოჯინის" შექმნას, რომელიც ტექნიკურად დიდ სირთულეს წარმოადგენდა და რომელიც 11 მეტრს შეადგენს დაახლოებით ათი წელი დასჭირდა. იგი ქალაქის ცენტრიდან პირამიდების რაიონში გიზაში უნდა გადაიტანონ. იმის გამო, რომ არ დაშლილიყო ორიგინალი, ეგვიპტის კომპანიის "არაბეთის კეთილმოწყობის" სპეციალისტებმა გადაწყვიტეს ექსპერიმენტი ბეტონის "თოჯინაზე" ჩაეტარებინათ, რომელიც ანალოგიურია ზომის და წონის მიხედვით ორიგინალთან.

ბაბ ელ-ხადიდის მოედანზე, სადაც ახლოს არის ცენტრალური რკინიგზის სადგური უკვე 50 წელია დგას ფარაონის ძველი ფიგურა. სულ ცოტა ხნის წინ მას ჩაუტარდა აუცილებელი რესტავრაცია ექსპერიმენტისთვის. ფიგურისთვის სპეციალურად გამოყენებულია ბლოკი და იგი რკინის კლეტკებით შეიკრა. მთლიანად "თოჯინის" წონა 95 ტონას შეადგენს. შექმნილ კონსტრუქციას სპეციალურ ტრანსპორტში ვერტიკალურ მდგომარეობაში მოათავსებენ და ისე გადაიტანენ. სპეციალურად ოპერაციისთვის, სადაც გაივლის კორტეჟი გზები გადაიკეტება.

თუ ექსპერიმენტი წარმატებულად ჩაივლის 25 აგვისტოს გიზაში, სადაც შენდება ეგვიპტის ყველაზე დიდი მუზეუმი, გადაიტანენ ორიგინალსაც, რომლის ასაკიც 3,2 ათასი წელია.

რამზეს II ფიგურა, რომელიც ეგვიპტელებმა 1304-1237 წელს ჩვ.წ.აღ.მდე შექმნეს 1887 წელს აღმოაჩინეს. 1952 წლის რევოლუციის შემდეგ იგი კაიროში გადაიტანეს. ექსპერტების თქმით, ამ წლების განმავლობაში ქანდაკების ვარდისფერ გრანიტს უამრავი სიბინძურე დაედო.

# დებიუტი თეატრის სცენაზე



ჯონ როულინგის რომანის მიხედვით გადაღებული ფილმის ჰარი პოტერის როლის შემსრულებელი დენიელ რედკლიფის დებიუტი ლონდონის თეატრის სცენაზე შედგება, სადაც იგი შიშველი წარდგება მაყურებლის წინაშე. 17 წლის მსახიობი, რომელიც ფილმის "დაკარგულებით" მულტიმილიონერი გახდა, ითამაშებს პიტერ სეფერის პიესაში "Equus", სადაც იგი თამაშობს ეროტიკულ როლს ცხენებთან. პიესიის პრემიერა უესტ-ენდის თეატრში 2007 წლის დასაწყისში შედგება. რედკლიფი ითამაშებს ალან სტრენგის, როლს, რომელსაც პრობლემები აქვს ფსიქიკასთან. იგი მკურნალობას გადის ფსიქიატრთან მას შემდეგ, რაც მეტალის იარაღით თვალებს თხრის ექვს ცხენს. ეს როლი მსახიობისგან სექსუალური მოთხოვნილებების გამოხატვის დაკმაყოფილებას ითხოვს მას შემდეგ, რაც იგი შიშველი მიდის ცხენებთან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მას შემდეგ რაც რედკლიფისგან მიეჩვია მაყურებელი სკოლის ბიჭის როლს, ეს უჩვეულო გადასვლაა. სულ ცოტა ხნის წინ მან დაასრულა გადაღებები ფილმზე "დეკაბრისტი ბიჭები", სადაც იგი ასრულებდა ოთხიდან ერთ-ერთი ღარიბი ბიჭის როლს, რომელიც ელოდება, რომ იშვილებენ. რიჩარდ გრიფიტმა, რომელიც თამაშობდა ჰარი პოტერის ბაბუის როლს შესაძლოა, პიესაში ითამაშოს ფსიქიატრის როლი.

შეფერის პიესამ მოახდინა სენსაცია 1973 წელს, როდესაც იგი პირველად დაიდგა ნაციონალური თეატრის სცენაზე. რის შემდეგაც მან ბროდვეის სცენაზე გადაინაცვლა, სადაც ერთ-ერთ როლს ენტონი ჰოპკინსი თამაშობდა. პიესა 1200 ჯერ დაიდგა და გახდა ყველაზე პოპულარული ნიუ-იორკის თეატრის ისტორიაში. 1977 წელს მასზე ფილმი გადაიღეს, რიჩარდ ბარტონის მონაწილეობით.

დრამატურგმა, რომლის ნამუშევრებია აგრეთვე "ამადეი", "სამეფო ნადირობა", პიესისთვის შეარჩია რეალური ისტორია, სადაც ახალგაზრდა ბიჭი გაურკვეველი მდგომარეობით აბრმავებს ცხენებს. პიესა ეხება ისეთ თემებს, როგორიცაა სექსუალური აღგზნებადობა, ბერძნული მითოლოგია და რელიგია. ფსიქიატრი ცდილობს ახსნას ბიჭის მდგომარეობა, მაგრამ თვითონ აწყდება პრობლემებს. სულ ცოტა ხნის წინ პიესა სკანდალურ ვითარებაში აღმოჩნდა, როცა იგი პონტიფრიდის თეატრალური სახელოსნოს მასწავლებელმა ჯონ რიჩარდმა სკოლის თეატრალურ სცენაზე დადგა. იგი იყო დადანაშაულებული სექსუალურ ძალადობაში და სწორედ იმ დღეს, როცა სასამართლოს წინაშე უნდა წარმდგარიყო, თავი მოიკლა. ამის შემდეგ ნაციონალური თეატრის წარმომადგენლებმა პიესის სკოლის თეატრის სცენაზე დადგმა აკრძალა.

1968 წელს როცა თეატრს ცენზურა მოუხსნეს, მაყურებელმა პირველად ნახა შიშველი სხეული ლონდონის თეატრის სცენაზე, სადაც დაიდგა სპექტაკლი ომის წინააღმდეგ "თმები". ხოლო 1998 წელს ნიკოლ კიდმანი შიშველი სხეულით გამოჩნდა სცენაზე პიესაში "ლურჯი ოთახი", ხოლო კეტლინ ტერნერი, ჯერი ხოლი და ამანდა დონოხოუ პიესაში "გამოსაშვები".

ამავე დროს პოლიტიკოსები 1980 წელს ემუქრებოდნენ ნაციონალური თეატრის წარმომადგენლებს გრანტის მოხსნას, როცა დაიდგა პიესა "რომაელები ბრიტანეთში." სადაც შიშველი სხეულის დემონსტრირება მიმდინარეობდა ყოველგვარი ცენზურის გარეშე.

ტელმა ხოლტი, რომელიც ამჟამად პიესის პროდიუსერია პირველი ქალი იყო მაკბეტში, ვინც შიშველი სხეულით გამოჩნდა სცენაზე.

# ორჰან პამუკი



სტამბულის სასამართლომ დამნაშავედ არ სცნო ცნობილი თურქი მწერალი ორხან პამუკი, რომელსაც ადანაშაულებდნენ "თურქეთის ნაციაზე ზეწოლაში". ეს უკვე მისი არაერთი სასამართლოა. მწერლის დადანაშაულების მიზეზი გახდა ინტერვიუ, რომელიც მან გაზეთ Tages Anzeiger მისცა გასულ წელს. სადაც მწერალი აცხადებდა, რომ "30 ათასი ქურთი და დაახლოებით მილიონი სომეხი იყო ამ მიწაზე მოკლული, ვერავინ ჩემს გარდა ამის თქმას ვერ ბედავს." მის ამ განცხადებას მოჰყვა ნეგატიური რეაქცია თურქეთის პოლიტიკოსების წრეში, უპირველესად ნაციონალებში. თურქეთი ოფიციალურად უარყოფს, 1915 წელს მილიონი სომეხის განადგურებას. ოფიციალური ანკარა ამასვე ადასტურებს ქურთების შესახებ.

პამუკის გამოძიებას თვალყურს ადევნებდნენ ევროკავშირის წარმომადგენლები, რომლებიც აცხადებენ, რომ მწერალზე გამოძიება ეს არის ევროპული კონვენციის დარღვევა ადამინის უფლებების შესახებ. დეკემბერში პამუკის მხარდასაჭერად გამოვიდნენ მსოფლიოში ცნობილი მწერლები, აგრეთვე ნობელის პრემიის ლაურეატები ხოსე სამარაგო, გაბრიელ გარსია მარკესი და გიუნტერ გროსი. "ჩვენ ვითხოვთ, შეწყდეს პროცესი მწერლის მიმართ". გასული წლის მიწურულს, სტამბოლის სასამართლომ, სადაც ცხოვრობს მწერალი მოითხოვა პამუკისგან 6-დან 36 თვემდე პატიმრობა სტატიისთვის "ქვეყნის პუბლიცისტური შეხედულებები". თუმცა, ეს პროცესიც ამა წლის იანვარში დახურული იქნა. როგორც სასამართლოს მეთვალყურეები აღნიშნავენ, პამუკის გამართლება გამოიწვია არამარტო ადვოკატების სერიოზულმა დამამტკიცებელმა დოკუმენტებმა, არამედ მისმა საქმემ ევროკავშირში.

## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- ალმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge





## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

**გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:**
**- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით**

**(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)**
**- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები**
**- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები**
**- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა**
**- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა**
**- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება**
**- სარძევე ჯირკვლის აწევა**
**- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)**
**- შუბლის დაჭიმვა**
**- დაკიდებული მუცლის პლასტიკა**
**- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)**
**+ ლიპოსაქცია**
**- ტუჩების გადიდება**
**- კანის ნაოჭების კორექცია**
**- ნიკაპის გადიდება პროთეზით**
**- სახის დაჭიმვა**
**- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)**
**- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით**

**ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე:** **893 60 30 06**
**893 65 38 39**

## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

# განცხადება
# ორეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ს.ს. "ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი" (მის: ქ. თბილისი 0101, მარუაშვილის ქ. N50) "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ორეტაპიან ტენდერს საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის მომზადებისა და განხორციელებისათვის ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაფინანსების წყარო: სააქციო საზოგადოების ფინანსური სახსრები (სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელ ცენტრთან" დადებული ხელშეკრულება N GF/S/T-002).

3. *შესასყიდი მომსახურების ჩამონათვალი:*

საინფორმაციო-საგანმანათლებლო ვიდეო-რგოლის, ტელე-სიუჟეტების მომზადება და ეთერში გაშვება;

საინფორმაციო-საგანმანათლებლო აუდიო-რგოლის შექმნა და ეთერში გაშვება;

პოლიგრაფიული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების დიზაინის შემუშავება;

***4. მომსახურების გაწევის სავარაუდო ვადები*** - 2006 წლის სექტემბრიდან 2007 წლის 31 მარტის ჩათვლით.

5. ტენდერში მონაწილეობისათვის დაშვებულია სუბ-კონტრაქტორების გამოყენებაც. 6. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები 2 ეგზემპლარად, ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 18 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ს.ს. "ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი", ქ. თბილისი 0101, მარუაშვილის ქ. N50.

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბ-კონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

**7.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი ორგანოდან;

გ) ცნობა ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

დ) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

**7.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**7.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) მსგავს პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება;

დ) უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტები;

ე) პროექტში მონაწილე კადრების კვალიფიკაცია და გამოცდილება;

ვ) სუბ-კონტრაქტორების მიერ განსახორციელებელი მიწოდება;

ზ) განზრახვათა შესახებ ხელშეკრულებას (სუბ-კონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში.

თ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ);

8. საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, 1 ეგზემპლარი - ქსეროასლის სახით.

9. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს პირველადი სატენდერო წინადადება ფინანსური მახასიათებლების გარეშე დახურულ კონვერტში, ხელმოწერილი ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელის მიერ. პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში, გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში.

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის ხედვას:

- *ზემოაღნიშნული პროგრამის საინფორმაციო-სარეკლამო კამპანიის განხორციელების გზების შესახებ;*
- *შესასყიდი მომსახურების ჩამონათვალში (პუნქტი 2) მოცემული შესასრულებელი სამუშაოს განხორციელების საშუალებების შესახებ;*

11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე სს თი-ბი-სი ბანკის ცენტრალური ფილიალი, კოდი N220101830, ანგარიშის N35467994, საიდენტიფიკაციო კოდი 202172139. (სატენდერო მოსაკრებელი) 2006 წლის 16 აგვისტოს 17.00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ს.ს. "ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი", ქ. თბილისი 0101, მარუაშვილის ქ. N50.

12. სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები საექსპერტო დასკვნისათვის წარედგინება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიას, რომლის დასკვნაც წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს.

13. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული პირველადი სატენდერო წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს და იქნება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიის დადებითი დასკვნა.

14. ტენდერის პირველი ეტაპის შედეგები სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

15. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინოს ერთი ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

16. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

17. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ირინე დავრაშელიძე, მისამართზე: ს.ს. "ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი", ქ. თბილისი 0101, მარუაშვილის ქ. N50. ტელ: 91 19 41 ***E-mail:*** **idavrashelidze@mail.ru**

# განცხადება ტენდერის შესახებ

**"განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბიოტექნოლოგიის ცენტრის**
**სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე"**

**1. ხელმძღვანელთა თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ თანამდებობებზე:**

**ა) მცენარეთა რეპროდუქციის განყოფილების უფროსი / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი**

**ბ) ტექნიკური მიკრობიოლოგიის და სტანდარტიზაციის განყოფილების უფროსი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი**

**6. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:**

**ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;**

**ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);**

**გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;**

**დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;**

**ე) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;**

**ვ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა (საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები და ა.შ.);**

**ზ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია);**

**თ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);**

**ი) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია).**

**2. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსანტის შერჩევისას შეიძლება გათვალისწინებული იქნეს შემდეგი კრიტერიუმები:**

**ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო 5 წლის განმავლობაში),**

**ბ) პატენტები,**

**გ) მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში,**

**დ) მონაწილეობა საგრანტო, მათ შორის, საერთაშორისო თემატიკაში.**

**ე) სტრუქტურული ერთეულის განვითარების სტრატეგიური ხედვა;**

**ვ) კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი სამუშაოების ორგანიზების გამოცდილება.**

**3. საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს 3 წლის ვადით.**

**4. საბუთების მიღება იწარმოებს 2006 წლის 30 ივლისიდან 30 აგვისტომდე, მისამართი:** თბილისი 0197 სარაჯიშვილის 1

**5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა (1 თვე).**

**6. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის სექტემბერს**

**7. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:**

**0197 საქართველო, თბილისი სარაჯიშვილის 1,**

**ელ-ფოსტა: cbiotechnology@yahoo.com ; knadirad@geo.net.ge**

**ტელ: +99532 524 302**

**მობ: +99599 155 725**

**მობ: +995 93 160 797**

**პასუხისმგებელი პირი: თამარ ხუციშვილი**

# განცხადება ტენდერის შესახებ

ქ. რუსთავი
29 ივლისი 2006 წ.

1. ქალაქ რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობა აცხადებს ღია ტენდერს ქალაქ რუსთავში გზის საფარის კაპიტალური შეკეთების სამუშაოებზე. გზების ჩამონათვალი თავის დაახლოებითი საერთო ფართის ჩვენებით:

- ვახუშტის ქუჩა - 4 247 მ2;
- ვაჟა-ფშაველას ქუჩა - 4 170 მ2;
- 9 ძმა ხერხეულიძის ქუჩა - 5 761 მ2;
- თოდრიის I ჩიხი - 4 237 მ2;
- ბათუმის ქუჩა - 10 194 მ2;

2. ვიწვევთ ტენდერში ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელმაც ბანკში უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით, (ეროვნული ბანკის ერთიან ანგარიშზე N200122900, რუსთავის ხაზინის შიფრი N300064040) თუ სურს მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ ტენდერში.

3. ნებისმიერი პრეტენდენტი, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის აპარატში (მის: ქ. რუსთავი კოსტავა N20 ადგილობრივი თვითმმართველობის შენობა 4-ე სართული სახელმწიფო შესყიდვების სამსახური) სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამდასტურებელ ქვითარს, დაუყოვნებლივ მიიღებს სატენდერო დოკუმენტაციას.

4. პრეტენდენტების მიერ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის და მისთვის სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 17 აგვისტოს 18 00 სთ-მდე..

5. მონაწილე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დახურულ კონვერტში 2006 წლის 18 აგვისტოს 1000 - 1800 სთ-მდე.

6. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ვერ წარმოადგენს 5-ე პუნქტში აღნიშნულ ვადაში 7-ე ან 8-ე პუნქტში ჩამოთვლილ დოკუმენტებს:

7. საკვალიფიკაციო მონაცემები იურიდიული პირისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან).
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან).
- მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდებულნი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან).
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან).
- სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი გარანტია;

8. საკვალიფიკაციო მონაცემები ფიზიკური პირისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი არის ქმედუნარიანი;
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან)
- უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.
- სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი გარანტია;

9. წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები სრულად უნდა შეესაბამებოდეს განცხადებაში მოთხოვნილ ცნობებს, რომლის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაშიც ან თუ რომელიმე ცნობა ყალბი აღმოჩნდება ტენდერში მონაწილე პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას.

10. საკვალიფიკაციო დოკუმენტების და სატენდერო წინადადების განხილვის ვადას დაადგენს სატენდერო კომისია საკვალიფიკაციო დოკუმენტების და სატენდერო წინადადების წარდგენის ვადის დასრულებისთანავე გამართულ კომისიის სხდომაზე, რომელიც ჩატარდება 2006 წლის 18 აგვისტოს 1800 სთ-ზე.

11. გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნვეყოფის გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით;

12. სახელმწიფო შესყიდვის პროცედურეს დროს წარმოქმნილი მხარეთა პრეტენზიები განიხილება მოქმედი კანონმდებლობით.

13. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის აპარატს მისამართზე:

რუსთავი, კოსტავას გამზ. N20 4-ე სართული სახელმწიფო შესყიდვების სამსახური

ტელ: 824 12 36 35.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება აუქციონის გამოცხადების შესახებ

შპს "მშენსერვისის" სააუქციონო კომისია, შპს "მშენსერვისის" გაკოტრების მმართველის 2006 წლის 25 ივლისის N03 ბრძანებით დამტკიცებული შპს "მშენსერვისის" გაკოტრების მასის (ქონების) რეალიზაციის ფორმისა და წესის შესახებ დებულებისა და შპს "მშენსერვისის" გაკოტრების მმართველის 2006 წლის 28 ივლისის N06 ბრძანების შესაბამისად, აცხადებს აუქციონს შპს "მშენსერვისის" საკუთრებაში არსებული მიწის (ქ. ბათუმი, ნონეშვილის ქ. N63; დ. ხელვაჩაური, წერეთელის ქ. N 9), ძირითადი საშუალებების (27 ერთეული) და სამშენებლო მასალების (42 ერთეული) რეალიზაციაზე (ერთ ლოტად).

ლოტის საწყისი სააუქციონო ფასია 560 762 ლარი, ბიჯი 500 ლარი, ბე - 100000 ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი ბე და ბილეთის შესაძენი ფასი, რომლის ღირებულებაც 100 ლარია, მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე: სს "საქართველოს ბანკის" ბათუმის ფილიალი, ბანკის კოდი 220101502, ანგარიშის N120170900, საიდენტიფიკაციო N245426061.

მყიდველი ვალდებულია დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის მიღების მომენტიდან 20 კალენდალური დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ^აუქციონზე დასახელებული ობიექტის საბოლოო გასაყიდი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება ობიექტზე და ბეს შენატანი არ დაუბრუნდება. ბეს შენატანი არ დაუბრუნდება ასევე აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ გამარჯვებულ მონაწილეს.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, გამოქვეყნებიდან 2006 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით 10 სთ-დან 16 სთ-მდე (შპს "მშენსერვისის" ადმინისტრაციული შენობა, ქ. ბათუმი, ნონეშვილის ქ. N63).

აუქციონი გაიმართება 2006 წლის 10 აგვისტოს 17.00 საათზე. მისამართი: ქ. ბათუმი, ნონეშვილის ქ. N63.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

a) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) ბეს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შესაძენი მონაწილის ბილეთის საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;

დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან და ქონების შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებას აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.

**გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმები:**

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა, ბიჯის გათვალისწინებით).

დამატებითი ინფორმაცია ქონების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ სააუქციონო კომისიაში. საკონტაქტო ტელეფონი: (995 77) 751414.

**შპს "მშენსერვისის"**
**სააუქციონო კომისია**

# საკრებულოს სამართლებრივი აქტები

27.07.2006
200.010.000.35.101.008.979
**გადაწყვეტილება N8-38**
12.07.2006

**"ქ. თბილისის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადების შემოღების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2005 წლის 24 ივნისის N14-5 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ**

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის თანახმად

**ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება "ქ. თბილისის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადების შემოღების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2005 წლის 24 ივნისის N14-5 გადაწყვეტილებაში და მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-8, მე-9 და მე-10 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. საწარმოებისა და ორგანიზაციებისთვის ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) შეადგენს:

ა) საქართველოს საწარმოსათვის - მის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობის და არამატერიალური აქტივების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1%-ს;

ბ) უცხოური საწარმოსათვის - საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქონების, მის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობის და არამატერიალური აქტივების, (მათ შორის რეზიდენტი პირისათვის იჯარით, ქირით, უზუფრუქტით, ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული და საქარველოს ტერიტორიაზე არსებული ქონება) საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1%-ს;"

გ) ორგანიზაციისათვის, გადასახადის წლიური განაკვეთი შეადგენს მის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობის და არამატერიალური აქტივების, ან ამ ქონების ნაწილის, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის, საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) 1 %-ს.

ამასთან თეატრებისათვის, (კინო-თეატრების გარდა) მუზეუმებისა და ბიბლიოთეკებისათვის გადასახადის წლიური განაკვეთი შეადგენს, მის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობის და არამატერიალური აქტივების, ან ამ ქონების ნაწილის, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური, სათეატრო, სამუზეუმო და საბიბლიოთეკო საქმიანობისათვის, საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) 0.01 %-ს, 2007 წლის 1 იანვრამდე."

3. ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული ან ლიზინგით აღებული უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობები, ან მათი ნაწილი), გარდა სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული ქონების, აგრეთვე იჯარით, ქირით, უზუფრუქტით, ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ქონების - გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და შეადგენს:

ა) 60000 ლარამდე შემოსავლების მქონე ოჯახებისთვის - უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების 0,2 პროცენტს;

ბ) 60000 ლარიდან - 100000 ლარამდე შემოსავლების მქონე ოჯახებისთვის - უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების 0,4 პროცენტს;

გ) 100000 ლარიდან ზევით შემოსავლების მქონე ოჯახებისთვის - უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების 0,8 პროცენტს.

4. ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული ან ლიზინგით აღებული ქონების წლირი გადასახადი შეადგენს იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ქონების ღირებულების 1%-ს."

5. ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ ან ლიზინგით აღებულ საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებულ მსუბუქ ავტომობილებზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია მსუბუქი ავტომობილის სახეობების ძრავის მოცულობისა და ხნოვანების მიხედვით და განისაზღვროს შემდეგი განაკვეთებით:

| მსუბუქი ავტომობილის სახეობა ძრავის მოცულობის მიხედვით | მსუბუქი ავტომობილის ხნოვანება კალენდარული წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | გადასახადის ოდენობა (ლარებში) |
|---|---|---|
| 2000 სმ$^3$-მდე (ჩათვლით) მოცულობის ძრავის მქონე მსუბუქი ავტომობილი | 1 წლამდე (ჩათვლით) | 50 |
| | 1-დან 3 წლამდე (ჩათვლით) | 40 |
| | 3-დან 4 წლამდე (ჩათვლით) | 30 |
| | 4-დან 5 წლამდე (ჩათვლით) | 20 |
| | 5-დან 6 წლამდე (ჩათვლით) | 10 |
| | 6 წელზე მეტი | 5 |
| 2001 სმ$^3$-დან 3000 სმ$^3$-მდე (ჩათვლით) მოცულობის ძრავის მქონე მსუბუქი ავტომობილი | 1 წლამდე (ჩათვლით) | 150 |
| | 1-დან 3 წლამდე (ჩათვლით) | 130 |
| | 3-დან 4 წლამდე (ჩათვლით) | 110 |
| | 4-დან 5 წლამდე (ჩათვლით) | 80 |
| | 5-დან 6 წლამდე (ჩათვლით) | 25 |
| | 6 წელზე მეტი | 5 |
| 3000 სმ$^3$-ზე მეტი მოცულობის ძრავის მქონე მსუბუქი ავტომობილი | 1 წლამდე (ჩათვლით) | 300 |
| | 1-დან 3 წლამდე (ჩათვლით) | 250 |
| | 3-დან 4 წლამდე (ჩათვლით) | 200 |
| | 4-დან 5 წლამდე (ჩათვლით) | 100 |
| | 5-დან 6 წლამდე (ჩათვლით) | 50 |
| | 6 წელზე მეტი | 5 |

38-1 ??

6. ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ ან ლიზინგით აღებულ საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებულ იახტებზე (კატარღებზე), თვითმფრინავებზე, შვეულმფრენებზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია სატრანსპორტო საშუალებების სახეობისა და ძრავის სიმძლავრის მი-

| სატრანსპორტო საშუალების სახეობა | საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის კოდი | გადასახადის განაკვეთი ძრავის 1 ცხენის ძალაზე წელიწადში |
|---|---|---|
| 1. იახტა (კატარღა) | 890310900<br>890392100<br>890392990<br>890399990 | 7 ლარი |
| 2. თვითმფრინავი | 8802 20<br>8802 30<br>8802 40 | 5 ლარი |
| 3. შვეულმფრენი | 8802 11<br>8802 12 | 5 ლარი |

ხედვით და შეადგენს:

38-2 ??

8. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე წლიური გადასახადის საბაზისო განაკვეთი საქართველოს ან უცხოური საწარმოს, ორგანიზაციისა ან/და ფიზიკური პირისათვის საკუთრებაში, ასევე კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში მყოფი სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზე განისაზღვროს ერთ კვადრატულ მეტრზე 0,24 თეთრით. ამასთან საგადასახადო კიდექსის 274-ე მუხლის მე-6, მე-7 და მე-8 ნაწილებიდან გამომდინარე, გადასახადის განაკვეთი ტერიტორიული ზონირების შესაბამისი კოეფიციენტების მიხედვით განისაზღვროს N1 დანართის შესაბამისად.

9. იმ ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას კაზინოებით (სამორინეებით), აზარტული და სხვა სათამაშო ბიზნესს დაწესებულია გადასახადის შემდეგი განაკვეთები:"

ა) კაზინოს (სამორინეს) თვითოეულ სათამაშო მაგიდაზე - თვეში 7000 ლარი;

ბ) თითოეულ სათამაშო აპარატზე - თვეში 50 ლარი

გ) ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს, თითოეულ სალაროზე - თვეში 300 ლარი;

დ) თვითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე - საპრიზო ფონდის 10%;

ე) სისტემურ-ელექტრონულ ფორმის თამაშობაზე - თვეში 2000 ლარი.

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ (სასურველია დამკვეთის მიერ ბეჭდით დადასტურებული);
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ფიზიკური პირის შემთხვევაში ინფორმაცია ფიზიკური პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაციას სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.(იჯარის შემთხვევაში საიჯარო ხელშეკრულება);

*5.* თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებამდე დადებამდე.

6 სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 31 ივლისის 12 საათიდან 2006 წლის 21 აგვისტოს 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*7.* ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

*8.* ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.;

*9.* დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგზარ კალაძე - საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ტენდერს ქ. თბილისში, განლაგებული შენობა-ნაგებობების გვერდითი ფასადის კომბინირებული მასალით (კომპოზიტიური მასალით, მანათობელი ორგმნითა და ფერადი მეტალის პროფილებით) მოპირკეთების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 3 ლოტად (პოზიციად):

1. ლოტი (პოზიცია) - 546 მ²;
2. ლოტი (პოზიცია) - 460 მ²;
3. ლოტი (პოზიცია) - 560 მ²;

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:. მოსაპირკეთებელი ფართის მოცულობა - 1566 მ2, ფასადის მოპირკეთება რკინის კონსტრუქციაზე დამაგრებული, ასევე რკინის კონსტრუქციაში ჩასმული ფერადი პროფილის მანათობელი ორგმინის კომპოზიტიური ფილებით.

**2.** სამუშაოების დასრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 თვე.

***3.*** განაცხადი, პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) და წარმოდგენილ იქნას 2006 წლის 22 აგვისტოს 12 საათიდან 2006 წლის 22 აგვისტოს 17.30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

***4***. პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ (სასურველია დამკვეთის მიერ ბეჭდით დადასტურებული);
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ფიზიკური პირის შემთხვევაში ინფორმაცია ფიზიკური პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაციას სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.(იჯარის შემთხვევაში საიჯარო ხელშეკრულება);

***5***. თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებამდე დადებამდე.

**6.** სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 31 ივლისის 12 საათიდან 2006 წლის 21 აგვისტოს 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*7.* ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

**8.** ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.;

**9.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგზარ კალაძე - საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის განცხადება

- საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისია, საქართველოს პარლამენტის 2006წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების შესაბამისად, საოფისე სკამების და სავარძლების შესყიდვაზე და პარლამენტში არსებული საოფისე მაგიდების და კარადების იდენტური ავეჯის დამზადებაზე აცხადებს ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვა განხორციელდება 2 ლოტის მიხედვით:**

პირველი ლოტი: საოფისე სკამები და სავარძლები

| № | დასახელება | მახასიათებლები | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | საოფისე სკამი | შავი ფერის, ნაჭრის. | 100 ცალი |
| 2 | საოფისე სავარძელი | შავი ფერის, ნაჭრის, გორგოლაჭებიანი, სახელურებით, სიმაღლის და საზურგის რეგულირებით. | 60 ცალი |

მეორე ლოტი: საოფისე მაგიდები და კარადები

| № | დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | კარადა | 15 ცალი |
| 2 | მაგიდა (ტუმბოთი) (სხვადასხვა ზომის) | 51 ცალი |
| 3 | მაგიდის მისადგმელი | 10 ცალი |
| 4 | მაგიდა მეტალის ფეხებზე | 2 ცალი |
| 5 | კუთხის მაგიდა ტუმბოთი და სტელაჟით | 1 კომპლ. |

- ტენდერში გამარჯვებულმა საქონლის მოწოდება უნდა განახორციელოს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

- პრეტენდენტებმა დალუქული კონვერტით საკვალიფიკაციო მონაცემები და ერთი სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 22 აგვისტოს 12.00 სთ-მდე** საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის აპარატში სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის 8, დალუქული კონვერტები კომისიის სხდომაზე დასწრების მსურველი პრეტენდენტების თანდასწრებით გაიხსნება **2006 წლის 22 აგვისტოს 12.00 სთ-ზე** ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

- პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ორიგინალების ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლების სახით.

- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციებს:

**- იურიდიული პირისთვის:**

ა) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან და/ან სასამართლოდან);

ბ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (საგადასახადო ინსპექციიდან);

დ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

**ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ან სასამართლოდან);

გ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (საგადასახადო ინსპექციიდან);

ე) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისთვის (შერჩევის პროცედურა), თუ იგი **2006 წლის 22 აგვისტოს 12.00სთ-მდე** არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას და/ან სატენდერო წინადადებას ან წარმოდგენილი ცნობებიდან და ინფორმაციიდან რომელიმე ყალბი აღმოჩნდება ან იქნება შეუსაბამობა წინამდებარე განცხადების მოთხოვნებთან და/ან სატენდერო წინადადება არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან ან არ იქნება შესაბამისობაში "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონთან და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებასთან.

- ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი იხდის სატენდერო მოსაკრებელს 200 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ხაზინა: მიმღების ანგარიში N200122900, საქართველოს ეროვნულ ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000, საქ. პარლამენტის აპარატის მიერ ჩასატარებელი ტენდერის მოსაკრებელი.

- ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა (**არაუგვიანეს 2006 წლის 22 აგვისტოს 12.00სთ-მდე)** სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითრისა და სატენდერო დოკუმენტაციის მიღების მინდობილობის წარმოდგენისთანავე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 8, სატენდერო კომისიის აპარატი.

- ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა წინადადება შეიძლება წარმოადგინონ როგორც მთლიანად, ისე ცალკეული ლოტების მიხედვით, შესაბამისად ტენდერის ჩატარებისას შესაძლებელია რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

- დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: **921264 ზაურ ჯიოშვილი**.

**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე**

# საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის განცხადება

- საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისია, საქართველოს პარლამენტის 2006წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის ქვესადგურის ძაბვის გამანაწილებელი მოწყობილობების სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებაზე აცხადებს ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

- ტენდერში გამარჯვებულმა სამუშაოების ჩატარება უნდა განახორციელოს ოპერატიულად და ხარისხიანად.

- პრეტენდენტებმა დალუქული კონვერტით საკვალიფიკაციო მონაცემები და ერთი სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 23 აგვისტოს 12.00 სთ-მდე** საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის აპარატში სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის 8, დალუქული კონვერტები კომისიის სხდომაზე დასწრების მსურველი პრეტენდენტების თანდასწრებით გაიხსნება **2006 წლის 23 აგვისტოს 12.00 სთ-ზე** ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

- პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ორიგინალების ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლების სახით.

- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციებს:

**- იურიდიული პირისთვის:**

ა) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან და/ან სასამართლოდან);

ბ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (საგადასახადო ინსპექციიდან);

დ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

**ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ან სასამართლოდან);

გ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (საგადასახადო ინსპექციიდან);

ე) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისთვის (შერჩევის პროცედურა), თუ იგი **2006 წლის 23 აგვისტოს 12.00სთ-მდე** არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას და/ან სატენდერო წინადადებას ან წარმოდგენილი ცნობებიდან და ინფორმაციიდან რომელიმე ყალბი აღმოჩნდება ან იქნება შეუსაბამობა წინამდებარე განცხადების მოთხოვნებთან და/ან სატენდერო წინადადება არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან ან არ იქნება შესაბამისობაში "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონთან და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებასთან.

- ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი იხდის სატენდერო მოსაკრებელს 200 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ხაზინა: მიმღების ანგარიში N200122900, საქართველოს ეროვნულ ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000, საქ. პარლამენტის აპარატის მიერ ჩასატარებელი ტენდერის მოსაკრებელი.

- ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა (**არაუგვიანეს 2006 წლის 23 აგვისტოს 12.00სთ-მდე)** სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითრისა და სატენდერო დოკუმენტაციის მიღების მინდობილობის წარმოდგენისთანავე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 8, სატენდერო კომისიის აპარატი.

- დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: **921264 ზაურ ჯიოშვილი**.

**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე**

# საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის განცხადება

- საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისია, საქართველოს პარლამენტის 2006წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების შესაბამისად, ჭაღების და ეკონომიური ნათურების შესყიდვაზე აცხადებს ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვა განხორციელდება 2 ლოტის მიხედვით:**

პირველი ლოტი: ჭაღები

| № | დასახელება | მახასიათებლები | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | ერთნათურიანი ჭაღი | თეთრი ფერის მინის ბურთულა, Φ30. | 500 ცალი |
| 2 | რვანათურიანი ჭაღი | შავი ფერის, მეტალის. | 50 ცალი |

მეორე ლოტი: ეკონომიური ნათურები

| № | დასახელება | მახასიათებლები | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | ეკონომიური ნათურა | 220V, E27, 100 ვატის ექვივალენტი | 2000 ცალი |
| 2 | ეკონომიური ნათურა | 220V, E14, 60 ვატის ექვივალენტი | 650 ცალი |
| 3 | ეკონომიური ნათურა | 220V, E27, 60 ვატის ექვივალენტი | 150 ცალი |

- ტენდერში გამარჯვებულმა საქონლის მოწოდება უნდა განახორციელოს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

- პრეტენდენტებმა დალუქული კონვერტით საკვალიფიკაციო მონაცემები და ერთი სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 21 აგვისტოს 1200 სთ-მდე** საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის აპარატში სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის 8, დალუქული კონვერტები კომისიის სხდომაზე დასწრების მსურველი პრეტენდენტების თანდასწრებით გაიხსნება **2006 წლის 21 აგვისტოს 1200 სთ-ზე** ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

- პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ორიგინალების ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლების სახით.

- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციებს:

**- იურიდიული პირისთვის:**

ა) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან და/ან სასამართლოდან);

ბ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (საგადასახადო ინსპექციიდან);

დ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

**ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ან სასამართლოდან);

გ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (საგადასახადო ინსპექციიდან);

ე) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისთვის (შერჩევის პროცედურა), თუ იგი **2006 წლის 21 აგვისტოს 1200სთ-მდე** არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას და/ან სატენდერო წინადადებას ან წარმოდგენილი ცნობებიდან და ინფორმაციიდან რომელიმე ყალბი აღმოჩნდება ან იქნება შეუსაბამობა წინამდებარე განცხადების მოთხოვნებთან და/ან სატენდერო წინადადება არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან ან არ იქნება შესაბამისობაში "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონთან და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებასთან.

- ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი იხდის სატენდერო მოსაკრებელს 200 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ხაზინა: მიმღების ანგარიში N200122900, საქართველოს ეროვნულ ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000, საქ. პარლამენტის აპარატის მიერ ჩასატარებელი ტენდერის მოსაკრებელი.

- ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა (**არაუგვიანეს 2006 წლის 21 აგვისტოს 1200სთ-მდე)** სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითრისა და სატენდერო დოკუმენტაციის მიღების მინდობილობის წარმოდგენისთანავე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 8, სატენდერო კომისიის აპარატი.

- ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა წინადადება შეიძლება წარმოადგინონ როგორც მთლიანად, ისე ცალკეული ლოტების მიხედვით, შესაბამისად ტენდერის ჩატარებისას შესაძლებელია რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

- პრეტენდენტმა შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში უნდა წარმოადგინოს შემოთავაზებული საქონლის ნიმუში.

- დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: **921264 ზაურ ჯიოშვილი**.

**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე**

## საქართველოს პარლამენტის აპარატს ერთი ერთეული მაკოპირებელი აპარატის შესყიდვაზე ფასთა კოტირების პროცედურის ჩატარებისათვის ესაჭიროება აღნიშნულ პროცედურაში პოტენციურად მონაწილე იურიდიული და/ან ფიზიკური პირების სია

მაკოპირებელი აპარატის მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები.

| | |
|---|---|
| ბეჭდვის სიჩქარე | მინ. 75 ფურც./წთ |
| ფურცლების მიწოდება | ავტომატური ორმხრივი (DADF) და ხელით |
| ფურცლების მარაგი | მინ. 4000 ფურცელი |
| ქაღალდის სიმკვრივე | 50 –128 გ/კვმ |
| მაქს. ფურცლის ზომა | A3 |
| მასშტაბირება | მინ. 50%-200% |
| წარმადობა | მინ. 250000 ფურც./თვეში |
| ფინიშერის მიერთების შესაძლებლობით | |
| გარანტია | მინ. 1 წელი |

**დაინტერესებულმა პირებმა 4 აგვისტოს 15.00-სთ-მდე მიმართეთ: ზაურ ჯიოშვილი 92-12-64.**

## "განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იულონ ლომოურის მიწათმოქმედების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე"

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იულონ ლომოურის მიწათმოქმედების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ თანამდებობებზე:

ა) "აგროტექნოლოგიების" განყოფილების გამგე (მთავარი მეცნიერ თანამშრომელი);

ბ) "სელექციის, გენეტიკური რესურსებისა და მეთესლეობის" განყოფილების გამგე (მთავარი მეცნიერ თანამშრომელი);

გ) "საერთო მომსახურეობის" ლაბორატორიის გამგე (მთავარი მეცნიერ თანამშრომელი);

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ე) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;

ვ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა (საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები და ა.შ.);

ზ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია);

თ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);

ი) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია);

სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსანტის შერჩევისას შეიძლება გათვალისწინებული იქნეს შემდეგი კრიტერიუმები:

ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა და ხარისხი
(განსაკუთრებით ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ბ) პატენტები;

გ) მონაწილეობა საერთაშორისო სიმპოზიუმებში , კონფერენციებში;

დ) მონაწილეობა საგრანტო, მათ შორის, საერთაშორისო თემატიკაში;

ე) სტრუქტურული ერთეულის განვითარების სტრატეგიული ხედვა;

ვ) კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი სამუშაოების
ორგანიზების გამოცდილება;

საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს 3 წლის ვადით.

საბუთების მიღება იწარმოებს 2006 წლის 1 აგვისტოდან, მისამართი: მცხეთა, წეროვანი;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა (1 თვე) 30 აგვისტო;

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის 7 სექტემბერს;

საბუთები აუცილებლად უნდა იყოს / ან სასურველია იყოს წარმოდგენილი აგრეთვე ელექტრონული ფორმით, სასურველია ინგლისურ ენაზე, რამდენადაც საკონკურსო კომისიის რამდენიმე წევრი შესაძლებელია იყოს დასავლეთ ევროპის ან აშშ უნივერსიტეტის თანამშრომელი (სამეცნიერო ნაშრომის ელექტრონული ფორმით წარმოდგენა არა არის აუცილებელი);

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

ქ. მცხეთა, წეროვანი იულონ ლომოურის მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;

**www. htt://tavtavi.gol.ge**
**e-mail: A-Mumladze@gol.ge**
**ტელ; 265256.**
**პასუხისმგებელი პირი: ნ. სულამანიძე'**

# Weekend

შაბათ-კვირა, №15
29-30 ივლისი, 2006



გულახდილად 2



კიდობანი დიდია... 3

შვინდნახადი




ღვინის სამოსელი 4

სტილი



რესტორნის ინტერიერი 8

დროთა კავშირი



ვამპირთა მამა 10

საკითხავი

ნადირობა ცხვრებზე 12





ქეთევან იგნატოვას



# "კვიციანების" დრო დასრულდა

კოდორის ხეობის სპეცოპერაცია, რომლის აუცილებლობასა და წარმატებულობაში, მე პირადად, ეჭვი არასდროს მეპარებოდა, ფაქტობრივად, დასრულდა. მთელი საქართველოსთვის ერთნაირად მძიმე, დაძაბულმა, ემოციებითა და განცდებით გამორჩეულმა კვირამ კიდევ ერთხელ, და იმედი მაქვს საბოლოოდ, დაგვარწმუნა, რომ ჩვენ შეიძლება ჯერ პრობლემებითა და გასაკეთებლით აღსავსე, არაუნაკლო, არაუშეცდომო, არაიდეალურ, მაგრამ უკვე ჩამოყალიბებულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, რომლის ინტერესების წინააღმდეგ ხელის აღმართვა, უპატივცემულობა წინასწარ განწირული და ყველასათვის ერთნაირად უპატიებელია. წარსულში ნებისმიერი "კარგი ბიჭი", "ვაჟკაცი კაცი", პოლიტიკოსი, თუ საზოგადოების რიგითი წევრი პიროვნული თავხედობის, იდიოტიზმის, ღალატის ან ელემენტარული დეზორიენტაციის შემთხვევაში უზარმაზარ სახელმწიფო მანქანას ეჯახება, რომელიც მთელმა ქართულმა საზოგადოებამ ამხელა მოლოდინის შემდეგ, ამხელა წვალებისა და ძალისხმევის ფასად ერთად აამუშავა, მისი მუშაობის რითმულ ხმას ასეთი იმედით აყურადებს, ყოველ წინ გადადგმულ ნაბიჯს შეჰხარის და რომლის მწყობრიდან გამოყვანის უფლებას აღარასდროს არავის მისცემს.

რიგითი კრიმინალი ან, მით უმეტეს, სამშობლოს მოღალატე გმირი არ ხდება. საზოგადოება ბინძურ, ანტისახელმწიფოებრივ თამაშებს არ თამაშობს. "კვიციანების" დრო დასრულდა. ეს წერტილი ჩვენ ყველამ ერთად დავსვით. იგი დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია და მას არავის დავუთმობთ. დროის ბორბალი უკან აღარ დატრიალდება. არც ქართული სახელმწიფო, არც ქართული საზოგადოება ამას აღარ დაუშვებს.

**P.S. ჩემთვის პირადად ყველაზე მტკივნეული ცალკეული მოქალაქეების ინტონაციაში სპეცოპერაციის წარუმატებლობის, სიტუაციის კონტროლიდან გამოსვლის, ვითარების უკიდურესად გართულების, ხელისუფლების შეცდომების, ახალი არეულობის ის თითქოს ფარული და ამავე დროს სრულიად დაუფარავი მოლოდინი, იმედი, თუ გნებავთ, სიხარულიც კი იყო, რომელიც ასე აშკარად იგრძნობოდა, ასე იოლად იკითხებოდა. შეიძლება მე ვცდები, მეჩვენება, მაგრამ თუ არა, მაშინ ეს მართლაც რომ უპატიებელია!**





**29 ივლისს მამაჩემს, მხატვარ კოკა იგნატოვს 69 წელი შეუსრულდებოდა. ამ რუბრიკის მეშვეობით მისი შემოქმედების ერთი მცირე ნაწილი, ვაჟა-ფშაველას ილუსტრაციები მინდა შემოგთავაზოთ. ქართველებს ვაჟას მსგავსი გენიალური მოაზროვნეებიც და პატარ-პატარა ადამიანებიც ოდითგან გვყავდა, მაგრამ მათი ფასიც ყოველთვის შესანიშნავად ვიცოდით და დღესაც ვიცით.**











გაგრძელება.
დასაწყისი იხ. № 12, 13

# კიდობანი დიდია...

*ცნობილი ფოტო და ტელეჟურნალისტი, მრავალი ჟურნალისტის აღმზრდელი* ***სანდრო მამასახლისი*** *სოფელში გადაბარგდა და დროდადრო, როცა ფიქრი და დარდი მოეძალება, იქიდან გვეხმიანება ხოლმე. თანაც ყოველ ჯერზე გვთხოვს, მკითხველი აუცილებლად გააფრთხილეთ - აბა, ჩვენ რა ვიცით, დაბერდა ეს ჩვენი სანდრიკა და ხანდახან მწარე-მწარეებსაც გამოურევს ხოლმეო. ამ თხოვნასაც ვუსრულებთ და მისი დიდი კიდობნიდან ტკბილ-მწარე ფიქრებსაც გთავაზობთ.*



...თანამედროვე ჩვენი ჟურნალისტიკა ქართული ძირის მქონე სიტყვებს აშკარად გაურბის - პალიტრა, რეზონანსი, აუდენცია, მედიატორი, არტბულვარი, ეტალონი, ტაბუ, ექსკლუზივი, ვერსია, რაციო, კოქტეილი, ესტაფეტა, კაკადუ, რეაქცია, ტაიმაუტი, ჯორჯიან ტაიმსი, კურიერი, ავტოგრაფი, არგუმენტი, ლატერნა, მაგიკა, არენა და ასე შემდეგ... ამ მხრივ ყველაზე მეტად რადიო-ტელევიზიის ხალხი სცოდავს. თითქოს გამომწვევადაც, ჯიუტად ხმარებაში შემოაქვთ და ამკვიდრებენ ისეთ უცხო სიტყვებს, რომლის ეტიმოლოგია ქართულში ბევრზე ბევრია, თვითნებურად ცვლიან ქართულ ფორმებსა და ქცევებს - "დააგემოვნა", "იუმორინა", "კლასიკა"... სარეკლამო გამოშვებებში ქართული სიტყვა - ნაწარმი "პროდუქციამ" განდევნა, სურსათი - "პროდუქტმა"...

მოკლედ, უწიგნურობა შეტევაზეა გადმოსული...

* * *

...ქურდი, რომელიც ბინაში შეაღწევს და ოჯახის ნაამაგარს პირწმინდად წაიღებს, წარმოიდგინეთ ანგელოზია იმ მექრთამე-მტაცებელთან შედარებით, რომელიც თავის ვეება კაბინეტში ზის და დღისით-მზისით ქვეყნის ძარცვას გულდინჯად, უშფოთველად გეგმავს.

უმრავლეს შემთხვევაში მაწანწალა ქურდი მოკლებულია განათლებას, ცხოვრების ადამიანურ პირობებს, მისი ყოველდღიურობა სავსეა ხიფათით, მუდმივი შიშითა და, რაც მთავარია - ხალხის მისდამი მტრული განწყობით...

კაბინეტიან ქურდს კი ხელსაც ვართმევთ, სუფრაზედაც ვუსხდებით, აშკარად არამი ფულით ნაყიდსა თუ აშენებულს გულმხურვალედ ვულოცავთ, ხოლო თუ მოხდა სასწაული და პასუხი მოსთხოვეს, ვუთანაგრძნობთ, საწყალი, ჩავარდაო... არადა, იგი აბსოლუტური ქურდია, მისთვის ძარცვის ობიექტი ერთი ოჯახი კი არ არის, არამედ მთელი ქვეყანაა, არავის დაინდობს, არავის შეიბრალებს...

რატომ ვიქცევით ასე, არ ვიცი...

* * *

... "გააჩერეთ, გააჩერეთ!" - ასეთი სათაური ჰქონდა ნეტარცხონებულ კოტე მახარაძის ერთ-ერთ ტკივილიან წერილს, რომელიც ზვიადის პრეზიდენტობის ხანაში "ლიტერატურულ საქართველოში" დაიბეჭდა და ეხებოდა გურამ პეტრიაშვილის მოჭარბებულად ურაპატრიოტულ პუბლიკაციებს... მეც, როცა ავტორის ნამუშევარი არ მომწონს ხოლმე, ბატონ კოტესავით მინდა ვიყვირო - "გააჩერეთ, გააჩერეთ!"

...როცა წინასწარ იცი, რომ ადამიანებს არამცთუ რადიკალურად განსხვავებული აზრი აქვთ ერთსა და იმავე საგანზე, არამედ ერთმანეთს საერთოდ ვერ იტანენ, ბუნებრივია (თუ საზოგადოებას პატივს სცემ), სტუდიაში არ უნდა მოიწვიო და ტელედებატების საბაბით, ხალხს სეირი არ უნდა აცქერინო...

ზოგიერთი გადაცემის შემდეგ ისეთი შეგრძნება მიპყრობს, თითქოს რაღაც მყრალ სიბინძურეში ჩამაყოფინეს თავი - პიროვნებანი, რომელთა სიტყვას მთელი ცხოვრება დიდი რიდითა და ყურადღებით ვუსმენდი, ქალბატონების, ხოფერიას და, განსაკუთრებით გრიგოლიას, გადაცემებში იერსახეს კარგავენ, უკიდურესად ნერვიულობენ, ხმის ჩახლეჩამდე ყვირიან... უბრალოვდებიან, მცირდებიან...

ადრე მეგონა, ყოველივე, რაც ტელეეკრანზე ხდება, თვით პოსტსაბჭოეთის საზოგადოების სულიერი დაკნინების ბრალია, მაგრამ რო დავაკვირდი, ეს სამარცხვინო დავიდარაბა შეგნებით პროვოცირებული აღმოჩნდა...

გადაცემის დასაწყისში ქალბატონი გრიგოლია ერთ-ერთ მხარეს სიტყვას აწყვეტინებს სწორედ იმ დროს, როცა გამომსვლელი თავისი მთავარი მოსაზრების ჩამოყალიბებას იწყებს, აწყვეტინებს წუთნახევარში (თუმცა მისი გადაცემის ქრონომეტრაჟი გაუმართლებლად დიდია), აწყვეტინებს ყოველგვარი რიდის გარეშე, უტიფრად, ხელის დაქნევით, ქალისთვის შეუსაბამო ომახიანი შეძახილებით. თუ ვინაა ამ დროს მის წინაშე, მისთვის სულერთია... ასე მოხდა განათლების მინისტრისა და აკადემიკოსების შეხვედრისას... არც ერთ მხარეს წამყვანმა აზრის თქმა არ აცალა... გატეხილი სიტყვა კი, მოგეხსენებათ, კოჭლია, შორს ვერ წავა... მალე აყალმაყალიც დაიწყო...

მაქვს საერთო შენიშვნაც - ინტერვიუს აღებისას შეკითხვა პასუხზე უფრო გრძელი არ უნდა იყოს, ხოლო წამყვანის ფუნქციის შესრულებისას თავად ძალიან ცოტას უნდა ლაპარაკობდე და, რაც მთავარია, არ უნდა გვიმხელდე საკუთარ მოსაზრებებს... ქალბატონი გრიგოლია "თავის" გადაცემაში ისე ხმაურობს, წივის და კივის, რომ სხვა თუ ამ დროს სტუდიაში იმყოფება, მავიწყდება კიდეც...

დასანანია, რომ ამ აყალმაყალს რატომღაც მოწვეულ ახალგაზრდებსაც აცქერინებენ... რაღა უნდა იფიქრონ მათ ჩვენს მეცნიერებსა თუ მთავრობაზე, საზოგადოებასა და თვით იმ ქვეყანაზე, რომელშიც ცხოვრობენ და რომელსაც თავდადებით უნდა ემსახურონ...

* * *

...სერგეი ეზენშტეინის დამსახურებაა, რომ ზამთრის სასახლეს ზღვა ხალხი მიაწყდა, შეაზანზარა თუჯის ვეება კარიბჭე, შეანგრია იგი, კრიალა დარბაზებში გამართა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, შეიპყრო დროებითი მთავრობა, დაადო ბორკილები და კინწრისტეხვით პეტრე-პავლეს ციხეში მიაბრძანა...

ყოველივე ეს კინოეკრანზე ბევრჯერ ვიხილეთ... რამდენადაც ნიჭიერი, იმდენად უნამუსო რეჟისორის დახმარებით...

...სინამდვილეში რუსეთის დროებითი მთავრობა ათკაციანმა (ცეცხლსასროლი იარაღი - მაუზერი, მხოლოდ ერთს ჰქონდა) ბოლშევიკების ჯგუფმა დააპატიმრა.

ეს მოხდა მშვიდად, გასროლის გარეშე, საუბრობდნენ დაბალ ხმაზე, მობოდიშებით, თითქმის თავაზიანად... "...რა თქმა უნდა, გავარკვევთ და ახლავე სახლებში დაბრუნდებით..." ეუბნებოდნენ თავზარდაცემულ მინისტრებს...

რუსი კინორეჟისორის მხატვრულმა ფანტაზიებმა შვეს "ჯავშნოსანი პოტიომკინი", რომელიც შემდგომში მილიონობით მკვლელობის გამართლების არგუმენტი გახდა...

ასე რომ, ხელოვნება ყოველთვის ჰუმანური არ არის...

* * *

...ხელოვნების ბოლშევიკურმა "სუბორდინაციამ", ცნება კულტურის მკვეთრმა შემცირებამ ხალხს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, თავგზა აუბნია... დღეს, პოსტსაბჭოთა საქართველოში გიტარაზე დაკვრა უფრო საპატიო ჰგონიათ, ვიდრე ხრიოკზე ბაღნარის გაშენება... ამიტომ ერის გენიის დინებამ თავისი მრავალსაუკუნოვანი კალაპოტი შეიცვალა და წავიდა იქითკენ, სადაც არც ქვეყანაა და არც მისი მომავალი...

ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ სიმღერისა და ცეკვის ქვეყანა, ქართველები ამდენს არ ლხინობდნენ, არ ქეიფობდნენ... თუ არა გჯერათ, შებრძანდით ქართული ლექსიკის მრავალსაუკუნოვან საცავებში, იქ ჰპოვებთ დასტურს ქართველთა უდიდეს შრომისუნარიანობასა და მებრძოლ სულზე, მათ სერიოზულობასა და სიდარბაისლეზე...

მით უმეტეს დღეს, როცა საქმე თავზე საყრელია, ამდენი არ უნდა გვემღერებოდეს და გვეცეკვებოდეს...

საბედნიეროდ, არიან ახალგაზრდები, რომლებიც თავად პოულობენ საყვარელ საქმეს, თავად დიდი მონდომებით სწავლობენ, ეცნობიან სამყაროს, ყველაფრით ემჩნევათ, რომ ქვეყნის შვილები არიან... მთავარია, ასეთებს ხელი არ შეუშალოთ ჭარბი ყურადღებით, დემაგოგიური რიტორიკით...

მაგრამ არიან სხვანიც, რომლებიც შრომას გაურბიან, იოლ ფულს დასდევენ...

ამ თვალსაზრისით არც ზოგიერთი ტელეარხი გვეხმარება - სისხამ დილიდან, შრომისადმი სამობილიზაციო განწყობის შექმნის მაგივრად, ისედაც გათამამებულ, პრანჭია ახალგაზრდებს გონებას უბნევენ, ამატრაკვეცებენ, სიმღერას ისეთი სერიოზული იერსახით "ასწავლიან", თითქოს კაცის ცხოვრებისათვის იგი გადამწყვეტია, უმთავრესია... ანდა ნამდვილი საქმე გაგვთავებოდეს და ახლა საყოველთაო მოლხენის ჟამი დამდგარიყოს... გვეყოს ამდენი ტინგიცობა, ქვეყანა ჩვენგან შველას ითხოვს!

მთელ კასპის რაიონში (სამოცდაათზე მეტი სოფელია!) ორად-ორი რიგიანი მლესავი მეგულება. არც კალატოზია თავზე საყრელი... რა უნდა კედლის აშენებას - ზოგი იტყვის, იტყვის ის, ვისაც სახლი არ აუშენებია... აგურს აგური დაადე და მორჩა... ოლოლო და ვერ გამოიცანით - კედლის უზადოდ აშენებას დიახაც ნიჭი და უნარი უნდა, სხვათა შორის, გაცილებით მეტი, ვიდრე გიტარაზე დაკვრას... დღევანდელი საქართველოს ახალგაზრდობის უდიდესმა ნაწილმა ეს ამბავი არ იცის.

...ამას წინათ თბილისში მეტროთი ვიმგზავრე - არავინ, მათ შორის ახალგაზრდებიც, არაფერს აკეთებდა...

მახსოვს, პარიზის, პრაღის თუ ბერლინის მეტროს და, საერთოდ, ტრანსპორტის მგზავრები უსაქმური არავინ იყო - ზოგი ქსოვდა, ზოგი პრესას კითხულობდა...

ჩვენების ეგზომ თამამი, თავისმომჭრელი ხმაურიანობა, როცა, ვთქვათ, სადმე ვარშავაში, ვეება, ხალხმრავალ, მაგრამ მაინც წყნარ, მყუდრო ვაგზალში, ასე გამოკვეთილად მხოლოდ მათი დაურიდებელი წივილ-კივილი ისმის ხოლმე, სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ მათ ფსიქიკას არ განუცდია ნამდვილი შრომის დაძაბული რიტმი, ამიტომაც არ გააჩნიათ თავშეკავებისა და თვითდათრგუნვის უნარი - მოგეხსენებათ, დაუჭიმავი სიმი ბგერას არ იძლევა, თოკივით უსიცოცხლოა...

* * *

...როგორ მოხდა არ ვიცი, მაგრამ აბსურდამდე მივედით - თითქმის ყველა ტელესტუდიის საინფორმაციო სამსახური აშუქებს ორად-ორ თემატიკას: დანაშაულს და პარლამენტს... ეს არის და ეს...

ქვეყნის ცხოვრება რატომღაც კადრს მიღმა აღმოჩნდა...

არადა, დანაშაული და პარლამენტი, როგორც ინფორმაციის საბაბი, არ წარმოადგენენ ტელეჟურნალისტიკისათვის კვლევის უმთავრეს საგანს... ამისათვის პრესსამსახური არსებობს... მარტოოდენ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება ჟურნალისტი ჩაერიოს გამოძიებისა თუ პარლამენტის მუშაობის პროცესში...

მსოფლიო ტელეჟურნალისტიკის პრაქტიკამ არ იცის ის, რაც დღეს ჩვენთან ხდება. თავად განსაჯეთ, მით უმეტეს მაგალითისათვის შორს წასვლა არ მოგვიწევს, დღესვე ჩართეთ ტელემიმღები...

...ეს ესაა ცხელ კვალზე დააკავეს ექვმიტანილი, რომელიც რატომღაც უკვე მიკროფონთანაა და ამბობს თავის სათქმელს... ტელეჟურნალისტი ამ დროს სისხლის სამართლის დანაშაულს რომ სჩადის, არც თავად, არც მისმა უშუალო ხელმძღვანელმა არ იციან - ეჭვმიტანილი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე თავის თანამოსაქმეებს მითითებას აძლევს, თუნდაც იმის შესახებ, რომ "აყვანილია"... საუბრობს თავისუფლად და, ამდენად, თავის დანაშაულს აგრძელებს, რაშიც აქტიურად ეხმარებიან ე.წ. "ჟურნალისტები", მაგრამ ამით არ მთავრდება უკანონობის ბაქკანალია - ახლა მიკროფონს უთმობენ ეჭვმიტანილის დედას, რომელიც მთელი საქართველოს გასაგონად ყვირის, რომ ავტომატები, გვამები და უკანონო ბენზინგასამართი სადგურები თვით პოლიციამ "დაუგდო" და მისი შვილი ანგელოზია. დედის შემდეგ მიკროფონთან ეჭვმიტანილის ნათესაობა გამოდის, ძირითადად ილანძღებიან, არ მოსწონთ კანონები, განსაკუთრებით - მთავრობა. თუ კოსმეტიკით გამშვენიერებული ქალბატონი ვექილი "შემთხვევით" იქ აღმოჩნდა, თავის აღშფოთებას კანონის მუხლების მოშველიებით გამოხატავს. მერე იწყება მეზობლების გამოსვლები... ყველა, ვისაც მოესურვება, მიკროფონთან იპრანჭება. დუმს მხოლოდ მთავარი პიროვნება - მბრალდებელი, ეს იმიტომ, რომ მას მიკროფონს შეგნებით არ აძლევენ, ან თუ აძლევენ, სტუდიაში ნათქვამს უსახიჩრებენ...

არ დამავიწყდება, განსასჯელი ვინმე რამიშვილი, მის მიერ ქრთამის აღების მცდელობისათვის მოწყობილ სასამართლოზე ისე იქცეოდა, გეგონებოდა ეროვნული გმირია და საცაა დააჯილდოვებენ, ხოლო მისმა ვიღაც (ალბათ ნათესავმა) ქალბატონმა სითავხედით თვით განსასჯელს "აჯობა" - სასამართლო დარბაზიდან მისთვის უცნობი პირების გაძევება კატეგორიულად მოითხოვა... მოსამართლემ ვერ ივარგა, - ეს ქალბატონი დიდი თანხით უნდა დაეჯარიმებინა და დაუყოვნებლივ დარბაზიდან გაეძევებინა...

...ცნობილი ჭეშმარიტებაა - საინფორმაციო გამოშვების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 20-30 წუთს, ხოლო ცალკეული სიუჟეტისა - 2 წუთამდე... ყოველივე შესაბამისი სამეცნიერო ცენტრების მიერ გათვლილ-დადგენილია. შესწავლილია მაყურებლის როგორც ფიზიოლოგიური, ისე ფსიქიკური შესაძლებლობანი, თვალის მიერ აღქმის უნარი და სხვა.

ჩვენი ტელეავტორების უდიდეს ნაწილს არ შესწევს უნარი მოკლედ, სხარტად, სახიერად გვიჩვენოს მოვლენა, ხოლო რასაც ახერხებს, უხარისხოა. საყოველთაო სენია ტავტოლოგიაც - ჯერ ამბავს წამყვანი მოამახსენებს, მერე იმავე ტექსტს იმეორებს ადგილობრივი კორესპონდენტი, მერე... იმავეს გაიძახის ამბისა თუ მოვლენის უშუალო მონაწილე...

"დროებასაც" ამიტომ ვერ ვგუობ - წამყვანის მიერ შეუსაბამო აპლომბითა და პათოსით გაკეთებული ანონსი იმდენად ამომწურავია, რომ სიუჟეტის ნახვის ინტერესი მიქრება და ღილაკზე თითის დაჭერით სხვა არხზე გადავდივარ...

ჩვენი ტელევიზიის თემატიკის სიმწირემ გამოიწვია მისი ფუნქციის დასუსტება. ბუნებრივია, მკვეთრად შემცირდა მისი სოციალური პოტენციალი, მოხდა პუბლიცისტიკის, ამ დარგის დევალვაცია...

დღეს ორად-ორი ტელეცხოვრება გვაქვს - კრიმინალი და პოზიცია-ოპოზიცია...

ქვეყანა კი, თავისი დაულალავი ნიჭიერი ხალხითა და ფერადოვნებით, დაკარგულია...

დიახ, ესაა პუბლიცისტიკის კოლაპსი!

მალხაზ ხარბედია

# ღვინის სამოსელი

## ეტიკეტი XVIII საუკუნიდან დღემდე

ყველამ კარგად ვიცით, რომ ღვინის, ან სხვა სასმელის ბოთლის ფორმა რადიკალურად იშვიათად იცვლება ხოლმე, რასაც ვერ ვიტყვით ეტიკეტზე. ბოთლზე მიწებებული ეს პატარა ქაღალდი ხან ეპოქასთან ერთად სხვაფერდება, ხან კი ამ ცვლილებას მნიშვნელოვანმა ან უმნიშვნელო მოვლენამაც შეიძლება შეუწყოს ხელი. მაგალითისთვის, შეგიძლიათ დააკვირდეთ, რას დაემსგავსა ქართული ღვინის ეტიკეტები 2003 წლის რევოლუციის შემდეგ. ეროვნული დროშებითა და ვარდებით აჭრელებულ ამ მაკულატურას ბოთლებზე აკრავენ მეწარმეები და გულგრილი (ღვინისადმი გულგრილი) მყიდველის იმედად გააქვთ ქართულ ბაზარზე, თუმცა ისეთი შემთხვევებიც არსებობს, როცა მეტნაკლებად გემოვნებიანი იარლიყით შემკულ ბოთლში შხამი ასხია.

ცხადია, სასმელს მხოლოდ "ტალავარით" ვცნობთ, სხვანაირად შეუძლებელია გავიგოთ, რა ასხია ბოთლში და ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართული ეტიკეტების 80% ტყუის (რამდენი გვინახავს საფერავის ნიშნით დამშვენებული ბოთლი, შიგნით რომ ვარდისფერი ღვინო ასხია).

ჩვენთან ეტიკეტის ფუნქცია მკაცრადაა განსაზღვრული, იგი მიგვანიშნებს, თუ რომელი სასმელი არ უნდა ვიყიდოთ, არადა ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში პირიქითაა, ცნობადობა (რეკლამის გარდა) სწორედ სასმელის მაღალ ხარისხზეა დამოკიდებული.

ეტიკეტი მაშინ გაჩნდა, როცა ღვინის ტრანსპორტირება და ბოთლებში შენახვა დაიწყეს. მანამდე ღვინოს კასრებში ინახავდნენ, სუფრასთან კი გრაფინებითა და დეკანტერებით მოჰქონდათ, სადაც შიგთავსის სახელწოდებაც იყო მითითებული. დეკანტერებისთვის ეტიკეტს ძვირფასი მასალისგან აკეთებდნენ - ვერცხლისგან, ტყავისგან, ემალისგან. ასეთი ეტიკეტები ძალიან პოპულარული იყო გასულ საუკუნეში და 50-იან წლებში კოლექციონერებმა ასოციაცია Wine Label Circle-იც კი შექმნეს.

ადრე ბოთლებზე გრავიურებსაც აკრავდნენ და ბეჭედსაც არტყამდნენ, პირველი ნამდვილი ეტიკეტი კი, როგორც ამბობენ, პირველი შამპანურის, დომ პერინიონის (Dom Perignon) ბოთლზე მიუკრავთ. ერთი სიტყვით, ქაღალდის იარლიყები 18-ე საუკუნეში შემოვიდა ხმარებაში, ჯერ მარტივი, ხელნაწერი იარლიყები, შემდეგ, ლითოგრაფიის გამოგონებასთან ერთად, შედარებით რთულებიც, თუმცა ბოლო დროის წინსვლები (მსოფლიო ბაზარი იგულისხმება, რა თქმა უნდა) მაინც ყველანაირ ზღვარს სცილდება.







*Chвteau Mouton Rothschild-ის ეს ორი ეტიკეტი მარკ შაგალმა და სალვადორ დალიმ დახატეს.*

ღვინის ეტიკეტის ისტორიაში ხშირია შემთხვევები, როცა საქმეში ცნობილი მხატვრები ერევიან ხოლმე. მაგალითისთვის Château Mouton Rothschild, და შამპანურები Perrier-Jouet და Taittinger-იც გამოდგება (საქმე ისაა, რომ როტშილდის შატოსთვის მირო, პიკასო, კანდინსკი, შაგალი, ბალთუსი, ბრაკი, ბეკონი, უორჰოლი და მრავალი სხვა გენიალური ფერმწერი ხატავდა), თუმცა ღვინის სამყაროში მთავარი კანონი მაინც სისადავე იყო. კარგ ღვინოს უბრალო, დახვეწილი იარლიყო უნდა ჰქონოდა, და ასეთი მოკრძალებული გარეგნობა თითქმის ხარისხის გარანტიად აღიქმებოდა. ბორდოს მკაცრი ეტიკეტები გრავიურით ან საოჯახო გერბით შემკული ბურგუნდიული ეტალონად მიიჩნეოდა, რომელსაც ყველა ღვინის მწარმოებელი ითვალისწინებდა. ახლა სრული ქაოსია, თუკი ადრე ღვინის სახელი ყურძნის ჯიშზე ან მოყვანის ადგილზე იყო დამოკიდებული, ახლა შეიძლება მწარმოებლის, მისი შვილიშვილის ან სულაც მისი საყვარლის პატივსაცემად დაარქვან ღვინოს სახელი. მკითხველი თავად იპოვის ასეთ ღვინოს ჩვენს მაღაზიებში, მე ჩამოთვლას არ შევუდგები, თუმცა ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც ევროპაში ან ამერიკაში ხდება, იქ ხშირად ნახავთ ღვინოებს სახელწოდებით Fat Bastard (სქელი ნაბიჭვარი) ან Old Tart (ბებერი ბოზი), რასაც მარკეტოლოგები ძალიან მარტივად ხსნიან: უბრალოდ ახალ თაობას ასეთი სახელწოდების ღვინოები უფრო იზიდავს და ეგრევე იბნევიან, როცა რომელიმე Beaujolais Côtes du Rhône ანდა Chateau Laville Haut Brion Cru Classe-ს უხსენებ. უფრო მეტიც, კლასიკური სახელწოდებები და ეტიკეტები მათ ძველმოდურად ეჩვენებათ და ღვინოშიც ბევრი სიბრძნეს კი არა, გართობას ეძიებს.

ღვინის მწარმოებელი ამ კონტიგენტს რა თქმა უნდა "კოჭს უგორებს", რადგან 20-30 წლის ახალგაზრდები სამომხმარებლო აუდიტორიის მნიშვნელოვან სეგმენტს შეადგენენ. ამის გამოა, რომ ბოლო დროს მსოფლიო ბაზარზე უფრო იმატა ტკბილი და "არომატული" ღვინოების ხვედრითმა წილმა. ეტიკეტებიც შეიცვალა, უფრო ჭყეტელა გახდა, ნახატები კი ფრივოლური ან სულაც უხამსია, ზოგჯერ მყვირალა და უგემოვნო. ზოგიერთი იარლიყი მცირე ინფორმაციას მაინც გვაწვდის ღვინის შესახებ, მაგრამ ისეთებიც არის, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ღვინოსთან.




*Fat Bastard-ს სამხრეთ საფრანგეთში ასხამენ და ღვინის შემქმნელებმა ტიერი ბუდინომ და გაი ანდერსონმა უფრო ღვინისგან მიღებული შთაბეჭდილების გამო დაარქვეს სასმელს ასე.*

ღვინის ახალ, ორიგინალურ ეტიკეტებში პირველ ადგილზე რა თქმა უნდა ამერიკის შეერთებული შტატებია, აქ თითქმის ყველა ლეიბლის ენა ინგლისურია, თანაც მათ ტრადიციაც არ ამძიმებთ (ზოგმა ამერიკელმა არც იცის, რომ კალიფონიაში კარგ ღვინოს წურავენ). უცნაურია, მაგრამ მათ ევროპელი ღვინის მწარმოებლებიც ბაძავენ. მაგალითად, ზემოხსენებული Fat Bastard-ს სამხრეთ საფრანგეთში ასხამენ და ღვინის შემქმნელებმა ტიერი ბუდინომ და გაი ანდერსონმა უფრო ღვინისგან მიღებული შთაბეჭდილების გამო დაარქვეს სასმელს ასე. ამგვარი "იმპრესიონისტული" სახელები, სადაც ავტორის შთაბეჭდილება გადამწყვეტ როლს თამაშობს, საკმაოდაა, თუნდაც ღვინო Bloody Good White ("ძალან მაგარი თეთრი ღვინო"), რომელსაც კალიფორნიაში ასხამენ.

ზოგიერთი სახელწოდება ძალზე ორიგინარულად მიანიშნებს თავად ღვინოზე. მაგალითად Cats Pee on a Gooseberry Bush (კატის მიფსმული ხურტკმელის ბუჩქზე) ახალზელანდიურ სოვინიონს ჰქვია. ზოგიერთი კი სიტყვების თამაშზეა აგებული და ცოდნის გარდა მახვილგონიერებაც გჭირდებათ ამ ალკო-კალამბურების გასაგებად: Cardinal Zin-ს კალიფორნიული ჯიშის ყურძნისგან, ზინფანდელისგან წურავენ და მას კომპანია Bonny Doon ასხამს. გარდა იმისა, რომ ბოთლს ცნობილი მხატვრის, რალფ სტედმანის ნახატები ამშვენებს, ეს ღვინო რეალურ კარდინალზეც მიანიშნებს, მანილის არქიეპისკოპოს Zin-ზე.

ღვინის სახელის ამოსაცნობად ზოგჯერ დიალექტების (უფრო მეტიც, სოციოლექტების) ცოდნაც შეიძლება დაგჭირდეთ, მაგალითად ამათუიმ ღვინოს სხვადასხვა სახელი აქვს ლივერპულსა და მანჩესტერში, რომ აღარაფერი ვთქვათ ლონდონურ კოკნიზე, რადგან მთელი რიგი ტრადიციული ევროპული აპელასიონები (დასახელებები) ამ ქალაქში ძალზე უცნაურად ჟღერს: Goats do Roam (Côtes du Rhône), Goat Roti (Côte Rôtie), Goat Door (Côte d□Or) ÀÍ Bored Doe (Bordeaux).

მემგონი ყველასთვის გასაგებია ვინ იგულისხმება კალიფორნიულ Marilyn Merlot-ში, რასაც ვერ ვიტყვით Smoking Parrot-ის (მწეველი თუთიყუში) შესახებ, რის მიღმაც კიდევ ერთი ცნობილი ფრანგული აპელასიონი იმალება, თუმცა მის გამოსაცნობად აუცილებელია გავიხსენოთ, რომ თუთიყუშებს ინგლისში ძალზე ხშირად პოლის უწოდებენ, ჩავსვათ ეს სიტყვა Parrot-ის ნაცვლად, ვთარგმნოთ ფრანგულად და მივიღებთ Polly Fumé-ს, რომელიც თითქმის ისევე ჟღერს როგორც Pouilly-Fumé, შესანიშნავი ღვინო ლუარას ნაპირებიდან.

რადგან თუთიყუში ვახსენეთ, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველაზე პოპულარული თემა ეტიკეტებისთვის ცხოველებია - არწივები, ირმები, კატისებრთა ოჯახის წარმომადგენლები. ჩვენს დროში იმდენი ფაუნაა იარლიყებზე, რომ ზოოლოგია ბოთლებით შეგიძლია შეისწავლო (ფლორა ძირითადად ქალების სასმელს ამშვენებს, ტიპიური შემთხვევაა Duboeuf). ხშირია მულტფილმებისა და კინოს პერსონაჟები ეტიკეტზე, თუმცა არც ისე ხშირად შეხვდებით ლიტერატურულ გმირებს. ამაზე შემიძლია გითხრათ, რომ ზოგიერთი ღვინის საწარმო საქართველოში იმდენ ტყუილს აწერს ეტიკეტზე, რომ ღვინო სახელწოდებით "კვაჭი კვაჭანტირაძე" მათთვის ზედგამოჭრილი იქნებოდა.

არსებობს ბრაილის შრიფტიანი ეტიკეტები, ეტიკეტები, სადაც დეტალურადაა მოთხრობილი მწარმოებელი ქვეყნის ისტორია და ა.შ. ისეთებსაც შეხვდებით, ფერს რომ იცვლის ოპტიმალურ ტემპერატურაზე და თქვენ წარმოიდგინეთ, მოლაპარაკე იარლიყიც არსებობს, რომელზეც მეღვინის ხმაა ჩაწერილი.

რა თქმა უნდა, სჯობს კლასიკურ ბრენდებს მივეძალოთ ტრადიციული დიზაინით, თუმცა კი საქართველოში ვერც გაიგებ რა არის ტრადიცია - გარეჯის ბოთლის დიზაინი თუ ფიროსმანის ნახატებითა და ერმაკოვის ფოტოებით აჭრელებული ეტიკეტები. ამასწინათ ერთ ღვინის სარდაფში შევიარე და იქ ძალიან ცოტა ბოთლი აღმოვაჩინე მომხიბვლელი ეტიკეტით. სამწუხაროდ დატვირთული, მძიმე და გარკვეული აზრით უგემოვნო ეტიკეტები აქვთ ისეთ საწარმოთა ღვინოებსაც, მართლა კარგ ღვინოს რომ ასხამენ, "ღვინის კეთებაში" შემჩნეულ კომპანიებზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. მეტ-ნაკლებად უახლოვდება ევროპულ სტანდარტებს ერთ-ერთი საწარმოს მიერ ჩამოსხმული "საფერავი" (როგორც ხედავთ, კომპანიის სახელებს პრინციპულად არ ვაზუსტებ, რეკლამაში ან ანტირეკლამაში რომ არ ჩამეთვალოს), რომელსაც გარდან შავ-თეთრი გრავიურა ამშვენებს, შიგნით კი 6 წლის ღვინო იკრებს ძალებს. იმედია გამოიცნობთ, რომელ საფერავზეა საუბარი, მთავარია 10 ლარიანი საფერავების თარო თავიდანვე გამორიცხოთ.




*Cats Pee on a Gooseberry Bush (კატის მიფსმული ხურტკმელის ბუჩქზე)*



*თუ წვეთში ოკეანე აირეკლება, მეტადრე დედაქალაქის ცოდვა-მადლის ფონზე შესაძლებელია, მთელი ჩვენი სათაყვანებელი სამშობლოს მისწრაფება და სატკივარი წარმოჩნდეს.*

*რუბრიკით "დედაქალაქი" განვიზრახე, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდეს ქართული საზოგადოების არსებობა, მისი წარსული, აწმყო და მომავალი, მისი უწყვეტობა დროში. უფრო ნათელი გახდეს ქართული საზოგადოების ფიქრი, წადილი, მოღვაწეობა, მისი მხნეობა და სიფხიზლე. თვალსაჩინო გახდეს, თუ რა სულიერი მემკვიდრეობის, რა ღირებულებების გადაცემას აპირებს იგი მომდევნო გენერაციისათვის.*

*რუბრიკის ერთ-ერთი ირიბი ამოცანაა თანამედროვე ქართული საზოგადოების შრომის, გარჯისა და ღვაწლის შუქზე კიდევ უფრო ღიმილისმომგვრელი გახდეს მასმედიის მიერ ხელშეწყობილი ტრაგიკომიკური მითი მასზე, რომ, იყო ზეზვა და მზია, მას მერე არავინ ყოფილა და არც არავინ იქნებოდა, რომ არ მოსულიყვნენ დღევანდელი პოლიტიკოსები და შოუბიზნესის ვარსკვლავები.*

*რუბრიკის პირდაპირი ამოცანა ის გახლავთ, რომ შეძლებისდაგვარად სწორი მიმართულებით გავიშვიროთ ხელი და ვთქვათ, რომ არსებობს მოფიქრალი ქართული საზოგადოება, რომელიც მოკრძალებით განაგრძობს საუკუნეების წინ დაწყებულ საქმეს.*

*იქნებ ამ "აღმოჩენამ" გააქროს პოლიტიკოსთა სახეებიდან ამბიციური თვითდაჯერებულობა და უნიადაგო ამპარტავნობით ნაკარნახევი ირონიული ღიმილი და ისინიც ჩვენი ქვეყნის მოკრძალებულ მსახურებად აქციოს.*

*P.S. კიდევ ერთი და მთავარი. პირადად ჩემთვის სახელმწიფოს შენება სამართლის შენებას ნიშნავს.*

# კარგი ღვინო, კარგი მეგობრები, კარგი ამინდი - ეგ არის ჯორჯია

**- მას მერე, რაც საქართველოში 60-იანელები გამოვიდნენ ასპარეზზე XIX საუკუნეში, ქართველ ხალხში, ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებული იყო წარმოდგენა, რომ მწერალი იყო არა მხოლოდ მწერლური ოსტატობის, ესთეტიკის, ინდივიდუალური სულიერების მატარებელი, არამედ კიდევ უნდა ეტარებინა ტვირთი, რომელიც მოიცავდა მთელი ერის სულიერ ცხოვრებას, და არა მარტო სულიერ ცხოვრებას. ტრადიციული აღქმა ისეთია, რომ სულის გადამრჩენი საქართველოში იყო ეკლესია, რომელსაც ქართველი კაცი ყოველთვის მოწიწებდა, არა მარტო იმიტომ, რომ თავგადადებული მორწმუნე იყო, არამედ იმიტომ, რომ ნაზიარები იყო თავისი ქვეყნის კულტურას - ქრისტიანულ კულტურას. V საუკუნეში პირველი ნაწარმოები რომ ჩნდება, მას მერე ქრისტიანული კულტურის ნიშანს ატარებს ქართული მწერლობა. სულის გადასარჩენად იყო ეკლესია. საერო საქმეების მოსაგვარებლად, საზოგადო საქმეების პროგრესისკენ მიმართვისთვის არსებობდა მწერალი. ქართველი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა მის აზრს ამა თუ იმ საკითხზე; შეიძლება მავან მწერალს ამა თუ იმ საკითხში სათანადო კომპეტენცია არც ჰქონოდა, მაგრამ თავს ნებას აძლევდა, მეტიც, მოვალეობად სთვლიდა აზრი გამოეთქვა. რასაკვირველია, ეს არ ეხება ილია ჭავჭავაძეს, ეს შემდგომ თაობებზე ითქმის, რომლებმაც წილი დაიდეს ილიას პატივში. ჩემთვის პირადად, ილია არის გამონაკლისი, არა მარტო ქართველი ერის ისტორიაში. ჩემი აღქმით, ეს არის კაცი, რომელმაც შეძლო და თვითონ განსხეულდა სამშობლოდ. ეს ყოველ მეორე ადამიანს როდი შეუძლია; არც ნიჭი, არც ტალანტი, არც გონიერება, არც სიბრძნე არ ეყოფა საამისოდ. მაგრამ ილიას შემდგომ მოყოლებული, მწერალს მაინც განსაკუთრებული სიმპათიით ეკიდება ქართველი კაცი. მოვიდა დრო, როცა საქართველოს თავისი დროშა აქვს, საზღვრები აქვს, ჰიმნი აქვს, გერბი აქვს. სახელმწიფო, ასე თუ ისე, არსებობს. დანარჩენმა სამყარომ საქართველო სცნო სახელმწიფოდ. დღეს სათუოა, ქართველი მწერალი ისევ იმ ტვირთის მატარებელია თუ არა. ესეცაა, რომ მწერალიც ისეთივე ადამიანია, როგორიც ექიმი და ფიზიკოსი. ხანდახან ისეთ უსამართლობას დაინახავს ადამიანი, რომ უნდა, თავისი პროტესტი გამოხატოს. კანტის შესანიშნავი სიტყვებია: "ორი რამ მაოცებს ამქვეყნად - ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და ზნეობრივი კანონი ჩემში". სამართლიანობა ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა. ამიტომ მწერალი თავს ნებას აძლევს, ან სახლში ჩაიკეტოს და თავისი ნაწერებით ელაპარაკოს ადამიანებს, ან გახსნას კარი, გამოვიდეს და ხმამაღლა თქვას რამე - ნება-სურვილის მიხედვით. თავისი გადასაწყვეტია. არც ერთს აძალებს ვინმე, არც მეორეს უკრძალავს ვინმე. შენ რას ფიქრობ ამ თემაზე - დღევანდელი საზოგადოება და მწერლობა, მწერლის დანიშნულება.**



გიო ახვლედიანი
მწერალი

- იმ დროიდან დღევანდელობა ძალზე განსხვავდება. მაშინ საქართველო არც იყო საქართველო. იყო თბილისის გუბერნია, ქუთაისის გუბერნია.

**- სამართლებრივი თვალსაზრისით გეთანხმები, მაგრამ ხანდახან არის, რომ სახელმწიფო არ არის და ქვეყანა არსებობს. სამშობლო ხომ მუდამ არის.**

- საქმეც ეგ არის. სიტყვა "სამშობლოც", მე მგონი, XIX საუკუნისა არის. ილია ჭავჭავაძეს რაც შეეხება, იგი პრეზიდენტიც იყო, ბანკის მმართველიც, ადამიანის უფლებათა დამცველიც, ტრადიციული მემამულეც, მიწა ჰქონდა და, ასე ვთქვათ, ძველ ქართულ მეურნეობას მართავდა. მაგრამ, ბურჟუაზიული ყოფაც არ იყო უცხო მისთვის. ყველაფერი იყო. ეგრე გამოვიდა, ეგეთი დაიბადა. მით უმეტეს, ამ ყველაფრის საჭიროება იყო, არაფერი არ ჰქონდა საქართველოს. საქართველოს ჰყავდა გენერლები, რომლებსაც მერე დაუწერა ლექსში - ჩინებზე არ გაგვიყიდია ქვეყანაო. ერთი სიტყვით, ქვეყანაში გაჩნდა ამ ადამიანის მოთხოვნილება. გრიგოლ ორბელიანივით ცხოვრება აღარ შეიძლებოდა 60-იან წლებში. რევოლუციებია მომხდარი, გარიბალდი გაჩნდა. შემთხვევითი კი არ არის, ილიამ გარიბალდის რომ უძღვნა ლექსი - "მესმის, მესმის სანატრელი..." ამ კაცმა მსოფლიოსთან ორგანული კავშირი იგრძნო. გააცნობიერა, სად იყო, რა იყო თბილისი მაშინ. მაშინ აგებდნენ ქვაფენილს. ჩვენ კი ძალიან გვიყვარს, მაგრამ წვიმა რომ მოვიდოდა, ძროხები მოჰქონდა სოლოლაკიდან. მკვდარი ძროხები გაჰქონდა მავანაანთ ხევიდან და ჩაჰქონდა მტკვარში. ეგეთი ქალაქი იყო. ოპერაში დადიოდნენ ოჩოფეხებით, წვიმა რომ მოდიოდა.

**- არადა, ოპერაში დადიოდნენ.**

- ჰო. დადიოდნენ. ეს იყო საოცრება. იყო ქალაქი და ამ ქალაქში იყო ოპერა. მერე აკრძალეს - შეეშინდათ. ამ ქართველებს ისე მოეწონათ... თან იტალიური იყო, იტალიაში რევოლუცია მოხდა, ომი, გაერთიანება და ჯანდაბა... აკრძალეს იტალიურად სიმღერა. რუსეთის ამბავი ხომ იცი.

**- დიუმა ხომ ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოვიდა. "კავკასიაში" თბილისს რომ აღწერს, გაოცებულია. ამ მარგალიტს რა უნდა ამ გარემოშიო. აქ ერთი კვირითაც არ ჩამორჩებიან პარიზის მოდასო.**

- ეგ დღესაც ეგრეა სხვათა შორის. მაგარი ხალხი ვართ. უკვდავი ხალხი ვართ. გამოდის, რომ შეიძლება შენი უქნარობით, უდარდელობით, ქიშპით რაღაცეებზე მაღლა დგები. რაზე უფრო მაღლა დგები, ჩვენ ვერ ვხვდებით. მე მგონი, სიცოცხლის უნარს მოიპოვებ ამით და არა ბრძოლებით. რაც საქართველოს ომები გადაუტანია... მე მგონი, ომზე მეტად თავისი ხასიათით გადარჩნენ ქართველები და არა ომით.

**- თვითირონია იყო ერთ-ერთი საუკეთესო თვისება. თვითიუმორი და თვითირონია.**

- აბა რა. იოანე ბაგრატიონს რომ წაიკითხავ... ეგ კაცი უნდა ყოფილიყო საქართველოს მეფე... მაგ ქვეყანას რა დაამარცხებს, სულ 10 000 კაცი რომ დარჩეს. "კალმასობას" რომ წაიკითხავ, გაგაოცებს, მეფე რაებს წერს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეგ რუსეთის იმპერია იყო. ბერნარდ შოუ ხომ ირლანდიელია, თან ცოტა უარნათქვამი ირლანდიელი... აი, ქართველმა რომ რუსულად წეროს... ჰოდა ეგ ბერნარდ შოუ ამბობს, დაპყრობილი ქვეყანა კიბოიანი ავადმყოფივითააო. თავისი დაავადების გარდა ვერაფერზე ვერ ფიქრობსო. გამუდმებით ფიქრობს საკუთარ დაავადებაზე და ამასობაში ბევრ მნიშვნელოვან რამეზე ვერ ფიქრობს და ვერ აკეთებს. ჩვენც ეგრე ვიყავით ყოველთვის. სულ ვფიქრობთ, აბა, რა იქნება, აბა, რა მოხდება, და ამასობაში გვერდით ჩაივლის ბევრი მნიშვნელოვანი რამე. ილია ამ კიბოზე კი ფიქრობდა, მაგრამ არ ფიქრობდა, რომ კიბო მკლავსო. ფიქრობდა, მოდი, რაღაც გავაკეთოო. და რაღაცას დაამგვანა ეს ქვეყანა, მართლა დაამგვანა. ისე არ გამოვიდეს, თითქოს გრიგოლ ორბელიანს ძალიან შევუჩნდი. ძალიან მიყვარს მისი "თამარის სახე ბეთანიის ეკლესიაში", თუმც ეს რაღაც უცნაურობაა. ალბათ იმიტომ დაწერა, რომ მაინც ბაგრატიონის შვილიშვილია, თორემ არა მგონია, საქართველოსთვის. კაცი რომ წაიკითხავს, რომ იმპერატორი ეკლესიაში ორდენს აძლევს... მანდედან მოდის ყველაფერი, მაგ ორდენებიდან. მართალია, აჯანყებაში მოხვდა, ტრაგიკულ სიტუაციაში მოხვდა, დედამისი რომ გამოასვენეს ავლაბარში...

კაცი რომ გახდა, ასეთი გახდა. ბიჭი რაც იყო, კაცობაშიც ის უნდა გაჰყოლოდა. ილია, აკაკი, სხვები, რაც ბიჭობაში იყვნენ, კაცობაშიც იმად დარჩნენ.

**- შენ ისტორიკოსი ხარ და ჩემზე უკეთ იცი, მანდ ეპოქაა გასათვალისწინებელი. ესენი, ალექსანდრე ჭავჭავაძე თუ გრიგოლ ორბელიანი თუ მათი თაობის სხვა ხალხი იმხელა ემოციებით იყვნენ... პროლეტარიატს ბორკილების გარდა დასაკარგი არაფერი აქვს, ამათ კი გახსნილი ჰქონდათ ყველა კარი რუსეთის იმპერიაში. ერთი ნათლული იყო იმპერატრიცასი, მეორე შვილიშვილი იყო ერეკლესი... ეგენი რომ მონაწილეობენ აჯანყებაში, ამას კიდევ მეტი ფასი აქვს, არა? თავის კარიერას ღუპავდნენ და წინ აყენებდნენ სამშობლოს. მერე რეალობას უყურებდნენ სხვაგვარად. შედიან ამ რეალობაში. სიბრძნეს უხმობენ, ემოციას ნაკლებად აჰყვებიან.**

- მერე გატკბობა დაიწყო.

**- აი, ბოლოში უკვე გატკბა და ნამეტანობა დაიწყო. ამან ახალგაზრდობის უკურეაქცია გამოიწვია, რადგან ისინი პროგრესის მატარებლები არიან. იმათ კი ტკბობა გაუგრძელდათ.**

- ჰო, მაგრამ შენ უნდა ნახო გრიგოლ ორბელიანის ბოლო წერილები, სადაც ბოლმისაგან და ჯავრისაგან ლამის გული გაუსკდეს. ჩვენს საფლავებზეო ვილაცების ფარეხებიაო. ტყუილად ვემსახურებიო ამათო. საშინელ გუნებაზეა. მაგრამ რაღაცას დროზე უნდა მიხვდე და არ უნდა იძახო, მე და ცალქალამანიძეს თითო ხმა როგორ უნდა გვქონდეს, ერეკლეს შვილიშვილი ვაროო. დიმიტრი ყიფიანზე იძახდა, სუმბათაშვილის აზნაურიაო...

# კარგი ღვინო, კარგი მეგობრები, კარგი ამინდი - ეგ არის ჯორჯია

**- ამას თავზე ნუ დამასვამთო.**

- ჰო, სუმბათაანთ აზნაურს თუ თავზე დამასვამდით, არ მეგონა მეო. ერეკლეს შვილიშვილსო. დიმიტრი ყიფიანსაც ჰქონდა ხუთი ორდენი, მაგრამ ეგ სხვა რაღაცაა.

**- ეპოქა იყო ისეთი.**

- ჰო, ეს თავადია, ერეკლეს შვილიშვილიაო და არასდროს არ დასჯიან ისე, როგორც დასჯიან დოდაშვილს. ამათ რაღაც განსაკუთრებული და საოცარი კი არ ჰქონდათ, არც ილიას და აკაკის, უბრალოდ, რაც იყვნენ, იმად დარჩნენ.

**- ბოდიშს ვიხდი გამეორებისთვის, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიტყვი, ილია, ჩემი აზრით, იყო კაცი, რომელშიც განსხეულდა სამშობლო და რომელიც განსხეულდა სამშობლოდ, რომელმაც ქართველს გაახსენა, ქართველს უთხრა, რომ ქართველი ერის სულიერი თავგადასავალი არის შენი თავგადასავალიო. ეს არის მარადიული რამ. ხვალინდელი ქართველისთვისაც ეგრე უნდა იყოს. მისი თავგადასავალი უნდა იყოს. მაშინ ხდება სრული იდენტიფიკაცია შენი ერის ცნობიერებასთან, შენს წარსულთან და მომავალთან.**

- მაგრამ მერე უკვე სხვა დროა. მერე შემოდიან პარტიები. ამათი პრობლემა სხვა არის. ამან საერთოდ აჩუქა "ივერია" ლიბერალებს, ლასხიშვილს და მის თანამოაზრეებს დაუხურეს. ისინი რომ ბეჭდავდნენ, დაუხურეს. მერე ისევ, მერე ისევ... მერე მოდიან რევოლუციონერები. ესენი უკვე თვისობრივად სხვა ხალხია. ციხეში სხდებიან თავიანთი იდეებისთვის. არა მარტო სოციალ-დემოკრატები ან მენშევიკები და ბოლშევიკები. ნებისმიერი რევოლუციონერი. ნაციონალისტი იქნება თუ სხვა... ბომბზე უდევთ ხელი. თვისობრივად სხვა ხალხია. აქ იწყება რადიკალიზმი. და რადიკალიზმი რომ იწყება, შენ განმანათლებელი, წერა-კითხვის მასწავლებელი... პირდაპირი მნიშვნელობით, უმწეო ხდები. ხუთმა-ექვსმა კაცმა ასწავლა საქართველოს წერა-კითხვა... რომანი ნამდვილი ამბავი ეგონათ. კითხვის ჩვევა არ იყო საქართველოში.

**- აკი ეგრეც ერქვათ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.**

- იმ ხალხთან ჭიდაობა ამათთვის ძნელია. კაცს, რომელსაც ბომბი უჭირავს და შეუძლია მოკლას რუსის გენერალი, რომელსაც შენ ცდილობ რაღაც გააგებინო, შეიძლება დაუყვირო კიდეც... აკაკიმ ხომ დაუყვირა, გალობის აკრძალვაზე რომ იყო ლაპარაკი. რაებს ბოდიალობთო, ყველამ ვიცით, რაც გინდათო, გინდათ, ქართულად არ ვიგალობოთო. წაართვეს მაგათ ეს ქვეყანა.

**- პროგრესის სახელით მოვიდნენ.**

- რა თქმა უნდა. ეს იყო რუსეთის იმპერია, სადაც ყველაფერი იყო აკრძალული. მხოლოდ სასამართლო იყო ნორმალური. თუ არ იყო სამხედრო, სამხედროც ნორმალური იყო, ოღონდ ძალიან მკაცრი. ისე კი სასამართლო ძალიან რბილი ჰქონდათ, ადამიანური. პროგრესის სახელით, რადგან აქ არაფერი არ იყო. წარმოიდგინე გურია, დამოუკიდებელი გურია. რა დღეშია. გურიაში არის რესპუბლიკა რევოლუციის დროს, ამ ტიპებმა მართეს რესპუბლიკა და ხალხი ამბოხდა. რომ ეს არის ნამდვილი და ბედნიერი ცხოვრება. გაყარეს პოლიცია, გაყარეს თავადები, თვითონ წყვეტდნენ ყველაფერს... ასეთი რაღაცეების ფონზე სინამდვილე აღარ ჩანს. მხედველობას ჰკარგავ. გაჭირვებული ადამიანისთვის ძნელი გასარჩევია ტყუილ-მართალი.მერე როგორი ქვეყანა იყო. სავა მოროზოვი რევოლუციისთვის მილიონებს აძლევდა ბანდიტებს, რომლებიც, ამას ყველაფერს რომ მოახდენდნენ, უნ-



*გიო ახვლედიანი და დათი მაღრაძე.*

და მოეკლათ. აი, აქ დაიკარგა ილია, ამ ამბით დაიკარგა. მერე ეს კაცი მოკლეს. ეს უცნაურია. რადგან თავი რომ დავანებოთ ზნეობრივ და იდეალისტურ მსჯელობებს, პრაქტიკულადაც კი, მისი მკვლელობა იყო სისულელე თუნდაც იმ ადამიანებისთვის, ვისაც მიაჩნდა, რომ რაღაცით ხელს უშლიდათ. მე ეგრე მგონია, რომ ეგრე არ იყო გადაწყვეტილი. ეს გადაწყდა ისე, როგორც ხდება საქართველოში. ვიღაც ორმა-სამმა საშუალო რგოლის ვიგინდარამ გადაწყვიტა, რადგან იმათ მოუტანეს ამბავი, შეგვჭამაო... ან რაღაც ამ დონის ამბავი. ეს არ არის ის შემთხვევა, რომ ვთქვათ, ვიღაც რევოლუციონერები შეიყარნენ და გადაწყვიტეს. ეს არის ძალიან უბრალო ამბავი. მერე კი კომუნისტები მოვიდნენ.

**- ილიას მკვლელობა, შეიძლება, რეალურად ეგრე იყო, შენ როგორც ამბობ. ერთი რამეა კიდევ, არსებობს ღვთაებრივი სამართალი. შეიძლება ილიამ თვითონ გაჭედა თავისი ბედისწერა. ქრისტეს გზას იყო ნაზიარები, წიწამური საკუთარ გოლგოთად აქცია. შეიძლება, ეგრე უნდა მომხდარიყო, როგორც რობაქიძე წერს, მთელი სიმძაფრით მაშინ იგრძნო ქართველმა საქართველო, როცა განცხადება წაიკითხაო, რომ წიწამურთან მოკლეს თავადი ილია ჭავჭავაძე და დაჭრეს მისი მეუღლეო.**

- ორი სტრიქონი იყო, ჰო.

**- თავისი ბედისწერა ჰქონდა, ალბათ მოწამეობრივი სიკვდილით უნდა წასულიყო. არ ვიცი, ღვთის საქმეში ვერ ჩავერევით, მაგრამ მისტიკა ახლავს მაგ ამბავს. საინტერესო რა არის - რამხელა პროგრესის მატარებლები იყვნენ ის ადამიანები - იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, კარგი ქართული საზოგადოება. მათი თანამოაზრეები - დიმიტრი ყიფიანი - გენიალური პიროვნება...**

- მაგისი ნათქვამია, ქართველები სულ ყაჩაღობისთვის მიდიან ციხეში, მე მაინც წავალ კარგი საქმისთვისო.

**- მწერლის მდგომარეობაზე ვლაპარაკობდი. მოდი, ასე ვთქვათ - ფუნქცია, მოვალეობა, ტვირთი - ეს ისეთი სიტყვებია, რომ კითხვაშივე გულისხმობს პასუხს. როგორია მწერლის ცხოვრება დღეს?**

- მე რა მგონია, იცი, დათო, მე საერთოდ ვარ რადიკალური. ძალიან რადიკალური. დილით მონარქისტი ვარ, საღამოს ანარქისტი. მაგრამ მე საკუთარი თავის მიმართ ვარ ძალიან რადიკალური ადამიანი. ბავშვობიდან ასე ვარ. ადამიანი ხომ თავის თავს იცნობს ყველაზე კარგად.

**- ეგ არ ვიცი. ხანდახან რაღაც თვისებებს აღმოაჩენ ხოლმე საკუთარ თავში, რომელიც გეგონა, რომ არ გქონდა. ეგრეც ხომ ხდება?**

- ეგრეც ხდება, მაგიტომ ვარ ჩუმად.

**- ჩუმად როგორ ხარ, გიო, ამდენი წიგნი დაწერე.**

- ეგ ხომ სიჩუმეა. ჩვენს ქვეყანაში ეგრეა.

**- შენ ჩუმი წიგნები არ დაგიწერია. არ გეპირფერები, მაგრამ შენი წიგნები მეტყველებენ, და ეგ უკვე სხვა რამეა. ხალხმა იცის.**

- გაჩერდი ერთი. მე სულ მინდა, რომ ვიყო უშუალო. ჩემი პრობლემა ეს არის და ძალიან განვიცდი. ახლა შემიძლია, რომ ვიყო უშუალო, მაგრამ რაღაც მომენტში არ შემიძლია. რასაც ვფიქრობ, ყველაფერი რომ ვთქვა, და ათასი რამე არ გავითვალისწინო, ეგ არ შემიძლია, რადგან იმასაც ვფიქრობ - მერე მე თვითონ ვარ ეგეთი კარგი? მე ხომ ვიცი ჩემი თავი. კაი ოხერი ვარ...

**- კაი ოხერი უნდა იყო.**

- ჰოდა, კაი ოხერი რომ ვარ, მერე აღარ გამომდის.

**- გულწრფელად გეთანხმები. რადგან მქონია, რომ... იმწუთას რასაც ვამბობ, მთელი გულწრფელობით ვამბობ. მაგრამ შეიძლება, რამდენიმე ხნის მერე იმ განწყობილებაზე აღარ ვიყო. მერე განვიცდი. განა ვინმეს წინაშე განვიცდი. არა, რადგან გულწრფელი ვიყავი. უსინდისობას არ ჩავიდენ ალბათ, ღმერთმა მიშველოს ამაში, მაგრამ სხვა განწყობა რომ მეუფლება, ჩემს თავთან განვიცდი და ძველ ნათქვამს გემოს ვერ ვატან.**

- ჰო. ყველაზე მეტი წინააღმდეგობა მაქვს ჩემს თავთან. რადგან ბერი არა ვარ და უცოდველადაც ვერ ვცხოვრობ. როცა მექნება ის სისუფთავე, რაც მე შიგნით, ჩემთვის მინდა, მაშინ მექნება უნარი და განწყობილება, რაღაცები ვთქვა. ბოლოს და ბოლოს, ვინა ვარ. რაცა ვარ, ამაზე მაღლა ყოფნის უფლებას ვერ მივცემ ჩემს თავს. წიგნი ხომ იცი რა არის? წიგნი მიყვარს. მე მწერალსაც არ ვეძახი ჩემს თავს. მწერლობა იმდენ რამეს გავალებს... უბრალოდ, მომწონს ეს საქმე. ჯვარი კი არა მაქვს დაწერილი. ვალდებული კი არ ვარ. ძალიან მომწონს, რაღაცას რომ მოვიგონებ და მერე რაღაცებს ვალაგებ, ვეთამაშები ჩემს თავს. ძალიან ინდივიდუალურია. არანაირი სხვა დატვირთვა არა აქვს ჩემთვის. ბევრს წეროო... ბევრს იმიტომ ვწერ, რომ მევასება. ფეხბურთზე რატომ წეროო... მევასება. საუკეთესო საქმეა. ორი-სამი საქმე მევასება ცხოვრებაში. ფეხბურთი და წერა. ხომ ვმუშაობ, არა?

**- აი, ნახე, რა კარგი დიფერენცირება მოხდა ჩვენს ხელობაში - პროზაიკოსებს გაქვთ ეგა, რომ დიდ რამეს მავალებს მწერლობაო. პოეტებს ცოტა იოლად გვაქვს საქმე. პოეტებს ცოტა ისე უყურებენ - ბევრ სიგიჟეს მოელიან მათგან.**

- საერთოდ ეგრეა. მე ვერასდროს ვერ ვპასუხობ რაღაც კითხვებს...

**- არასდროს არ ვიცი, რა ვთქვა, როცა მეკითხებიან - შენი საყვარელი მწერალი. გააჩნია, რა განწყობაზე ვარ.**

- მე ხომ არაფერი არ მისწავლია. რა წიგნებიც მიყვარდა, იმას ვკითხულობ... მეტი არაფერი ცხოვრებაში არ გამიკეთებია.

**- მერე, სწავლაც ხომ ეგაა. სამართლიანობის განცდა რომ გაქვს ადამიანს, საიდან გაქვს - საუკეთესო სახელმძღვანელოებიდან, რომლებიც გისწავლია, დაინტერესებულხარ, ყოველგვარი დავალების გარეშე შეგიშვია შენს სულიერ სამყაროში. ყველა ნორმალურ ადამიანს უჩნდება ეჭვი, იქნებ მართალი არა ვარ. და ამას ამოწმებ იმათ ნაწერებში, ვისი აზრიც რამედ გიღირს. თუ ემთხვევა, გიმყარდება რწმენა შენი მოთხოვნის სამართლიანობისა. რაღაც რომ უსამართლობაა, მარტო შენი განცდით აღარ ხვდები, იმ წიგნების ავტორებიც გიდასტურებენ და გმატებენ ძალას. ამას ემატება კიდევ კანტის...**

- გაოცება.

**- ჰო, გაოცება.**

- ისე, ძნელი წარმოსადგენი კია გაოცებული კანტი.

**- თავისუფლება იმიტომაა კარგი - საზოგადოებაშიც, სახელმწიფოშიც, ადამიანშიც, რომ დოგმატიკა ისპობა. შენ ხარ მწერალი, შენ წერ და ამიტომ ყველაფერი ერთად**

# კარგი ღვინო, კარგი მეგობრები, კარგი ამინდი - ეგ არის ჯორჯია

**უნდა იტვირთო. არავინ მოგთხოვს. თუ გინდა, იტვირთე, თუ გინდა, ნუ იტვირთავ. შენი ინდივიდუალური გადასაწყვეტია. შენი არჩევანია. განწყობაზეც არის.**

- ადამიანზეა, ხასიათზე, განწყობაზე, გამბედაობაზე. თავს ეგ არ უნდა დააძალო. თავს სხვა რამე უნდა დააძალო, რომ ყოველდღე შინაგანად იყო უკეთესი და უკეთესი.

**- აგაშენა ღმერთმა. მკურნალო, ჯერ თავი განიკურნეო.**

- ჰო. მე ვის მკურნალად გამოვდგები, ჩემი თავისთვის ვერ მომივლია.

**- კარგია, რომ ეგრე ვამბობთ, გულწრფელად ვამბობთ, რასაც ვფიქრობთ. ერთი კი არის, სახელოვნებო სამყარო უმშვენიერესი სამყაროა, რომელიც ადამიანის გაკეთილშობილებისკენაა მიმართული. არა აქვს მნიშვნელობა, ვინა ხარ - ფერმწერი, გრაფიკოსი, მუსიკოსი, პროზაიკოსი, პოეტი. ყველაფერი ეს მაინც მიმართულია ადამიანის გაკეთილშობილებისაკენ. ეს ხომ ერთადერთი არ არის.**

- მოდის და მოდის.

**- სულ მუდამ არის ცოდვა-ბრალი ყველა თანამედროვეობაში. სულ მუდამ არის ადამიანში ცუდიც, კარგიც და ცდილობ იმ კარგის გაღვივებას. ნაკვერჩხალი რომ ინავლებს და სულს უბერავს ადამიანი, ეგრე წარმომიდგენია ხელოვანი. ადამიანში მინავლულ სიკეთეს სულს რომ უბერავს. ისეთ ამბავს მოგიყვება, რომ სამუდამოდ დაგრჩეს ის ამბავი და უკეთესობისკენ ისწრაფოდე ადამიანი.**

- ტვირთიც არ არის, ეგრე რომ გითხრა. ტვირთიც არ არის. უბრალოდ, ცხოვრების ნაწილია. ჩემთვის სასიამოვნოა. ეგ ადამიანის ბუნებაზეა. რაც არ მიყვარს, იმაზე ხომ ვერ დავწერ. წერ იმაზე, რაც გიყვარს. ზიხარ და სადღაც სხვაგან ხარ. რასაც აკეთებ, შეიძლება, არ არის სრულფასოვანი, მაგრამ შენია და ცდილობ, რომ ყოველ ჯერზე უკეთესი და უკეთესი იყოს.

**- ეგ საუკეთესო განცდაა. ტვირთი ხანდახან არის სინდისი.**

- ჰო. თუ პატიოსნად წერ... მე ასე მგონია, რომ გულში რაცა მაქვს, იმას პატიოსნად ვწერ. შიგნით ხანდახან არის თაღლითობები, მაგრამ რასაც ვწერ, პატიოსნად ვწერ. არ ვიტყუები. შეიძლება არსად არაფერს არ ვამბობ, მაგრამ მარტო რომ ვარ, გამომდის. ჩვენი ქვეყნის უბედურება ეგ არის. ხუთი კაცი ერთად რომაა, კარგია და მთავარი. ერთი კაცი არაფერი არ არის. ერთი კაცი რომ იქნება მთავარი, აი, ეგ არის.

**- ადამიანის სიცოცხლეს სტატისტიკურად რომ არ მიუდგებიან. ერთი ადამიანი რომ დაიღუპება, იმის სიცოცხლე უძვირფასესი უნდა იყოს.**

- ერთ ადამიანშია ყველაფერი. ოთხში არაფერი არ არის. ოთხში არის მხოლოდ ერთი რამ, რაც იმ ოთხს აერთიანებს. პოლიტიკა და ლიტერატურა ხომ სულ სხვადასხვა რამეა. ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ის არის, რომ პოლიტიკა თითქოს არის ვირტუალური სამყარო, რომელსაც კაცი იგონებს. მაგრამ მივცურავთ რეალობაში. ერთი მონოსამყაროა. გამოიგონა რაღაც სამყარო და ამ სამყაროში გაცხოვრებს. წიგნი სულ მცირე, ორისთვისაა. ის მილიონებისთვისაა. პოლიტიკაში ერთი იგონებს მილიონებისთვის, ასე და ასე ვიცხოვროთო. აქ კი გადაშლი წიგნს და გადაწყვეტ, რა უნდა ჰქნა. თავისუფალი ხარ. წიგნი არის ყველაზე დემოკრატიული რამ. არც ერთი სხვა ნივთი ასეთი იოლი გადასაგდები არ არის. არ მოგწონს - მიაგდებ. გაზეთსაც კი ინახავს კაცი, რომ რამეში გამოიყენოს. წიგნი მთლიანად მკითხველზეა დამოკიდებული. ის წყვეტს წიგნის ბედს. პოლიტიკაში აირჩევ და ყველაფერს სხვა წყვეტს. რაღაცებს მოიგონებს - ასე და ასე უნდა იცხოვროო და არც არაფერს გეკითხება. ასეა, ცუდზე რა ვთქვა, კარგიც კი საკმაოდ მოსაწყენია. ბევრი ადამიანი რომ ცხოვრობს ერთნაირად, ეს არის საშინელება. უცხოეთში ერთი კვირა სასტუმროს ფანჯრიდან ვუყურებდი ოჯახს. დილის 7 საათზე გადიოდნენ სახლიდან ცოლ-ქმარი. ერთი აქეთ მიდიოდა, მეორე - იქით. გასვლამდე სვამდნენ ჩაის თუ ყავას. არ ლაპარაკობდნენ. მერე საღამოს ბრუნდებოდნენ ისევ იმ კაფეში. ამის ყურებამ ერთი კვირა გამაგიჟა. ეს დიდი ქალაქის უბედურებაა. პოლიტიკის სახე დიდი ქალაქია. რაც არის პოლიტიკაში, ის არის დიდ ქალაქში. სოფელში ეგ არ იგრძნობა. ნამდვილი საქართველო იქაა.

**- ერთფეროვნება რომ ახსენე... არ ვიცი, ჩვენი თანამედროვეობიდან გამომდინარე თუ ჩემი ბიოგრაფიიდან გამომდინარე, გულწრფელად გეუბნები, ძალიან გამიჭირდება შვეიცარული საათივით აწყობილ ქვეყანაში ცხოვრება. ერთი მხრივ, კარგია და მისასალმებელი ძალიან მოწესრიგებული სამყარო, მეორე მხრივ, ზედმეტად ერთფეროვანია ცხოვრება ამ ქვეყნებში.**

- ჰო, ეგ არის. ოღონდ იქ არის ხალხი, ვისაც ასე ცხოვრება არ უნდა და არც ცხოვრობს. თუ არ გინდა, დილიდან საღამომდე ერთი და იგივე აკეთო, დაიხურე ქუდი, წადი აფრიკაში. იქ მთავარი ეგ არის, რომ ერთი ადამიანი არის ძალიან მნიშვნელოვანი. მის სიტყვას ფასი აქვს.

**- ხელოვანისთვის ეგ ხომ ძალიან მარტივი და ბუნებრივი რამ არის. მთელი ქვეყნის გენიოსები რომ შეკრიბო, წარსულიდანაც რომ გამოიძახო, ერთი ადამიანის სიცოცხლეს ვერ შექმნიან. ამიტომ, სადაც ამ ერთი ადამიანის სიცოცხლეს ფასი აქვს, ისაა ქვეყანა, ისაა საზოგადოება. სინდისზე რომ გითხარი, ტვირთია-მეთქი. ერთფეროვნებისა და ემოციების კონფლიქტის გამო ვთქვი. ბოდიშს ვიხდი საკუთარი სტრიქონების ციტირებისათვის, მაგრამ ერთ ლექსში მქონდა: "ნეტავ სინდისის თოკზე არ ვება, საკუთარ ფრთებთან განამკლავები". დაბმული ხარ. ფრთები კი გინდა, მაგრამ მარტო შენ არ გეხება ეს წუთისოფელი და ამიტომაც დაბმული ხარ. ყველაზე მთავარი, რითაც საქართველო ტრადიციული იყო და იქნება მუდამ, სამართლიანობის ღვთაებრივი განცდაა ადამიანში. ყველა ხელისუფლება ამ განცდას პატივისცემით უნდა მოექცეს.**

- მაგისთვის პატივმოყვარეობაზე უარი უნდა თქვას. მთელი უბედურება ისაა, როცა ადამიანისთვის თავისი "მე" ხდება მთავარი. შენი თავი რომ მოიგონე, მოდი, გადააგდე ის მოგონილი და ვიყოთ ალალად.

**- მთავარი კიდევ ისაა, როგორ ემსახურები იმ საქმეს, რომელიც აგირჩევია. საქართველოში ყველას უნდა, რომ რასაც ემსახურება, იმას დაარქვას მთავარი; რომ მთავრის მსახურად იგრძნონ თავი. ესეც პატივმოყვარეობას უკავშირდება. პოლიტიკოსს უნდა, რომ მთავარი იყოს პოლიტიკა. რომ მხატვრის ადგილიც თვითონ დაიკავოს, პოეტისაც. პატივი დაინაწილოს. ხელოვანი ამას პატივისთვის არ აკეთებს, თანაგრძნობისთვის აკეთებს. მერე კი ყველაფერი ბუნებრივად ხდება, რადგან მკითხველმა თუ შეგატყო, რომ თანაგრძნობით ხარ სავსე, ისიც თანაგრძნობითაა შენს მიმართ.**

- მკითხველია და ზომავს. თუ აკეთებ მოგონილის გარეშე, გამოდის.

**- პოლიტიკოსის მსახურების მშვენიერება ისაა, რომ შექმნას ასპარეზი, სადაც პოეტიც იქნება, მხატვარიც იქნება, მკითხველიც იქნება, მსმენელიც იქნება, სულიერი ცხოვრება იქნება. თუ მიგაჩნია, რომ პატივი აგყარეს, რომ ასპარეზის შემქმნელი კი არა ხარ, ასპარეზიც შენ თვითონ გინდა იყო, აღრევა მოხდება. მაშინ დაგაფასებენ, თუ შეგატყვეს, რომ ემსახურები. ხელოვანიც ხომ ეგრეა. ხელოვანმა კი არ უნდა იმსახუროს ქვეყანა, თავად უნდა ემსახუროს. ჩინოვნიკიც ეგრე უნდა იყოს. რამხელა პატივია, რომ ადამიანებს ემსახურები.**

- ჩინოვნიკი ხარ და ბეჭედი დამირტყი, რა. ნიშნს თუ მიგებ, მაგარი ბიჭი ვარო, ვიცი, შენ როგორი ბიჭი ხარ. არ არის საჭირო.

**- ნუ მაგრძნობინებ, რომ ბეჭედი შენა გაქვს.**

- ნუ ნერვიულობ, მე რას ვფიქრობ შენზე. მაგრამ თუ ინერვიულე და ჩემზე ააწყვე ხასიათი და ცხოვრება, დაღუპული ხარ.

**- კარგი მხედველობა რომ მაქვს, იმიტომ თუ შემიჯავრე, ეგ შენი პრობლემა იქნება.**

- მაგას ვამბობ. ნერვიულობ, რადგან მე ვიცი, ვინა ხარ. ყველანაირად ცდილობ, რომ ნიღაბი მოირგო. არ გინდა. ვიცი ვინცა ხარ და არ გედავები. უბრალოდ, მინდა, რომ უკეთესი გახდე.

**- თუ გახდები, მაგასაც დაგინახავ.**

- ეგაა ცხოვრება. არ მინდა, რაღაც თეატრები. თეატრი არის, თუ მინდა, წავალ და ვუყურებ.

**- არაჩვეულებრივია კარგი სპექტაკლი. საშინელებაა უნიჭო სპექტაკლი ცხოვრებაში.**

- არ გინდა, გულწრფელი თუ იქნები, ყველა პრობლემა მოიხსნება ყველაფერში.

**- შუბლი გაიხსენი. მტრული მზერით ნუ მიყურებ. ნუ მედავები.**

- თბილისში არ დავდივარ არც რესტორანში, არც კაფეში. არ შემიძლია. არ მიყვარს, რომ მიყურებენ. არ მიყვარს, რომ შემოხვედი და დარბაზს ათვალიერებ. არ არის ეგ დიდი ამბავი და არც დისკომფორტი, მაგრამ პრინციპი არ არის სწორი. კუპეები აქვთ ხალხს - რატომ? კაფეს არსი რა არის? ურთიერთობა, არა? სადღაც წავიკითხე, კაფეში სულ ხე რომ არის, ხით რომაა გაწყობილი, ეს ხე თბილია. როცა შედიხარ და იქაურობა ხის მასალითაა, უკვე დადებითად ხარ განწყობილი. დაჯდები. და ზურგსუკან სროლა გესმის. თან ორი საათის მერე, რადგან რომ მიხვედი, ფხიზელი იყო. არ არის საჭირო. ეს არის აშორდიას აზნაურობა. ეს არ არის ღირსება. ღირსება არის მიმტევებლობა და ღიმილი. და მაღლა დგომა. ეს არის გაუბედურებული, დამახინჯებული ხალხის საქციელი. ძველადაც იყო ქეიფისას სროლა, მაგრამ ცაში ისროდნენ, ერთმანეთს კი არ ესროდნენ. ლორთქიფანიძეები, მიქელაძეები... ცეკვა იყო რევოლვერებით. სხვათა შორის, ქაქუცა მაგრად ცეკვავდა თურმე. მაღლაკელიძეს უწერია, დამპატიჟეს მატანშიო. დავთვერიო. ქაქუცას ძმა წამოწვა ტახტზეო, მეც გვერდით მივუწექიო. ეს წამოხტა, მე რევოლვერებით ვცეკვავო. არ მოგვარტყა, ბიჭოო, ვეუბნებითო. წარმოიდგინე, რა სცენა იქნებოდა. მაგრამ მიღებულია და მშვიდობიანი. იცის იმან, რომ არ მოარტყამს. ამათ კიდევ არ იციან და არ ეშვებიან.

**- პარიზში რომ იცეკვა ქაქუცამ. სთხოვეს, იცეკვეო. ნაბადი გაშალა - მგლოვიარედა ვარ, ჩემს სამშობლოს მაჯლაჯუნები დაეპატრონენო. და ნაბადზე იცეკვა.**

- მე ვიცი, ერთმა რუსის ქალმა რომ სთხოვა, თურმე ლეკურს კარგად ცეკვავთ და იქნებ იცეკვოთო. და [illegible]

**- ღმერთმა ქნას, ნაბადზე საცეკვაოდ არ გამხდარიყოს საქმე... ნაბადი უნდა გაიხსნას, შუბლი უნდა გაიხსნას საქართველომ.**

- ჰო, გაიცინე, რა არის, ვის ეჯიბრები. ჩაკეტილი ქვეყანა რომ იყო, ნამდვილი გენიოსებიც გვყავდა, მაგრამ ვერ გადიოდნენ. მერე ნამდვილ გენიოსებს მოჰყვება ხოლმე რეგიონალური გენიოსები. ეს უკვე უბედურებაა. ტყვიავამდე გენიოსია, და ტყვიავს იქით აღარ არის. კულტურას საზღვრები არა აქვს. ვინც ღირებულია და გამორჩეულიც, ის არ დაიკარგება. იქაც რომ დგამს სპექტაკლებს, იქაც ხომ უსმენენ იმის მუსიკას. ეს არის კულტურის არსი. სტალინმა რატომ ამოიღო მიზანში. არა აქვს იმას საზღვარიო. ასი წლის მერე გიპოვის.

**- ეს ძალზე ძნელი სათქმელია. ფაქიზი თემაა და შეიძლება, უხერხულიც იყოს ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მართლა გენიოსები რომ გვყავს, ისეთი ჩაკეტილი სივრცე იყო, რომ ახლა ძნელია, ვინმე დააჯერო მათ გენიალობაში. მაგრამ ჩვენ თუ ვივარგეთ, იქნებ დაგვიჯერონ.**

- ეგ საერთოდ მატარებლის ფუნქციაა. მაგალითად, სერბიული ლიტერატურა. გამორჩეული და მართლა არაჩვეულებრივი. წინ გავარდა პირველი და მიჰყვა ორმოცი. ასეა საერთოდ. სამყარო ძალიან კომერციულია. ერთი წარმატება შობს მეორეს და ჯაჭვურია. დიდი ხანია, ლონდონში დავდივარ. პირველად ვიყავი 12 წლის წინ. არავინ არაფერი არ იცოდა. ახლა ტაქსში რომ ჩავჯდები... არაბი ვგონივარ ყველას. ვეუბნები, არა, georgian -სულ უბრალო ადამიანი მაშინვე მეუბნება, კარგი ღვინო, კარგი მეგობრები, კარგი ამინდი. ეგ არის ხომ, ჯორჯია. ტელევიზორში, კვირა არ გაივლის, რომ არ გვახსენონ.

**- ეგ რა კარგი ნათქვამია. კარგი ღვინო, კარგი მეგობრები, კარგი ამინდი.**

- ეგ თქვა საქართველოზე ალჟირელმა ტაქსისტმა ლონდონში.

**- ეგ უნდა გავახსენოთ იდეოლოგებს. ურთიერთობის დღესასწაული არის გადასარჩენი.**

- ეგ აუცილებელია. ეგ არის საქართველო. ეგ არის პორტუგალია. ეგ არის იტალია. ერთმა კარგმა კაცმა მიამბო, იტალიაში გლეხის ოჯახში მოვხვდი სტუმრადო. მასპინძელმა გაშალა სუფრა, დააწყო ღვინისთვის მოკლე, უფერო, შუშის ჭიქები. ჩვენებურად, და ამბობს, მოიცა, სუფრა ასე მოვატრიალოთ, მზე გადმოვა და ღვინოს კარგად გალანდავსო. ეს იტალიელმა გლეხმა უთხრა ქართველ ხელოვნებათმცოდნეს.

**- ფლორენციაში რომ ვიყავი, ერთ რესტორანში შევედით მე და ჩემი ძველი მეგობარი, ჩვენი საელჩოს თანამშრომელი ვატო ანდღულაძე იტალიაში.... ჩემმა მეგობარმა მეპატრონეს ჩემზე უთხრა, პოეტიაო. იმან თქვა, რაკი პოეტია, მაშინ ჩემს ღვინოს დავალევინებო. გამოგვიტანა თავისი ღვინო, დაუბეჭდავი, შინაური, ჩვენებურად.**

- ეგ არის ჩვენი სიმდიდრე. ეგ არის მისახედი და გადასარჩენი. ესაა, რითაც მოვიტანეთ თავი დღემდე.



# რესტორნის ინტერიერი

**ნატა ჯანბერიძე**
*სტუდია ROOM'S-ის დიზაინერი*

რესტორნის ფუნქციაა მიგიღოს თბილად, ხარისხიანად და ლამაზად. სითბო დამოკიდებულია გარემოზე და მომსახურე პერსონალზე, ხარისხი - კარგ სამზარეულოზე, სილამაზე და კომფორტი კი, ინტერიერზე.

მეპატრონე ირჩევს რესტორნის პროფილს, ხასიათს, დიზაინერი კი ცდილობს, რომ სივრცე სწორი მიმართულებით განავითაროს. იდეალურია, როდესაც რესტორნის მასპინძელი თვითონ არის კარგი არქიტექტორ-დიზაინერი. რადგან დამკვეთი და შემსრულებელი ერთია, ჩანაფიქრი თავიდან ბოლომდე ერთსულოვნად ხორციელდება.

თბილისში ბევრი ახალი და ძველი რესტორანია. როდესაც ძველი თბილისის რესტორნის ფოტოებს ვათვალიერებ მიკვირს, იმდენად დახვეწილი და კარგი ინტერიერებია. ასეთ ინტერიერებს დღეს ევროპის ბევრ ქალაქში ვერ ნახავთ.

მინდა გიამბოთ, იმ რესტორნის შესახებ, რომელიც ძალიან მომწონს და თითქმის ყველამ იცით. სადაც იგრძნობა სახლის სითბო და სიმყუდროვე, თითქოს სტუმრად მიხვედი რესტორნის მეპატრონეებთან. “შარდენის 12”-ის ინტერიერი მაგონებს ბებია-ბაბუების დროინდელ სახლს, სადაც მიხვალ და ისე იგრძნობ თავს, როგორც საკუთარ სახლში.




აქ ბევრი ძველი ნივთია და მასპინძლებისთვის მნიშვნელოვანი და საყვარელი ფოტოები. ყოველ ნივთს აქვს ინდივიდუალური ამბავი, ისტორია, რომლის მოსმენის შემდეგ გულიც კი ამიჩუყდა. დადებითი ენერგია მოდის ნივთებიდან, მასპინძლების მშობლების ფოტოებიდან, ტრადიციული, ტიფლისის დროინდელი რესტორნისთვის სახასიათო სკამებიდან და მაგიდებიდან. ალბათ, ეს არის იმის მიზეზი, რომ “შარდენის 12” ბევრ კარგ ადამიანს იზიდავს.

ინტერიერი არ არის ერთჯერადი რამ და ამიტომ არასდროს გადავა მოდიდან. თამამად ვიტყვი, რომ არ დაძველდება და მუდმივ სტუმარსაც არ მობეზრდება. აქ თავს იყრის სამი თაობა - ახალგაზრდები, მათი მშობლები და უფროს ქალბატონებსაც სიამოვნებთ ნოსტალგიურ გარემოში ყოფნა. უცხოელი სტუმრისთვის კი, ლამაზი ქართული საცხოვრებლის კარგი მაგალითია.

ინტერიერი დატვირთულია, მაგრამ ამავე დროს მარტივი და მსუბუქია. ეს ყველაფერი არსებობს შენს გარშემო, მაგრამ არ გაწუხებს. თუ ვერ იგრძენი, შეიძლება, ვერც შეამჩნიო კედელზე ძველი საბეჭდი მანქანა, რომლის მსგავს ისტორიას, მხოლოდ წიგნში თუ წაიკითხავ; ოვალური სარკე, შირმა “ფასკამოხსნილი” შუშებით, დიდი აბაჟური, სახელურად დაგებული ხალიჩები და ულამაზესი ბარი.

რა თქმა უნდა, “შარდენის 12”-ში ვერ იქნებოდა ეს დადებითი მუხტი, რომ არ ყოფილიყვნენ რესტორნის არქიტექტორები და თან მეპატრონეები, რომელთაც შეძლეს გრძნობით შეექმნათ საკუთარი ინტერიერის განწყობა.





# მოძრაობის უსაფრთხოება



## ფოტო N1

### წერეთლის გამზირი - წერეთლის ძეგლთან

ნიშანს, რომელიც დაფიქსირებულია ფოტოზე ჰქვია "გაჩერება აკრძალულია", რაც ნიშნავს რომ ამ საგზაო ნიშნის მოქმედების ზონაში ხანმოკლე გაჩერებაც კი იკრძალება, რათა ხალხი გადმოვიდეს მანქანიდან. ეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი მოქმედებს ქუჩის იმ მხარეს, სადაც დამონტაჟებულია; და თუ მის ქვეშ არ დგას რაიმე დამატებითი ინფორმაცია (მოქმედების ზონა, ზონის შეზღუდვა და ა.შ.) აღნიშნული ამკრძალავის საგზაო ნიშანი მოქმედებს მის უკან უახლოეს გზაჯვარედინამდე. ამ მოკლე გაკვეთილის ახსნის შემდეგ მივუბრუნდეთ ფოტოზე აღბეჭდილ სიტუაციას. ამკრძალავი ნიშნის “გაჩერება აკრძალულია” უკან გაჩერებულია მანქანები, იმიტომ, რომ იქვე დგას ნიშანი "ფასიანი დგომა".

**P.S.**

**შპს "შუქნიშნის" გენერალურ დირექტორს, ბატონ ნ. გაბელაიას:**

ა) ვინ გაძლევთ ასეთი სახის დავალებებს - ჯერ დააყენეთ საგზაო ნიშანი "გაჩერება აკრძალულია" და მეორე დღეს აყენებთ ნიშანს "ფასიანი დგომა".

ბ) თქვენ, როგორც შპს "შუქნიშნის" გენერალური დირექტორი თუ გრძნობთ რაიმე პასუხისმგებლობას ამ ლაფსუსებში და ბიუჯეტის დაზარალებაში?

**საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსს, ბატონ გ. გრიგალაშვილს:**

ა) პოლიციას გააჩნია მოძრაობის ორგანიზაციის მძლავრი განყოფილება და აქედან გამომდინარე: შედის თუ არა მათ ფუნქციებში შპს '"შუქნიშნის" მოღვაწეობის მონიტორინგი?

გ) წელს თუ დაამტკიცა მოძრაობის უსაფრთხოების განყოფილებამ რომელიმე დავალება, რითაც ხელმძღვანელობს შპს "შუქნიშანი".

**მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს: ბატონ დ. ენუქიძეს:**

ა) რომელმა ორგანიზაციამ დააყენა არასწორად დედაქალაქში საგზაო ნიშნები "ფასიანი დგომა"?

ბ) ცნობილი გახდა, რომ დღეს ნებისმიერ ორგანიზაციას შეუძლია შეიძინოს და დააყენოს ესა თუ ის საგზაო ნიშანი, მაგალითად "ფასიანი დგომა", რომელიც თქვენი თქმით, ფასიანი სადგომების ორგანიზაციამ, ვაკე-საბურთალოს გზაზე (ბენზინგასამართ სადგურთან) დააყენა. თვით სადგურმა დააყენა შუქნიშნების კორიანტელი... გევალებათ თუ არა ამ ქაოსის კონტროლი?



## ფოტო N4

### გორგასლის გამზირი - სამასი არაგველების ძეგლთან

ეს საგზაო ნიშანი ცალმხრივი მოძრაობა ხასიათდება იმით, რომ მეორდება ყოველივე გზაჯვარედინის 5-10 მეტრში. ამ ადგილზე ეს ნიშანი უბრალოდ ზედმეტია, იმიტომ რომ წინა და მომდევნო გზაჯვარედინი შორს არის. ეს ნიშანი არ დგას იქ, სადაც ამას სტანდარტი მოითხოვს. ზარალმა 100 ლარი შეადგინა.



ფოტო N 2

## ფოტო N 2, 3

### N2.N3 წერეთლის გამზირი - ცაბაძის გადაკვეთა

ბოდიშს გიხდით, მაგრამ აქაც უნდა ჩავატარო მოკლე გაკვეთილი მათთვის, ვინც ვერ მოასწრო საგზაო მოძრაობის წესების წაკითხვა. საგზაო ნიშანს, რომელიც ფოტოზეა აღბეჭდილი, ჰქვია "მოძრაობა აკრძალულია" - ანუ, ეს ნიშანი კრძალავს ნებისმიერი ტრანსპორტის მოძრაობას ორივე მიმართულებით, გარდა საზოგადო ტრანსპორტისა. განმარტების მერე ბუზღუნას გაუჩნდა რამდენიმე მოსაზრება:

ა) თუ, სტანდარტის მიხედვით ეს საგზაო ნიშანი კრძალავს მოძრაობას ორივე მიმართულებით, რატომ არ დგას იგივე ნიშანი ცაბაძის და თევდორე მღვდლის გადაკვეთაზე?



ფოტო N 3

ბ) ამავე ქუჩაზე მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან, დამონტაჟებულია საგზაო ნიშანი "შესვლა აკრძალულია". განმიმარტოს ასეთი ბრძნული დავალების მიმცემმა - როგორ უნდა აიკრძალოს მანქანის შესვლა, თუ იმ მონაკვეთზე საერთოდ აკრძალულია ტრანსპორტის მოძაობა?

გ) მერიის ტრანსპორეტის საქალაქო სამსახურის შესასვლელთან ცოტა ხნის წინ დამონტაჟდა საგზაო ნიშანი "გაჩერება აკრძალულია" დამატებითი დაფით, სადაც ნაჩვენებია ნიშნის მოქმედების ზონა. ნიშანი "გაჩერება აკრძალულია" და ის დაფა, რომელიც თან ერთვის ერთმანეთს არ შეესაბამება.

**P.S.**

**კვლავ ბატონ დ. ენუქიძეს:**

N2 და N3 ფოტოებზე ჩანს რომ დაშვებულია რამდენიმე შეცდომა:

1. თუ ვიღაცამ ცალმხივად ჩამოკიდა ნიშანი "მოძრაობა აკრძალულია" ეს დიდი შეცდომაა.

2. თუ მომავალში ორივე მხრიდან მოძრაობის აგრძალვას დააპირებთ, არა მგონია, რომ თბილისს გააჩნია ამ მნიშვნელოვანი მონაკვეთის დაკეტვის ფუფუნება.

3. ამავე დროს, თუ არ იკეტება ცაბაძის ქუჩის ეს მონაკვეთი მეორე მხრიდან, მაშინ არსებული ნიშანი უნდა მოიხსნას, ან შეიცვალოს ნიშნით "შესვლა აკრძალულია".

4. თქვენი სამსახურის გარშემო დამონტაჟებულია სულ 5 საგზაო ნიშანი; აქედან 4 ნიშანი შეცდომით არის დაყენებული.

**და კვლავ ბატონ გ. გრიგალაშვილს:**

ეჭვიც არ მეპარება, რომ კარგად იცით რას ნიშნავს ამკრძალავი ნიშანი "მოძრაობა აკრძალულია"; მაგრამ თქვენი ხელქვეითები, ალბათ, ნაკლებად სცემენ პატივს ამ ნიშანს, რითიც ამ მონაკვეთზე ინტენსიური ორმხრივი მოძრაობაა გამოწვეული.

■ ბუზღუნას ანგარიშით, ნიშნების დაყენებამ ბიუჯეტი 200 ლარით დააზარალა.



## ფოტო N5

### გორგასლის გამზირი ციხეებთან

ფოტოზე აღბეჭდილია ორი ერთნაირი ამკრძალავი ნიშანი "გაჩერება აკრძალულია" და მათი მოქმედების ზონაში გაჩერებული მანქანები.

**P.S. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსს, ბატონ გ. გრიგალაშვილს:**

- ბატონო გიორგი, საჭიროა თუ არა ციხეებთან ორი ამკრძალავი ნიშანი "გაჩერება აკრძალულია" და თუ საჭიროა, რატომ ახდენენ მძღოლები ამ ნიშნის დევალვაციას?



ფოტო N 6

## ფოტო N 6, 7

### 6.7 ჭავჭავაძის გამზირი - "თიბისი" ბანკთან და ნუცუბიძის ქუჩა

ბუზღუნა დიდხანს ფიქრობდა რა დაერქმია ამ ფოტოებისთვის: "ჩუმი აგრესია ფეხით მოსიარულეებზე", თუ "ადამიანის უფლებების დარღვევა ტროტუარზე," ან "ვინ ვის უშლის ხელს", იქნებ "ლაბირინთების გავლის წესები ანუ მანქანების წმენდის ახალი საშუალება შარვლებით და დაკაბებით"... მოკლედ, ვერაფერი რომ ვერ მოვიფიქრე, ეს პრობლემა ღიად დავტოვე.



ფოტო N 7

ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა

*ბენედეტო კროჩე*

# ვამპირთა მამა

ნოდარ ლადარია
ლეილა ბეზარაშვილი

1431 წელს, ვალახეთში, რუმინეთის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ სამთავროში, ქალაქ სიგიშოარაში დაიბადა თავადი ვლად დრაკულა, მეტსახელად ცეპეში. ეს ბოლო სიტყვა რუმინულად ძელზე გამსმელს ნიშნავს — ასე მოიხსენიებდნენ ვალახიის მმართველს მტრები და მოშურნეები.

XV საუკუნის ლიტერატურას თუ გავეცნობით, ძარღვებში სისხლი გაგვეყინება: აქ აღწერილია, როგორ უყვარდა თავად დრაკულას ქეიფი და დროსტარება და თან ძელზე გასმული ადამიანების ტანჯვით ტკბობა, როგორ მოიწვია სადილზე მაწანწალები და მერე კოცონზე დაწვა, როგორ ჩაუჭედა თავში ლურსმნები უცხოელ ელჩებს, რომლებმაც ქუდები არ მოიხადეს... მაგრამ მსგავსი საშინელებები მხოლოდ ვლადის სიკვდილის შემდეგ გაჩნდა, ისევე როგორც გერმანული გრავიურა, რომელზედაც დრაკულა გამოსახულია როგორც ბოროტი გამჭოლი მზერის მქონე ტირანი.

საერთოდ, ვლად დრაკულა, ისტორიული პიროვნება, თითქმის მთლიანად მითებშია გახვეული. სხვათა შორის, ასე უფრო ადვილია მისი პოპულარიზაცია, მითით ცხოვრებაც უფრო ადვილია, ვიდრე ისტორიით. ისტორია დიდი-დიდი მუზეუმს გაახსნევინებს ქალაქის მუნიციპალიტეტს, ვლად დრაკულას შემორჩენილ სახლში კი დღეს რესტორანია გახსნილი...

მაგრამ როგორ გამოიყურება ვლად დრაკულა, თუ უგულებელვყოფთ გვიანდელ გერმანულ მოთხრობებს და მის სახეს XV საუკუნის დოკუმენტების საშუალებით დავაკვირდებით?

ვლად დრაკულა ვალახიის ტახტზე ოცდახუთი წლის ასაკში ავიდა, 1456 წელს. ეს მეტად მძიმე დრო იყო, როცა ოსმალეთის იმპერია ბალკანეთში ქვეყანას ქვეყანაზე იპყრობდა. ახალდამხობილი იყო კონსტანტინოპოლი, სერბეთი და ბულგარეთი უკვე დამორჩილდნენ თურქებს. უშუალო საფრთხე დაემუქრა რუმინულ სამთავროებსაც. ახალგაზრდა მთავარი მამაცურად შეებრძოლა მტერს — ეს არა მარტო თავდაცვა იყო, რადგან ვალახეთის ლაშქარმა 1458 წელს მოაწყო სამხედრო ექსპედიცია ბულგარეთში, რათა წამოეყვანა იქიდან მართლმადიდებელი აღმსარებლობის ბულგარელი გლეხები და დაესახლებინა ვალახეთში. ევროპაში ამ ლაშქრობამ დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია, იმდენად, რომ იტალიელები ვალახეთის მცხოვრებლებს მოიხსენიებდნენ სიტყვით "დრაგული" მათი მამაცი მთავრის საპატივსაცემოდ. მაგრამ თურქებთან დიდი ომი გარდაუვალი იყო: სულთანმა მეჰმედ მეორემ პირდაპირ შეუტია ურჩ ვალახეთს. ამ წამოწყებაში ხელს უწყობდა ისიც, რომ ვალახეთის ტახტზე პრეტენზიას აცხადებდა ვლადის უმცროსი ძმა, რადუ, რომელმაც ისლამი მიიღო და სულთნის ფავორიტი გახდა.

ვლად დრაკულამ დახმარების სიტყვიერი აღთქმა მიიღო რომის პაპის, პიუს მეორისა და უნგრეთის ახალგაზრდა მეფის, მატიაშ კორვინისაგან. უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიტერატურასთან ამ პერსონაჟებსაც აქვთ გარკვეული კავშირი: პიუს მეორე, ერისკაცობაში ენეა სილვიო პიკოლომინი, ლათინური სასიყვარულო რომანის ავტორია, ხოლო მატიაშ კორვინის სახელი მისცა პოლონური წარმოშობის ამერიკელმა მწერალმა, როჯერ ჟელიაზნიმ ერთი ფანტასტიკური საგის მთავარ პერსონაჟს. მაგრამ სიტყვიერი აღთქმა არ შესრულდა: 1462 წელს, როცა უბედურება ვალახეთის საზღვარს მოადგა, დრაკულა მტერთან პირისპირ დარჩა.

ვლადმა თურქებთან საბრძოლველად ვალახეთის ყველა მამაკაცი გაიწვია თორმეტი წლის ასაკიდან. ახლაგაზრდა მთავარი მრავალფეროვან ტაქტიკას იყენებდა: ორგანიზება მოუწყო პარტიზანულ ბრძოლას, მტერს მხოლოდ გადამწვარ სოფლებსა და ყანებს უტოვებდა, საიდანაც შეუძლებელი იყო საკვების აღება. სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი იყო მტრის რიგებში პანიკის დათესვა: დრაკულა ულმობლად ანადგურებდა თურქებს, ძელზე სვამდა სამხედრო ტყვეებს — სასჯელის ეს სახეობა ფართოდ იყო გავრცელებული თვით ოსმალეთის იმპერიაში.

1462 წლის ზაფხულში დრაკულამ მოიმოქმედა სახელგანთქმული ღამის შეტევა, რომლის დროსაც განადგურდა თხუთმეტი ათასი ოსმალი. სულთანი უკვე სამთავროს დედაქალაქ ტირგოვიშტესთან იდგა, როცა ვალახები სიბნელეში შეიჭრნენ მტრის ბანაკში. თვით სულთნის მოკვლა ვერ მოხერხდა, მაგრამ თურქთა რიგებში შეტანილმა დეზორგანიზაციამ დი-



*დრაკულას სიცოცხლისდროინდელი პორტრეტი.*



*ბრემ სტოკერი.*

# "დანოსიდან" მითამდე

უნდა ითქვას, რომ ვლად დრაკულას ცხოვრებაში და მისი სიკვდილის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში, არავინ აბრალებდა ვალახეთის მთავარს, რომ იგი თავის მსხვერპლთა სისხლს სვამდა. ეს იდეა პირველად XIX საუკუნეში გაჩნდა და განხორციელდა 1897 წელს ბრემ (აბრაჰამ) სტოკერის (1847-1912) რომანში "დრაკულა". თვით მწერალი იყო ოკულტური ძმობის, "ოქროს ცისკრის" წევრი და არა მარტო გოთიკური რომანის ჟანრში მუშაობდა, არამედ პრაქტიკულად მისდევდა შავ მაგიას. ვალახეთის უბედურ მთავარზე მისი ყურადღება გადაიტანა უნგრელმა პროფესორმა არმინიუს ვამბირიმ. ეს უკანასკნელი ცნობილი იყო როგორც უნგრელი ნაციონალისტი. გასაგები იყო, რომ მატიაში კორვინის გასამართლებლად და უნგრული ისტორიის შესალამაზებლად ის არ დაინანებდა რუმინელი არისტოკრატის კიდევ უფრო ღრმად ჩაშვებას ბოროტებისა და ცილისწამების მორევში.

თუმცა ვამბირის (როგორ ჰგავს ვამპირს!) იმედი არ გაუმართლდა: მართალია, ყველამ დაიჯერა დრაკულას სისხლისმსმელობის მითი, სამაგიეროდ, ტრანსილვანიამ და, განსაკუთრებით, ვალახეთმა მშვენიერი ტურისტული ბრენდი მიიღეს. დარწმუნებული ვართ, მსოფლიოში გაცილებით მეტი ადამიანი იცნობს რუმინელ მთავარ ვლად დრაკულას, ვიდრე უნგრელ პოეტს შანდორ პეტეფის, ან თუნდაც კომპოზიტორ ფერენც ლისტს, რომელმაც, უნდა ითქვას, მშობლიური ენა არც იცოდა და გერმანულად და ფრანგულად მეტყველებდა.

დრაკულას თემა არც მსოფლიოს კინოეკრანებიდან ჩამოდის. აქ ყველანაირი მხატვრული ღირსების ფილმს შეხვდებით: იაფფასიანი კინოპროდუქციის მრავალი ათეული ნიმუშიდან ისეთ შედევრამდე, როგორიცაა გერმანელი რეჟისორის, ვერნერ ჰერცოგის ფილმი "ნოსფერატუ ვამპირი", რომელშიც ჟღერს ქართული "წინწყარო" ჰამლეტ გონაშვილისა და ანსამბლ "რუსთავის" შესრულებით. ასევე პოპულარულია ფრენსის ფორდ კოპოლას ბოლო დროს გადაღებული ფილმი, რომელიც კინოშედევრსა და კომერციულ კინოს შორის შუაგზაზე გაიჩხირა. ეს გასაგებიცაა: ნაყოფიერი და კარგად დამუშავებული თემა საშუალებას არ აძლევს წმინდა კომერციული კინოს დონეზე ჩამოსრიალებას, მაგრამ ბანალური სპეცეფექტები ხელოვნების მწვერვალისკენ ალმასვლას აბრკოლებენ.

რაც შეეხება ლიტერატურულ პირველწყაროს, ბრემ სტოკერის რომანს "დრაკულა", ის მაინცდამაინც არ ბრწყინავს ლიტერატურული ღირსებებით, თუმცა შეიძლება განვიხილოთ, როგორც გოთიკური ჟანრის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუში. გოთიკური ჟანრის ნაწარმოებები ერთი საზიარო სქემით ვითარდება:

1. მოქმედება იდუმალების ბურუსითაა მოცული. იწყება რაღაც უცნაური შემთხვევიდან და შემდეგ მას შეიძლება სხვა აუხსნელი მოვლენებიც დაერთოს. საიდუმლოს გახსნა მხოლოდ ბოლოში ხდება.

2. მოქმედებას თან ახლავს საშინელების ატმოსფერო. გმირების სიმშვიდესა და უსაფრთხოებას გამუდმებით ემუქრება აუხსნელი ბოროტება.

3. მოქმედების ადგილი ასევე შავბნელი და პირქუშია. პირველი გოთიკური რომანების მოქმედება იშლებოდა ძველ ციხე-დარბაზში ან მიტოვებულ მონასტერში. თვით ჟანრი, შეიძლება ითქვას, რომანტიზმის უკიდურესი გამოვლინებაა, როცა ინდუსტრიალიზაციის შედეგად წარმოიშვა კონფლიქტი ქალაქსა და კარმიდამოს შორის და ეს უკანასკნელი აღიქმებოდა წარსულის შავბნელი ძალების საუფლოდ. ქალაქის ურბანისტული გარემო სიმშვიდის მომტანია.

4. აუცილებელია ახალგაზრდა ლამაზი ქალი: ის უფრო ქალურ ღირსებათა კონაა, ვიდრე ცოცხალი პიროვნება. მრავალი საშინელი ფათერაკის შემდეგ ქალიშვილი ბედნიერად თხოვდება.

5. აუცილებელია ბოროტმოქმედი: გოთიკურ რომანში ეს შეიძლება იყოს მოჩვენება, ადამიანი, რომელმაც სული მიჰყიდა ეშმაკს, ვამპირი, მაქცია ან სხვა რამ მითოლოგიურ-მისტიკური პერსონაჟი. გვიანდელ გოთიკურ რომანებში სწორედ ეს ბოროტმოქმედი არის სიუჟეტის მამოძრავებელი ძალა.

გოთიკურ ჟანრში გვხვდება შედევრებიც: მაგალითად, მერი შელის "ფრანკენშტაინი", ჩარლზ მეტიურენის "მელმოტი მოხეტიალე", ედგარ ალან პოს "აშერთა სახლის დაცემა". უნდა ითქვას, რომ გოთიკური ელემენტები საკმაოდ ხშირად გვხვდება XIX საუკუნის, ასე ვთქვათ, "მაღალი ლიტერატურის" ნიმუშებშიც. საკმარისია გავიხსენოთ ემილი ბრონტეს "ქექაქუხილის უღელტეხილი" ან ჰენრი ჯეიმსის "ხრახნის ბრუნი". კიდევ უფრო ძლიერი გავლენა მოახდინა გოთიკამ ჟანრმა XX საუკუნის სამეცნიერო ფანტასტიკაზე და აქ ორი ჟანრის იდეალური შერწყმის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ჰერბერტ უელსის "დოქტორ მოროს კუნძული".

## ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა

*ბენედეტო კროჩე*

დი დანაკარგი გამოიწვია. ამ შესანიშნავი ოპერაციის შემდეგ მეჰმედ მეორემ დატოვა ვალახეთი და ჯარის ნაწილი დაუტოვა თავად რადუს.

მტერზე გამარჯვება საქმის ნახევარი იყო: გაცილებით უფრო ძნელი გამოდგა "მეგობრებთან" ურთიერთობა. ომში გარდამტეხი მომენტის როლი შეასრულა ვლადის ბიძაშვილის, მოლდაველი თავადის, შტეფანის ღალატი: შტეფანმა რადუს მხარე დაიჭირა. ვლადმა ვერ შეძლო ორ ფრონტზე ბრძოლა და ტრანსილვანისაკენ დაიხია. აქ უკვე ელოდებოდა დიდძალი ლაშქრით კიდევ ერთი "მეგობარი", მატიაშ კორვინი.

შემდეგ მეტად უცნაური რამ მოხდა. მოლაპარაკების პროცესში კორვინმა მოულოდნელად ბრძანა თავისი "ერთგული და საყვარელი მეგობრის", ვლად დრაკულას დაპატიმრება. მოგვიანებით ამ ნაბიჯის გამართლება შემდეგნაირად მოხდა: უნგრელებმა სააშკარაოზე გამოიტანეს დრაკულას წერილები მეჰმედისადმი, სადაც იგი სულთანს პატიებას სთხოვდა და ერთგულების დასამტკიცებლად უნგრეთის დაპყრობაში დახმარებას ჰპირდებოდა. კვლევის შედეგად ეს წერილები უხეშ ფალსიფიკაციად აღიარეს: მათი სტილი არ შეესაბამება ვლად დრაკულას ცნობილ მანერას, მათი აზრი აბსურდულია, ხოლო ორიგინალები დაკარგულია — შემორჩა მხოლოდ ლათინური ასლები, რომლებიც მოიპოვება პიუს მეორის დღიურებში. აღარავის ეპარება ეჭვი, რომ წერილების ორიგინალები არც არსებობდა. ასეა თუ ისე, 1462 წელს ვლად დრაკულას ბორკილი დაადეს და უნგრეთის დედაქალაქ ბუდაში გადაიყვანეს. აქ, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე მან თორმეტი წელი გაატარა დილეგში.

მაგრამ რა იყო უნგრეთის მეფის ასეთი მუხანათობის მიზეზი? — პასუხი "უნგრული ქრონიკის" ავტორის, ანტონიო ბონფინის თხზულებაში მოიპოვება. მატიაში კორვინმა თურქებთან საბრძოლველად რომის პაპისაგან ორმოცი ათასი გულდენი მიიღო, მაგრამ ეს ვეებერთელა "გრანტი" არამიზნობრივად დახარჯა, უფრო ზუსტად, ჩაიჯიბა. გასამართლებლად სჭირდებოდა განტევების ვაცი. კორვინმაც ყველაფერი ურჩ ვასალს დააბრალა, რომელიც თითქოს ორმაგ თამაშს ეწეოდა და თურქებთან იყო შეკრული.

რომში ეჭვით შეხვდნენ უნგრეთის მეფის არგუმენტებს: ადვილად დასაჯერებელი არ იყო, რომ თურქების მომხრე შეიძლებოდა ყოფილიყო ადამიანი, რომელმაც არა მარტო საოცარი ზარალი მიაყენა ოსმალეთის იმპერიას, არამედ თვით სულთანი გააქცია ბრძოლის ველიდან. პიუს მეორემ საქმის გამოძიება დაავალა ბუდაში თავის ელჩს, ვინმე ნიკოლას მადრუსას. სწორედ მადრუსას ჩანაწერებში ვნახულობთ დრაკულას გარეგნობის აღწერას: "ის ტანმორჩილი იყო, მაგრამ ძალიან კუნთმაგარი და ძლიერი. იერი ცივი და შიშისმომგვრელი ჰქონდა, ცხვირი — კეხიანი, გაბერილი ნესტოებით, სახე — ვიწრო და მოწითალო ფერისა, სახეზე ძალიან გრძელი წამწამები უჩრდილავდა ფართოდ გახელილ მწვანე თვალებს, მუდამ შეკრული შავი და ხშირი თვალები მუქარის გამომეყტველებას სძენდა. სახე და ნიკაპი გაპარსული ჰქონდა, მაგრამ ულვაშებს ატარებდა, გამობერილი საფეთქლები თავს უფრო დიდს უჩენდა. კისერი ხარივით მსხვილი ჰქონდა, მხრებზე კი შავი ხვეული კულულები ჩამოშლოდა".

მოდრუსას არ დაუტოვებია მოწმობა დრაკულასთან თავისი საუბრების შესახებ, მაგრამ აღწერაში ვხედავთ გასიებულ თავსა და მოწითალო სახეს: აშკარაა, რომ დრაკულას უნგრულ დილეგში სასტიკად აწამებდნენ. ვლადი არ ყოფილა ცხოვრებით განებივრებული: ჯერ კიდევ ტახტზე ასვლამდე უგემია ოსმალეთში ტყვეობის სიმწარე. მან საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენება არ მისცა, არც ხელი მოუწერია ნაყალბევ წერილებზე. კორვინი იძულებული იყო, ახალ-ახალი ბრალდებები შეეთხზა, რისთვისაც ტყვის ხელმოწერა აღარ დასჭირდებოდა.

ვლად დრაკულას ბრალი დასდეს საქსონიის მოსახლეობის მიმართ სისასტიკეში. მაშინ საქსონია უნგრეთის ტრანსილვანიაში შედიოდა. კორვინმა მოდრუსას წარუდგინა გერმანული პუნქტუალობით შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც აღწერილი იყო "საშინელი ურჩხულის" სავარაუდო სისხლიანი საქმეები. სწორედ აქ იყო პირველად მოხსენიებული ცოცხლად დამწვარი მაწანწალებისა და თავში ლურსმანჩაჭედებული ელჩების ამბავიც, მაგრამ ამათ გარდა დანაშაულთა ნუსხაში შეტანილი იყვნენ წამებული ბერები და ათასობით დახოცილი მშვიდობიანი მოსახლე. ანონიმი ავტორი დრაკულას ანტიკური ხანის ტირანებს ადარებდა და ამბობდა, რომ მისი მმართველობის პერიოდში მთელი ვალახეთი ძელზე გასმული ადამიანების ტყეს დაემსგავსა. საინტერესოა, რომ ავტორი სრულიად არ ზრუნავდა იმაზე, რომ ტექსტი დამაჯერებელი ყოფილიყო: ტექსტში მოხსენიებული დასახლებული პუნქტების სახელები, რომლებშიც თითქოს დრაკულას ოცი ან ოცდაათი ათასი კაცი დაუხოცავს, დღემდე არაა იდენტიფიცირებული. უნდა ითქვას, რომ იმხანად ოცდაათი ათასი — ძალიან დიდი ქალაქის მოსახლეობა იყო. გავიხსენოთ, რომ გადაცემა "ოდნაკო"-ს წამყვანი ბ-ნი ლეონტიევი საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 160 ოსური სოფლის გადაწვას აბრალებს.

უნდა ითქვას, რომ დრაკულა მართლაც რამდენჯერმე შესულა ტრანსილვანიაში იქ დამალული მეამბოხეებისა და ვალახეთის ტახტის პრეტენდენტების გასანადგურებლად. თუმცა ამ ლოკალური ლაშქრობების მასშტაბი არასოდეს ყოფილა ძალიან დიდი, ყოველ შემთხვევაში, ამ მოვლენებს არ შეუშლია ხელი ტრანსილვანიისა და საქსონიის მთავარ ქალაქებთან გაცხოველებულ კომერციულ ურთიერთობაში.



*დრაკულას სასახლის შიდა ეზო დღეს.*

არც ისაა დასაჯერებელი, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში შუა ევროპაში ათასობით ადამიანის ძალადობრივი სიკვდილი რომელიმე სარწმუნო დოკუმენტში არ ასახულიყო. XVI საუკუნეში ევროპა უკვე საკმაოდ ცივილიზებული იყო, რომ ამგვარი მოვლენებისთვის ყურადღება მიექცია. მატიაში კორვინიც გრძნობდა ვლადისადმი წაყენებულ ბრალდებათა უსაფუძვლობას, ამიტომ მიმართა დისკრედიტირების ყველაზე ეფექტურ და ავტორიტეტულ ხერხს — იმ დროისათვის ასეთი პოეზია და მხატვრობა იყო. ასე ნახა დღის სინათლე გერმანელი პოეტის მიქაელ ბეჰაიმის პოემამ, რომლის ბეჭდვითი გამოცემა გრავიურებით იყო დასურათებული. პოემა მთელ ევროპაში გაავრცელეს და მას ხალხურ ენაზე დაწერილი ბროშურების დიდი სიმრავლე მოჰყვა. ჩვენს დრომდე ცამეტი ასეთი ბროშურა შემორჩა. გერმანული ბეჭდვითი პროდუქცია საკმაოდ პირობითი იყო, მაგრამ ადამიანებზე გავლენის დიდი ძალა ჰქონდა და ამიტომ საკმაოდ მალე შეიქმნა ვლად დრაკულაზე ნეგატიური წარმოდგენა.

მატიაშ კორვინს არ სურდა ტუსაღის გათავისუფლება, მაგრამ რომში პაპი შეიცვალა და სიქსტუს მეოთხეს უკვე სერიოზულად აწუხებდა თურქების წინსვლა. ახალი პონტიფიკი გრძნობდა, რომ ადამიანი, რომელმაც საქმით დაამტკიცა თურქების წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობა, საკმაოდ მნიშვნელოვანი შეიძლებოდა ყოფილიყო ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობაში. ამიტომ წაუყენა დრაკულას შემდეგი პირობები: ვალახეთის მთავარი თავისუფლებას მოიპოვებდა, თუ მიიღებდა კათოლიკურ აღმსარებლობას და ცოლად შეირთავდა მატიაში კორვინის ძმისწულს.

დრაკულა გაათავისუფლეს და ორი წლის შემდეგ, 1476 წელს მან თურქების მიერ ოკუპირებულ ვალახეთში უნგრული არმიის სარდლად შეაბიჯა. გზად ტრანსილვანიაზე უნდა გაევლო. დოკუმენტების თანახმად, ტრანსილვანიის მოსახლეობა დიდი სიხარულით ხვდებოდა მას, ვინც, თუ შეთითხნილ ბრალდებას დავუჯერებთ, სულ რამდენიმე წლით ადრე უწყალოდ აოხრებდა იქაურობას. ვლადმა განდევნა თურქები სამშობლოდან და 1476 წლის 26 ნოემბერს ვალახეთის სამთავრო ტახტი დაიბრუნა. მაგრამ მისი მეორე მმართველობა ერთობ ხანმოკლე აღმოჩნდა...

ვლად დრაკულა ტეპეშის სიკვდილი 1476 წლის დეკემბერში იდუმალების ბურუსითაა მოცული. არსებობს რამდენიმე ვერსია, მაგრამ ყოველი მათგანი მთავრის უახლოეს გარემოცვაში არსებულ შეთქმულებას განიხილავს. ცნობილია, რომ დრაკულას თავი სულთან მეჰმედს გაუგზავნეს საჩუქრად. მანაც კონსტანტინოპოლის ერთ-ერთ მოედანზე გამოჰკიდა საზარელი ნადავლი.

უნდა ითქვას, რომ დრაკულას შესახებ არსებობს ორი ტიპის გადმოცემები: ერთია ფსევდოფოლკლორი, რომელიც ეყრდნობა 1462 წელს შედგენილი "მამხილებელი" დოკუმენტის საფუძველზე დაკვეთით შეთხზულ წიგნებს; მეორე კი სტიქიურადაა შექმნილი, როგორც ნამდვილი ფოლკლორი. ამ უკანასკნელი ტიპის თხზულებებში, რუმინულ ხალხურ თქმულებებსა და სიმღერებში ვლად დრაკულა გამოყვანილია სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირად. მართალია, მის შესახებ არ შემორჩა ისტორიული ქრონიკები, მაგრამ ეს არცაა გასაკვირი: ძალიან ხანმოკლე და ბრძოლით აღსავსე იყო მთავრის მმართველობის პერიოდი მან ვერ მოასწრო, ვერ მოახერხა ან, შესაძლოა, არც ისურვა კარის მემატიანის აყვანა.

სულ სხვა ბედი ეწია მეფე მატიაშს, რომელიც კარის ქრონისტებმა მეცნიერებისა და სამართლიანობის დამცველად გამოიყვანეს და განაცხადეს, რომ "მის სიკვდილთან ერთად სამართალიც მოკვდა". ასევე დიდ მმართველად და წმინდანადაა მიჩნეული მოლდაველი მთავარი შტეფანი, რომელმაც უღალატა დრაკულას და ძელზე გასვა ორი ათასი რუმინელი.

## ხარუკი მურაკამი

ირაკლი ბერიაშვილის თარგმანი

გაგრძელება. დასაწყისი იხილე № 11, 12, 13, 14

**მეოთხე ნაწილი**

ხარუკი მურაკამი 1949 წელს დაიბადა კიოტოში, იაპონიის ძველ დედაქალაქში, კლასიკური ფილოლოგიის მასწავლებლის ოჯახში. სწავლობდა კლასიკური დრამის ფაკულტეტზე ვასედას უნივერსიტეტში. ტოკიოში ჯაზის ბარი ჰქონდა.

წერა 29 წლისამ დაიწყო და მას შემდეგ წელიწადში საშუალოდ ერთ რომანს წერს. იღვიძებს ექვს საათზე და წვება ათზე. 33 წლისამ სიგარეტს თავი დაანება, დაიწყო ვარჯიში.

დასავლეთში გაემგზავრა და იქიდან ევროპელის თვალით დაუწყო ყურება თავის სამშობლოს.

თავისი შემოქმედებით მურაკამი არღვევს ჩვეულ იაპონურ ფასეულობებს: "ეცადე იცხოვრო ჰარმონიულად გარე სამყაროსთან", "არ გამოეყო გარემოს და ყველაფერი იღონე კარიერისთვის". ის სიამოვნებით არღვევს ტრადიციებს, რის გამოც ბევრი იაპონელის სიძულვილიც დაიმსახურა. "მე მომწონს დროის ფლანგვა. ქვეყნად იმდენი რამ არის, რაც მიყვარს - ჯაზი, კატები, გოგონები, შეიძლება წიგნებიც. ყველაფერი ეს ცხოვრების გაგრძელებაში მეხმარება".






# ნადირობა ცხვრებზე

### 1
### უცნაური კაცის გამოჩენამდე

არსებობს მრავალი მიზეზი, რის გამოც კაცი რეგულარულად და დიდი დოზებით იწყებს სმას. მიზეზი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, შედეგი კი, როგორც წესი, ერთი.

1973 წელს ჩემი ერთი კოლეგა გულმხიარული მსმელი იყო. 1976-ში ისევ სვამდა, ოღონდ ოდნავ შესამჩნევი გართულებები ჰქონდა ურთიერთობაში. 1979 წლის ზაფხულში კი მისი ხელები უკვე უნებურად ეფერებოდა ალკოჰოლიზმისკენ მიმავალი კარის სახელურს. როგორც ყველა რეგულარულად მსმელი, ფხიზელი მომხიბლავი ადამიანი იყო, ყველა თვალსაზრისით ღირსეული და რაფინირებულიც კი. თვითონაც ასეთი აზრისა იყო საკუთარ თავზე. იმიტომაც სვამდა. რადგან დარწმუნებული იყო, რომ თუ დალევდა, უფრო წარმატებით მოიყვანდა შესაბამისობაში საკუთარ თავსა და წარმოდგენას საკუთარ თავზე - როგორც ძალზე ღირსეულ და მომხიბლავ ადამიანზე. თქმა არ უნდა, თავიდან ეს მშვენივრად გამოსდიოდა. მაგრამ დრო გადიოდა, დოზა იზრდებოდა და რაღაც დროის შემდეგ ოდნავ შესამჩნევი ხინჯი პროგრამაში - შეუმჩნევლად წარმოქმნილი ნაპრალი - თანდათან გაგანიერდა. მერე კი მისი ცხოვრების სქემაში უძირო უფსკრულივით დააღო პირი. მისი ღირსებები და მომხიბვლელობა ისეთი სისწრაფით გარბოდა წინ, რომ თვითონ ვეღარ ეწეოდა. ჩვეულებრივი შემთხვევაა. მაგრამ ადამიანების უმრავლესობას ძალიანაც არ უნდა საკუთარი პერსონა "ჩვეულებრივ შემთხვევად" ჩათვალოს. რაფინირებულებს კი - მით უფრო. იმის იმედით, რომ ისევ იპოვიდა იმას, რაც უკვე დაკარგა, გადაწყვიტა, უფრო ღრმად შეჭრილიყო ალკოჰოლურ ნისლში. მას შემდეგ საქმეები კიდევ უფრო ცუდად წაუვიდა.

თუმცა დღისით, მზის ჩასვლამდე, ჯერ კიდევ ღირსეულად ეჭირა თავი. უკვე მერამდენე წელი იყო, შეგნებულად ვერიდებოდი მასთან საღამოობით შეხვედრას და იქნებ ამიტომაც, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის მაინც, ისევ ღირსეულ ადამიანად რჩებოდა. თუმცა, მისი ყველა ღირსება დაბინდებასთან ერთად ქრებოდა, რაც, სხვათა შორის, თვითონაც მშვენივრად იცოდა. საუბარში არასდროს არ ვეხებოდით ამ თემას. ურთიერთობა წინანდელივით შესანიშნავი გვქონდა, მაგრამ მეგობრები ნამდვილად აღარ ვიყავით.

ვერ ვიტყვი, რომ ერთმანეთისა აბსოლუტურად ყველაფერი გვესმოდა, მაგრამ ის ჩემი სტუდენტური პერიოდის საუკეთესო ნაცნობი იყო. ამიტომაც განსაკუთრებით განვიცდიდი იმას, როგორ ეშვებოდა ეს კაცი სულ უფრო და უფრო ქვევით, როგორ კარგავდა ღირსებას თვალსა და ხელს შუა. თუმცაღა, იქნებ სწორედ ამგვარ ტკივილთან ერთად მოდის, როგორ ვთქვა, დაკაცება თუ სიმწიფე...

იმ დროს, როცა კანტორში მივედი, თავისი ულუფა ვისკი უკვე მიღებული ჰქონდა. თუ იმ ერთი ულუფით შემოიფარგლებოდა, ჯერ ისევ ინარჩუნებდა სახეს. მაგრამ ამ საქმეში უცვლელი კანონი ბატონობს. საკმარისია დაიწყო "ერთით", რომ სულ მალე როგორღაც შეუმჩნევლად გადადიხარ "ორ-სამზე". როგორც კი მსგავსი რამ მასაც დაემართება, ამ ფირმასთან კავშირის გაწყვეტა და სხვა სამუშაოს ძებნა მომიწევს. კონდიციონერის ცხაურის წინ მდგომი გაოფლიანებულ ზურგს ვიშრობდი და მდივანი ქალის მიერ მომზადებულ ცივ ქერის ჩაის ვწრუპავდი. ის ჩუმად იყო. არც მე ამომიღია ხმა. შუადღის კაშკაშა ლაქები ფანტასტიკურად გათხაპნილიყო ლინოლიუმზე. ფანჯრის იქით მწვანეში ჩაფლული პარკი იყო. აქა-იქ წერტილებად მოჩანდა ბალახზე გასარუჯად გაწოლილი სხეულები. ჩემი მეწყვილე ჩემს პირდაპირ იჯდა და ბურთულიანი კალმისტრის ბოლოს რიტმულად ირტყამდა მარცხენა ხელისგულზე.

- შენ რა, გაშორდი? - ხმა ამოიღო ბოლოს.

- უკვე სამი თვეა! - ვუპასუხე ისე, რომ პარკის პეიზაჟისთვის თვალი არ მომიშორებია. მზის სათვალის გარეშე თვალები მტკიოდა.

- რატომ გაშორდი?

- პირადული მოტივებით.

- ეს გასაგებია, - მშვიდად თქვა, - ერთხელაც არ მსმენია არაპირადული მიზეზებით განქორწინებაზე.

ხმა არ გამიცია. აი, უკვე რამდენი წელია ჩვენს შორის რაღაც შეთანხმებასავით იყო დადებული: არ შევხებოდით ერთიმეორის პირადი ცხოვრების პრობლემებს.

- არაფრის გარკვევას არ ვაპირებ, - თითქოს ბოდიშს იხდისო, ისე თქვა, - მაგრამ მაინც, ის ჩემი მეგობარიც იყო და ამან ცოტა... შოკში ჩამაგდო. სულ იმას ვფიქრობდი, რა კარგი წყვილია-მეთქი...

- ასეც იყო. ჩვენ კარგი ურთიერთობა გვქონდა. ყოველგვარი წივილკივილის გარეშე დავშორდით.

ჩემი მეწყვილე შეცბუნებული გაჩუმდა, მარტო ბურთულიანი კალმისტარი ტკაცუნობდა, როცა მის გაშლილ ხელისგულს ეხებოდა. მუქი ცისფერი პერანგი ეცვა, შავი ჰალსტუხი ეკეთა, თმას ისევ შერჩენოდა სავარცხლის კვალი. ოდეკოლონი და ლოსიონი, სუნით თუ ვიმსჯელებდი, ერთი ნაკრებიდან იყო. მე მაისური მეცვა, რომელზეც სნუპი - დიდთავიანი ლეკვი - ვინდსერფინგის დაფას ჩახვეოდა, ძველი, გაწყალებამდე გახეხილი "ლივაისები" და ამოგანგლული ჩოგბურთის კედები. ნებისმიერი უცხო თვალისთვის ის გაცილებით სოლიდურად გამოიყურებოდა.

- გახსოვს, როცა სამივე ერთად ვმუშაობდით?

- მშვენივრად მახსოვს, - ვუპასუხე.

- კარგი დრო იყო, - თქვა ჩემმა მეწყვილემ.

კონდიციონერს მოვცილდი და ოთახის შუაგულისკენ წავედი, ლაჟვარდისფერ შვედურ დივანზე დავეგდე, რომელიც ჟელესავით დაირწა. მაგიდის სასიგარეტედან ერთი ღერი ფილტრიანი "პელ-მელი" ამოვაძრე და სანთებელით მოვუკიდე.

- მერე რა?

- მართალი გითხრა, მაშინ ერთბაშად ძალიან ბევრ საქმეს მოვედეთ.

- განცხადებებს გულისხმობ ჟურნალებისთვის?

მეწყვილემ თავი დამიქნია. უცებ რაღაც თანაგრძნობის მსგავსი ვიგრძენი მის მიმართ. ეტყობა, საკმაოდ იწვალა მანამ, სანამ ჩემთან ამ საუბარს გააბამდა. მაგიდიდან სანთებელა ავიღე, ხრახნი მოვაბრუნე და ალი დავამოკლე.

- მესმის, რომ მაინცდამაინც არ გსიამოვნებს ამ თემაზე ლაპარაკი, - ვთქვი და სანთებელა უკანვე, მაგიდაზე დავდე, - მაგრამ შენ თვითონ დაიწყე. თავიდან მე არ მომიტანია ის სამუშაო, მე არ შემომითავაზებია, შენ იპოვე და თვითონვე შემოგვთავაზე. ასე არ არის?

- ისეთი სიტუაცია იყო, უარის თქმა არ შემეძლო. თან თავისუფალი დროც თავ საყრელი გვქონდა...

- თუმცა ფულიც საკმაოდ ვიშოვეთ...

- ჰო, ბლომად გამოვიმუშავეთ. ოფისიც გავაფართოეთ, ხალხიც მეტი დავიქირავეთ... მე მანქანა გამოვიცვალე, ახალი ბინა ვიყიდე, ორივე ბავშვი კერძო კოლეჯში მივაბარე - კაი ფული კი დამიჯდა... ისე, ოცდაათი წლისას რაღაც უკვე უნდა გქონდეს...

- რაც იყო, იყო. იშოვე და იშოვე. რაში გჭირდება თავის მართლება?

- სულაც არ ვიმართლებ თავს! - მიპასუხა მეწყვილემ. თქვა და მაგიდაზე დაგდებული ავტოკალამი აიღო, რამდენჯერმე ხელისგულზე მიიწკაპუნა, - ოღონდ, იცი... ახლა, როცა იმ დროს ვიხსენებ, რაღაც არც კი მჯერა, რომ ეს ყველაფერი ნამდვილად იყო. ჩვენი ერთად აღებული ვალი, ყველაფრის თარგმნა, რაც კი ხელში მოგვხვდებოდა, განცხადებები მეტროს კედელზე...

- თუ ნოსტალგია გაწუხებს იმ განცხადებებზე, ახლაც შემიძლია შეგიამხანაგდე...

თავი ასწია და შემომხედა.

- ჰეი, მე სულაც არ ვხუმრობ...

- არც მე, - ვუპასუხე.

გავჩუმდით.

- რამდენი რამ შეიცვალა მას შემდეგ, - თქვა ბოლოს ჩემმა მეწყვილემ, - ცხოვრების ტემპი, ადამიანების აზრები... აი, მაგალითად, ჩვენ ახლა ისიც არ ვიცით, სინამდვილეში რამდენს ვშოულობთ! მოდის საგადასახადო ექსპერტი, რაღაც გაუგებარ ქაღალდებს ავსებს: "იქ დავქვითავთ, აქ დავფარავთ, აი, აქ განსაკუთრებული გადასახადია" და ასე გაუთავებლად.

- მაგრამ ეს ყველგან ასეა!

- მე მესმის. ისიც კი მესმის, რომ უამისოდ არ შეიძლება, მაგრამ ადრე მაინც რაღაც უფრო... მეტი ხალისი იყო.

- "რაც უფრო დიდხანს ვცხოვრობ, სულ უფრო მაღლდება ჩემი ციხის უხილავი კედლების ჩრდილი..." - ჩავიბურტყუნე ჩემთვის.

- როგორ თქვი?

- არც როგორ, სისულელე, - ვთქვი, - მერე, მერე...

- მერე ის, რომ ახლა ფულის და-



ცინცვლაა და მეტი არაფერი. ჩვენ ექსპლუატატორებად ვიქეცით, სისხლის მწოველებად.

- ექსპლუატატორები? - გაკვირვებულმა შევხედე. ჩვენს შორის ორიოდე მეტრი იქნებოდა. ის სკამზე იჯდა, მისი თავი ჩემსაზე ოციოდე სანტიმეტრით მაღლა იყო. იქით, კედელზე, სურათი ეკიდა. ადრე არ მენახა. ეს რაღაც ახალი, შავ-თეთრი ლითოგრაფია იყო. ფრთიანი თევზი. სიფათზე ეტყობოდა, მაინცდამაინც არ მოსწონდა ფრთები. ეტყობა, ვერ მიმხვდარიყო, რაში უნდა გამოეყენებინა, - სისხლის მწოველები?.. - ამჯერად ჩემთვის ჩავილაპარაკე.

- ზუსტად.

- მაინც ვის სისხლს ვწოვთ?

- ცოტ-ცოტა ყველას!

ხელის მტევნები ზუსტად ჩემი თვალების დონეზე ჰქონდა. ფეხები ავწიე და ცისფერი დივნის საზურგეზე გადავაჯვარედინე. თან თვალს არ ვაშორებდი ხელისგულზე ავტოკალმის ცეკვას.

- რაც არ უნდა იყოს, ვითომ ვერ ხვდები, რომ გამოვიცვალეთ?

- ყველაფერი ძველებურად არის, არავინ და არაფერი არ შეცვლილა...

- შენ რა, მართლა ასე ფიქრობ?

- ჰო, ასე ვფიქრობ. არავითარი ექსპლუატაცია არ არსებობს. ეს ყველაფერი საბავშვო ზღაპარია.

- არა მგონია, გჯეროდეს, რომ ხსნის არმიის დაკრულზე ცეკვით მართლა შეიძლება ქვეყანას ეშველოს. ნუ იგონებ იმას, რაც არ არსებობს!..

- კარგი, შეიძლება მეტისმეტი მომივიდა... - თითქოს დამეთანხმა, - წინა კვირას შენ, უფრო სწორად, ორივე, მარგარინის რეკლამის ტექსტს ვადგენდით. ვერაფერს იტყვი, მშვენიერი რეკლამა გამოვიდა. შეგვაქეს კიდეც. მაგრამ აბა მითხარი: ამ ბოლო წლებში შენ თვითონ რამდენჯერ ჭამე მარგარინი?

- არც ერთხელ. ვერ ვიტან მარგარინს.

- არც მე მიჭამია. საქმეც ეგ არის! ადრე, ყოველ შემთხვევაში, გულით ვმუშაობდით, გვჯეროდა რასაც ვაკეთებდით, საკუთარ თავს პატივს ვცემდით. ახლა? მთელ ქვეყანას ნეხვით ვავსებთ - უაზრო და უმიზნო სიტყვებით...

- სხვათა შორის, მარგარინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლო პროდუქტია. მხოლოდ მცენარეულ ცხიმებს შეიცავს და უკიდურესად ცოტა ქოლესტერინს. მოხუცებს ავადმყოფობები არ უვითარდებათ, უკანასკნელ ხანებში კი, ამბობენ, გემოც შესამჩნევად გაუმჯობესდა... იაფია. დიდხანს ინახება...

- ჰოდა, შენ თვითონ ჩახეთქე!

დივანზე გავიშალე და მთელი ტანით გავიზმორე.

- მაინც რა მნიშვნელობა აქვს, ვჭამთ თუ არა მე და შენ ამ მარგარინს. ბოლო-ბოლო, ხომ სულ ერთია! მორიგ აბდაუბდას გადათარგმნი თუ ახალ სარეკლამო სიაფანდობას შეთხზავ მარგარინზე - სინამდვილეში ერთი და იგივეა. ჰო, ვანაგვიანებთ ქვეყანას უაზრო სიტყვებით. მაგრამ გინახავს კი სადმე სიტყვები, რომლებსაც აქვს აზრი? კარგი რა, მორჩი, თუ ღმერთი გწამს, არ არსებობს ეგ შენი "სამუშაო სუფთა გულით". ვერსად ვერ იპოვი. ეს იგივეა, რომ სუფთა გულით ისუნთქო, ანდა სუფთა გულით ჩააფსა უნიტაზში!

- და მაინც ადრე უფრო რაღაცნაირი... უფრო გულუბრყვილო იყავი.

- შეიძლება, - ვთქვი და მძიმე საფერფლეში სიგარეტი ჩავაქრე, - "ერთ უცოდველ ქალაქში ერთი უცოდველი ყასაბი ცხოვრობდა. უცოდველი კატლეტების დასამზადებლად უცოდველ ხბოებს ხოცავდა..." რა თქმა უნდა, თუ ფიქრობ, რომ დილიდან ვისკით გამოტყვრომა სავსებით უცოდველი საქმიანობაა, შეგიძლია იმდენი ჩახეთქო, რამდენიც ჩაგეტევა!

ოთახში სიჩუმე დაგუბდა. ხანგრძლივ პაუზაში მხოლოდ ავტოკალმის რაკუნი ისმოდა ხის მაგიდაზე.

- მაპატიე, - ვეღარ გავუძელი სიჩუმეს, - არ მინდოდა შენთან ასე ლაპარაკი.

- არაფერია, - თქვა ჩემმა მეწყვილემ, - შეიძლება სწორედ ამაში ხარ მართალი.

გადახურებულმა კონდიციონერმა დაიწკაპუნა და გამოირთო. წყნარი შუადღე იყო. ისეთი წყნარი, რომ გაგაჟრიალებდა.

- თავს გაუფრთხილდი, - ვთქვი, - ნახე, რამდენს მივაღწიეთ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ძალებით! არავისი არ გვმართებს, არც ჩვენი მართებთ... და სხვათა შორის, ჩვენს საქმეში უფრო მეტი სალი აზრია, ვიდრე კარიერისტთა ამ ბრბოსთვის, მხოლოდ საკუთარი ტრაკის უსაფრთხოებაზე რომ ზრუნავს, თანამდებობიდან თანამდებობაზე რომ გადადიან და არაფერი იციან, სავარძლებში თვითკმაყოფილი სიფათებით გაბღენძვის გარდა...

- ჩვენ ხომ მეგობრები ვიყავით?

- ახლაც მეგობრები ვართ, - ვთქვი, - მთელი გზა ერთად გავიარეთ, ერთმანეთს ჩაჭიდებულებმა.

- ისე არ მინდოდა, რომ დაშორებულიყავით.

- ვიცი, - ვუპასუხე, - მაგრამ იქნებ ამიხსნა რამე ცხვრების თაობაზე?

თავი დამიქნია, კალმისტარი ბუდეში ჩააბრუნა, თითებით წარბები მოისრისა და დაიწყო:

- ის კაცი დღეს დილით 11 საათზე გამოჩნდა.

## 2
## უცნაური კაცის გამოჩენა

ის კაცი დილის 11 საათზე გამოჩნდა. ისეთ პატარა ფირმაში, როგორიც ჩვენია, დროის აღმნიშვნელი სიტყვები "დილის 11 საათი" ორი სახისაა. ეს ან კაპიტალური ოფლის ღვრაა, ან კაპიტალური უსაქმურობა. რაღაც შუალედური არ არსებობს. ან უაზროდ ვფაციფუცობთ და დავრბივართ, საქმეში ყელამდე ჩაფლულები, ანდა ასევე უაზროდ ვყვინთავთ და ხელახლა ვნახულობთ დილის სიზმრებს. რაც შეეხება "შედარებით უმნიშვნელო საქმეებს", თუ ასეთი რამ საერთოდ ხდება, მაშინ მათი მოგვარება როგორმე ნასადილევსაც შეიძლება.

ეს კაცი სწორედ მეორე ნაირსახეობის დილას გამოჩნდა. იმდღევანდელი დილისთვის სრულიად თამამად შეგვეძლო კლასიკური უსაქმურის ძეგლი დაგვედგა. სექტემბრის მთელი პირველი ნახევარი ვირებივით ვმუშაობდით, მაგრამ როგორც კი შეკვეთა შევასრულეთ, ცხოვრება კანტორაში შეწყდა. სამმა, ჩემი ჩათვლით, ზაფხულის გამოუყენებელი შვებულება ავიღეთ (ერთი თვის დაგვიანებით), დანარჩენებს კი სამუშაოდ ისღა დარჩათ, რომ დილიდან საღამომდე ფანქრებისთვის წაეთალათ წვერები. ჩემი მეწყვილე ბანკში ფულის ასაღებად გავარდა, მეორე თანამშრომელი მოპირდაპირე მხარეს მუსიკალური მაღაზიის სადემონსტრაციო დარბაზში ახალთახალი ფირფიტების მოსმენაში კლავდა დროს და მხოლოდ დაცარიელებულ კანტორაში მარტო დარჩენილი მდივანი გოგონა პასუხობდა დროდადრო ტელეფონის ზარებს და "შემოდგომის სტილის ვარცხნილობებს" ფურცლავდა. კანტორის კარი უხმაუროდ გააღო და ასევე უხმაუროდ მიხურა. მისი ეს უხმო მოძრაობები სულაც არ გამოიყურებოდა რაღაც წინასწარგანზრახულ ქმედებად. პირიქით, ყველაფერი ჩვეულებრივი და



სავსებით ბუნებრივი იყო. იმდენად ჩვეულებრივი და იმდენად ბუნებრივი, რომ მდივანმა გოგონამ მაშინვე ვერ გაიაზრა კანტორაში მისი გამოჩენის ფაქტი. როცა ამას მიხვდა, ის უკვე მაგიდასთან იდგა და ზემოდან დასცქეროდა.

- თუ შესაძლებელია, რომელიმე ხელმძღვანელთან მინდოდა დალაპარაკება, - ისეთი ტონით თქვა კაცმა, როგორითაც ხელთათმნით უხილავ მტვერს გადაბერტყავენ ხოლმე მაგიდიდან. გოგონამ ვერაფრით მოისაზრა, თუ რა ხდებოდა. თავი ასწია და უცნობს შეხედა. ისეთი გამჭრიახი მზერა ჰქონდა, უბრალო კლიენტი არ უნდა ყოფილიყო. საგადასახადო ექსპერტისთვის მეტისმეტად კარგი აღნაგობა ჰქონდა, პოლიციელისთვის - მეტისმეტად ინტელიგენტურად გამოიყურებოდა. სხვა პროფესიები მდივან გოგონას რატომღაც არ მოაგონდა. ეს კაცი რაღაც გარდაუვალი უბედურების მაცნესავით გაჩნდა, არავინ იცოდა საიდან და როგორ.

- ახლა აქ არავინ არ არის! - წაილუღლუღა მდივანმა და საჩქაროდ დახურა ჟურნალი, - ნახევარი საათის შემდეგ ვიქნებითო...

- მოვიცდი, - მაშინვე თქვა მან, თითქოს წინასწარ იცოდა, რასაც უპასუხებდნენ.

მდივანი გამწარებული ცდილობდა იმის გადაწყვეტას, ეკითხა თუ არა სტუმრისთვის სახელი, საბოლოოდ დაიბნა, გადაიფიქრა და მისაღებში გააცილა. კაცი ცისფერ დივანზე დაჯდა, ფეხი ფეხზე გადადო, გაქვავდა და მოპირდაპირე კედელზე დაკიდებულ ელექტროსაათს მიაშტერდა. ცოტა ხნის შემდეგ მდივანმა ქერის ჩაი შემოუტანა. ის ისევ ისე იჯდა, მილიმეტრითაც კი არ გაწეულა არც იქით, არც აქეთ.

- ზუსტად მანდ, სადაც ახლა შენ ზიხარ, - თქვა ჩემმა მეწყვილემ, - აი, ეგრე, თავისთვის იჯდა, არ ინძრეოდა და ოცდაათი წუთი თვალებით ბურღავდა საათს. ერთხანს დივნის ნაკეცებს დავყურებდი, მერე კედლის საათს შევხედე და ისევ ჩემს მეწყვილეს შევაცქერდი.

* * *

სექტემბრის მიწურულისთვის უჩვეულო სიცხის მიუხედავად, ჩვენი სტუმარი, რომ იტყვიან, საპარადოდ იყო გამოწყობილი. აშკარად პრესტიჟულ ატელიეში შეკერილი კეთილშობილი ნაცრისფერი ტონების პიჯაკის სახელოდან ზუსტად ნახევარი სანტიმეტრით მოჩანდა ქათქათა მანჟეტები. უნაკლოდ შერჩეული დახვეწილი ნაზზოლებიანი ჰალსტუხი ოდნავ შესამჩნევი ასიმეტრიულობით იყო გამონასკვული. შავი ტყავის ფეხსაცმელი სარკესავით პრიალებდა.

ოცდათხუთმეტი-ორმოცი წლისა და ას სამოცდაათი სანტიმეტრის სიმაღლის იქნებოდა. ამ კაცს გრამი ზედმეტი წონა არ ჰქონდა. უნაოჭო ვიწრო მაჯები რბილი ხაზებით გადადიოდა გრძელ, მოქნილ, მრავალი წლის ნავარჯიშევ თითებში, რომლებიც უძველესი ფორმის ბიომცენარეებს მოგაგონებდათ - დახლართული არსებების ორი ოჯახი საერთო სოლისებური ფესვებით, რომლის წიაღში დღემდე იმალება სიცოცხლის საწყისის მდუმარე ინსტინქტები. განსაკუთრებული ზრუნვით მოვლილი ფრჩხილები დაბოლოებაზე თითქოს უნაკლო ფორმის ოვალის ორნამენტს ქმნიდა. ეს იყო ჭეშმარიტად ლამაზი და რაღაცით მოუხელთებელი უცნაური ხელები. ამ ხელების შემხედვარე უთუოდ იფიქრებდი, რომ მათი მფლობელი ძალიან ვიწრო პროფილის სპეციალისტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ კერძოდ რისი, ყველასთვის გამოცანად რჩებოდა.

ხელებისგან განსხვავებით ამ კაცის სახე განსაკუთრებულს ვერაფერს გეტყოდათ. სახე ყოველგვარი შესამჩნევი ნაკლის გარეშე - უბრალო და უმეტყველო. პირდაპირი, თითქოს ნაჯახით ჩამოჭრილი შუბლისა და ცხვირის ხაზები, მშრალი ტუჩების სწორი ზოლი. კანის ოდნავ ჩამუქებული ტონი სულაც არ ჰგავდა იმ ჩვეულებრივ ფერს, რომელსაც იოლად იღებენ პლაჟებზე და ჩოგბურთის კორტებზე. მხოლოდ სრულიად უცხო, იდუმალ მზეს უცხო პლანეტაზე შეეძლო მიეცა ასეთი უცნაური ელფერი ადამიანის კანისთვის.

დრო საშინლად ნელა მიღოღავდა. მთელი ეს ოცდაათი წუთი მკაცრი და ცივი, ისეთი დაძაბული იყო, როგორც ჭანჭიკები სამაგრ კონსტრუქციაში, რომლებსაც ძლივძლივობითღა უჭირავთ ცაში სადაცაა ჩამოსავარდნად გამზადებული გიგანტური ცეპელინი. და როცა ბოლოს და ბოლოს ჩემი მეწყვილე დაბრუნდა ბანკიდან, მოეჩვენა, რომ ჰაერი კანტორაში საშინლად მძიმე და პირქუში იყო. თითქოს მთელი ავეჯი იატაკზე დაელურსმათ.

- მე, რა თქმა უნდა, მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ ასე მომეჩვენა...

- რა თქმა უნდა, - ვუპასუხე.

გაგრძელება
შემდეგ ნომერში






# ბრიტანეთის საერთაშორისო მოტორშოუ ლონდონს დაუბრუნდა

მერაბ ლორთქიფანიძე


ფორდის ყინულოვანი ქმნილება.


ბეემვე M6 კაბრიოლეტი.

იმ დროს, როდესაც ბრიტანეთის საავტომობილო ინდუსტრია პიკში იმყოფებოდა (1950 და 1960 წლებში), მსოფლიოს წამყვანი საავტომობილო კომპანიები თავიანთი სიახლეების პრემიერებს ბრიტანეთის საერთაშორისო ავტოშოუზე აწყობდნენ, რომელსაც იმ დროს ლონდონი მასპინძლობდა.

მაგრამ შემდეგ, რატომღაც ავტოშოუ ბირმინგემში გადაბარგდა, ბრიტანული ავტოწარმოება კი გაჭიანურებულ კრიზისში მოექცა. შედეგად, სხვა ქვეყნის კომპანიებმაც თავიანთი ყურადღება მეტწილად ჟენევის, პარიზის, ფრანკფურტისა და დეტროიტის ავტოსალონებს მიაპყრეს, ბრიტანული ავტოგამოფენა კი მეორეხარისხოვან მოვლენად იქცა.

მაგრამ ოცდაათწლიანი პაუზის შემდეგ, ავტოშოუ კვლავ ლონდონს, კერძოდ კი ლონდონის "ექსცელის" საგამოფენო ცენტრს დაუბრუნდა და დაბრუნებასთან ერთად, გამოფენაზე მსოფლიო პრემიერების რიცხვმაც იმატა. რამდენიმე ახალ ავტომობილს (მათ შორის, კონცეპტუალურსაც) საზოგადოება პირველად სწორედ ლონდონში იხილავს, ზოგიერთის გაცნობის საშუალება კი ავტო-მედიას მანამდეც ჰქონდა, თუმცა მათი ოფიციალური დებიუტი სწორედ ლონდონურ ავტოშოუს დაემთხვა. რა თქმა უნდა, საზოგადოებას მათი უმეტესობა ინგლისურმა მარკებმა წარუდგინეს.

თავისი ახალი პროდუქტი ყველაზე ორგინალურად, ყინულის სახით წარმოადგინა "ფორდმა", რომლის სტენდზეც ავტოშოუს გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე მიიტანეს და დაამონტაჟეს ყინულისგან დამზადებული კუპე-კაბრიოლეტი "ფორდ ფოკუსი". ამ ავტომობილის შესაქმნელად, ყინულის სკულპტურების სპეციალისტებს ორი კვირა დასჭირვებიათ. ეს საკმაოდ ბევრია, თუმცა არც ისე ბევრი გამოვა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყინულის "ფორდი" მეტად დაბალი ტემპერატრის გარემოში იქმნებოდა. ასე რომ, თითეულ სკულპტორს მხოლოდ 40-წუთიან ცვლაში უწევდა მუშაობა.

ყველაფერი კარგი, მაგრამ ფორდელებს საგამოფენო პავილიონში იმაზე მაღალი ტემპერატურა დახვდათ, ვიდრე მათი 6.5-ტონიანი ყინულოვანი "ფოკუსისთვის" იქნებოდა ასატანი. ამის გამო, კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ისიც კი იფიქრა, იქნებ სპეციალური კამერა მოვიტანოთ, რომ ხანდახან მასში მოვაქციოთო ჩვენი ყინულოვანი შედევრი. მოკლედ, გამოფენის დასაწყისში მისულმა დამთვალიერებლებმა ამ ქმნილების ნახვა დადნობამდე მოასწრეს.

ლონდონური ავტოშოუს მეორე, უფრო რეალური და უფრო საოცარი ექსპონატია ავტობიზნესის ახალბედა, მცირე ბრიტანული კომპანია "ბარაბუსი" (ან იქნებ, ბარაბასი). შესაძლოა, ვინმეს ეგონოს, რომ გერმანულ "ბრაბუსში" გვერევა. ასეთ გაუგებრობას ავტოშოუს დამთვალიერებლებს შორისაც ჰქონია ადგილი. თუმცა, კომპანიის მიერ დაქირავებულ სტენდზე ჩვეულებრივი "ბრაბუსის" მსგავსი არაფერი მდგარა.


ასტონ მარტინ V8 ვენტეჯი.

სამაგიეროდ, იქ დამთვალიერებელმა იხილა ლურჯ ფერად შეღებილი ნამდვილი რაკეტა, რომელსაც ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის ასაკრეფად, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა - ორი წამიც კი არ სჭირდება(!). რამდენია ამ "ბარაბასის" მაქსიმალური სიჩქარე, ძნელი სათქმელია, მისი მწარმოებელი კი ამაყად აცხადებს - 320 კმ/სთ-ზე გაცილებით მეტიო. ვის რაში სჭირდება ეს "გაცილებით მეტი", არავინ იცის. ჰოდა, ამით მწარმოებელიც ნაკლებად ინტერესდება.

ეს ავტომობლი აღჭურვილია "შევროლეს" წარმოების V8 აგრეგატით, რომელიც ორი ტურბოკომპრესორის დახმარებით, მუხლა ლილვის 6800 ბრ/წთ-ზე მაქსიმუმ 1005 ცხენის ძალას "წურავს". ბრიტანულ კომპანიას პირველ "ბარაბუსზე" შეკვეთა უკვე მიუღია საუდის არაბეთიდან. უცნობმა შემკვეთმა ამ საოცარი ტექნიკურ-დინამიკური მახასიათებლების მქონე ავტომობილში, რომელსაც ნოემბერში მიიღებს, 550 000 დოლარი გადაიხადა.

"ოპელ/ვოქსჰოლის" სტენდზე, მოდელ "კორსას" მსოფლიო დებიუტს "ჯენერალ მოტორსის" ორივე ხელმძღვანელი - მთავარი აღმასრულებელი რიკ ვაგონერი და პრეზიდენტი ბობ ლუტცი დაესწრო. ორივემ არაორაზროვნად მიანიშნა, რომ შესაძლოა, ეს ავტომობილი მალე აშშ-ის ბაზარზეც გაიყიდოს. ბენზინზე ფასების ზრდის ტენდენცია იმაზე მიუთითებს, რომ მალე სუპერმინის კლასის ავტომობილები აშშ-შიც მოიპოვებს პოპულარობას. ჰოდა, "ოპელიც" მზადაა, ოკეანისგაღმური მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს ახალი "კორსა".

"ფორდისა" არ იყოს, "გენერლებმაც" თავიანთ პატარას შოუს დაწყებამდევე უცნაური პრეზენტაცია მოუწყვეს - ავტომობილი ლონდონს მოასფალტებული გზით კი არა, ჰაერში გამოკიდებული ესტუმრა. მდინარე ტემზის გასწვრივ ფრენაში მას ვერტმფრენი დაეხმარა.

"ოპელ/ვოქსჰოლი" (ვოქსჰოლი ოპელის ინგლისური ანალოგია) ამ ავტომობილის სპორტული მოდიფიკაციის (VXR) პრემიერას მერმის, ჟენევის ავტოსალონზე გეგმავს. წინასწარი მონაცემებით, ეს ავტომობილი 1.6-ლიტრიანი, ტურბოკომპრესორიანი ძრავით აღიჭურვება, რომლის სიმძლავრე დაახლოებით 200 ცხენის ძალამდე უნდა იყოს.

მსოფლიო პრემიერა ჩაატარა "ბეემვემაც", რომელმაც ლონდონელებს უჩვენა კუპე M6-ის ღია ვარიანტი (კაბრიოლეტი). სხვათა შორის, თავისი პროდუქტის მსოფლიო პრემიერისთვის ბავარიელებმა პირველად გამოიყენეს ბრიტანული საერთაშორისო მოტორშოუ. თავიანთი ქმედება კი მათ იმით ახსნეს, რომ "ბეემვესთვის" ბრიტანული ბაზარი თანდათან იკავებს მოწინავე პოზიციას. შეგახსენებთ, რომ სწორედ "ბეემვეს" ეკუთვნის ორი პოპულარული ინგლისური მარკა - "როლს როისი" და "მინი".

კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ჰელმუტ პანკემ განაცხადა, რომ "ბეემვემ" თავისი ბრიტანული ქარხნების მოდერნიზაციისთვის 800 მილიონი ევრო დახარჯა. გარდა ამისა, მერმის დამატებით 100 მილიონი ევროს ინვესტიცია განხორციელდება ოქსფორდის ქარხანაში, რომელიც პოპულარულ მოდელ "მინის" უშვებს.

რაც შეეხება კაბრიოლეტ M6-ს, მისი გაყიდვები ბრიტანეთში და საერთოდ, ევროპაში სექტემბერში დაიწყება. ავტომობილი აღჭურვილია "ბეემვეს" წარმოების ცნობლი 5.0-ლიტრიანი V10 ძრავით, რომლის სიმძლავრე 507 ცხენის ძალას აღწევს, მისი მეშვეობით კი ავტომობილი ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარეს 4.8 წამში ავითარებს.

რა თქმა უნდა, ბრიტანული ავტოშოუ ვერ ჩაივლიდა "იაგუარის" სიახლეების გარეშე. "დიდმა კატამაც" ლონდონის გამოფენაზე თავისი სამი ახალი ავტომობილი წარადგინა. მათგან ყველაზე მეტად საზოგადოება ელოდა კუპე/კაბრიოლეტ XKR-ს. ის კომპრესორიანი V8 ძრავითაა აღჭურვილი, რომლის სიმძლავრე 420 ცხენის ძალამდეა გაზრდილი.

"ფორდის" კიდევ ერთმა ბრიტანულმა კომპანიამ, "ასტონ მარტინმა" გამოაცხადა, რომ მალე დაიწყებს რბოლებში ნაწრთობ მოდელ "V8 ვენტეჯის" სამოქალაქო ვარიანტის წარმოებას. სხვათა შორის, ავტომობილს სარბოლო მოდიფიკაციიდან ბევრი სპორტული ელემენტი (მათ შორის სპორტული სავარძელიც) გადმოჰყვება. მისი სავარაუდო ფასი 113 000 დოლარია.

რა თქმა უნდა, აღნიშვნის ღირსია "ლენდ როვერის" ახალი "ფრილენდერის" მსოფლიო პრემიერა. ბევრი სპეციალისტი ამ ახალ ავტომობილს კრიტიკულად შეხვდა. თუმცა, "ფორდი" (ლენდ როვერიც ცისფერ ოვალს ეკუთვნის) პრემიერაზე აქცენტს ახალი "ფრილენდერის" ეკოლოგიურობაზე აკეთებდა. მერე რა, რომ პირველი "ფრილენდერისგან" განსხვავებით, ახალი მოდელი გაბარიტებში შესამჩნევად გაიზარდა და პრაქტიკულად ძველი "დისქავერის" კლასში გადავიდა. სამაგიეროდ, მისი მფლობელი გამონაბოლქვით ნაკლებად დააზარალებს გარემოს. ეს კი თანამედროვე ბრიტანელებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ავტომობილის დიზაინი, გაბარიტები და სხვა მახასიათებლები.


ბარაბუსი.


კუპე იაგუარ XKR.


ლენდ როვერ ფრილენდერ 2.

# ლაზერული ფარი საიმედოდ დაიცავს საჰაერო სივრცეს

მერაბ ლორთქიფანიძე

ათწლეულების განმავლობაში, საომარი მოქმედებების დროს, შემტევი მხარე კოკისპირული წვიმის, ძლიერი ქარისა და სქელის ნისლის შემთხვევაში, საჰაერო თავდასხმას ვერ ახორციელებდა. თანამედროვე ტექნიკამ ამინდის პრობლემა თითქმის მოხსნა, თუმცა შესაძლოა, მალე წვიმაც და ნისლიც აგრესორი მხარის მოკავშირედ იქცეს.

რატომ? იმიტომ, რომ უამინდობა თითქმის ერთადერთი საშუალება ხდება იმისათვის, რომ აგრესორის რაკეტები და თვითმფრინავები მოწინააღმდეგე მხარის საჰაერო სივრცის ახალ მცველებს - ლაზერული დანადგარების ცეცხლს გადაურჩეს.

წარმოიდგინეთ: მძლავრი ლაზერული სხივი ანადგურებს მოწინააღმდეგე მხარის საარტილერიო ჭურვს, რაკეტას ან თვითმფრინავს. ის თავად აღმოაჩენს გასანადგურებელ ობიექტს და თუ ერთი გასროლა გააფუჭა, ცდებს მანამ იმეორებს, სანამ სასურველ შედეგს მიაღწევს. ამ დროს კი ქალაქის მშვიდობიან მოსახლეობას შეუძლია მშვიდად იძინოს - ლაზერული დანადგარების ბატარეა მათ საიმედოდ დაიცავს. მაგრამ თუ გაწვიმდა, სამიზნემდე ლაზერის შესუსტებული სხივი მიაღწევს და მისი გნადგურებაც გაუჭირდება. თუმცა, მთავარი ისაა, რომ ასეთი ლაზერები უკვე არსებობს...

მძლავრი ლაზერული სხივით მფრინავი ობიექტების ჩამოგდების იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც მეცნიერებმა ლაზერი შექმნეს. რა თქმა უნდა, ლაზერს შესაბამისი მართვის სისტემა სჭირდება, როგორებიც თითქმის ყველა ქვეყნის საჰაერო დაცვას აქვს. ოღონდ, მტრის რაკეტებისგან თავის დასაცავად აქამდე საზენიტო არტილერიასა და რაკეტსაწინააღმდეგო რაკეტებს იყენებენ. კაცობრიობა დიდი ხანია, ლაზერს იყენებს, მაგრამ აქამდე არ არსებობდა რაკეტებთან ბრძოლისთვის საჭირო იმდენად მძლავრი დანადგარები, რომლებიც სასურველ შედეგს მოიტანდა. თუმცა, ამიერიდან ეს პრობლემაც გადაჭრილია - ამერიკის და ისრაელის ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის შენაერთები მალე აღიჭურვება ისეთი ზემძლავრი ლაზერებით, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდება მტრის ნებისმიერი მფრინავი ობიექტის ჰაერში განადგურება.

ამერიკულმა კომპანია "ნორტროპ გრუმენმა" საზოგადოებას წარუდგინა თავისი ახალი შედევრი - ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის ზემძლავრი ქიმიური ლაზერის (დეითერიუმის ფტორიდის საფუძველზე მოქმედი) მობილური სისტემა "სკაიგარდი". ამ სისტემის მთავარი ნაწილია ლაზერული დანადგარი THEL (ტაქტიკალ ჰაი ენერჯი ლაზერ - ტაქტიკური მაღალენერგეტიკული ლაზერი), რომელიც წლების განმავლობაში იხვეწებოდა.

"სკაიგარდის" მთელი მოწყობილობა დიდი ზომის ორ საავტომობილო მისაბმელში, ან სამხედრო მრავალღერძიან სატვირთო ავტომობილზე ეტევა.

ლაზერის სიმძლავრე საკმარისია იმისათვის (ზუსტ მონაცემებს არ ასახელებენ), რომ გადაახუროს რაკეტის, საარტილერიო ჭურვის, ან თვითმფრინავის კორპუსი და ამით მათი აფეთქება გამოიწვიოს. სისტემას უკვე გავლილი აქვს ყველა გეგმიური გამოცდა, რომელთა დროსაც მისი საშუალებით ადვილად განადგურდა რაკეტები და ჰაუბიცის ჭურვები.

"სკაიგარდის" შესაქმნელად მუშაობა ჯერ კიდევ 1990-იან წლებში დაიწყო და მისი სრულყოფა ახლაც მიმდინარეობს. ტესტების დროს, ლაზერული სისტემა წარმატებით ანადგურებდა ზალპური ცეცხლის დანადგარის მიერ ზედიზედ გაშვებულ რეაქტიულ ჭურვებს. სხივის სიმძლავრე იმდენად დიდია, რომ შორიდან ჩანს მისი კვალი, რომელიც სხივის გასწვრივ არსებულ ჰაერში მყოფი მტვრის ნაწილაკებისა და წყლის აორთქლების შედეგად წარმოიქმნება.

სხვათა შორის, აღნიშნული ნაწილაკები ლაზერის სხივს სიმძლავრეს ართმევს და მის ეფექტურობას ამცირებს. აქედან გამომდინარე, რაც უფრო მშრალი და სუფთაა ჰაერი, მით უფრო მძლავრი და ზუსტია ლაზერის სხივიც, რომელმაც მტრის რაკეტები უნდა გაანადგუროს.

"ნორტროპ გრუმენის" გარდა, პროექტ "სკაიგარდზე" მუშაობენ ისრაელის წამყვანი მეცნიერები და ინსტიტუტები. შესაბამისად, დანადგარი მზადდება აშშ-ისა და ისრაელის არმიებისთვის.

"ნორტროპ გრუმენის" ჩანაფიქრით, ლაზერული სისტემის საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა უმოკლეს დროში უნდა მოხდეს. ამასთან, თითოეულ დანადგარს დაახლოებით 10 კილომეტრის რადიუსში შეუძლია საჰაერო სივრცის დაცვა. სწორედ ამ მანძილზე ხერხდება ლაზერული სხივის საჭირო სიმძლავრით შენარჩუნება.

"სკაიგარდი" შემდგომი პრინციპით მოქმედებს: მტრის მიერ გმოსროლილ რაკეტას აფიქსირებს რადარული დანადგარი, რომელიც აქედან მოყოლებული, სამიზნის კოორდინატებს მუდმივად აკონტროლებს და შესაბამის ინფორმაციას გადასცემს ლაზერთან დაკავშირებულ მართვის კომპიუტერულ სისტემას. კომპიუტერი ობიექტს ოპტიკური სისტემით ამოიღებს მიზანში და ინფრაწითელი სხივით მოახდენს მის "ესკორტირებას". იგივე ოპტიკური დანადგარის მეშვეობით, მოგვიანებით სისტემა დამრტყმელ ლაზერს მიუშვებს ობიექტზე, რომელიც ვერანაირად ველარ შეძლებს განადგურებისგან თავის დაღწევას - ლაზერი სინათლის სიჩქარით ვრცელდება. საკმარისია ორიდან ათ წამამდე, რომ ობიექტი განადგურდეს.

აღსანიშნავია, რომ "ნორტროპ გრუმენი" წლების განმავლობაში სწორედ ქიმიური ლაზერების დახვეწაზე მუშაობს. მსგავსი სისტემები, ოღონდ გაცილებით მძლავრი, კომპანიამ უკვე შექმნა საჰაერო ბაზირების რაკეტსაწინააღმდეგო სისტემისთვის, რომელიც მოდერნიზებულ "ბოინგ 747-ზეა" დამონტაჟებული და რომელმაც ასევე წარმატებით ჩააბარა რამდენიმე გამოცდა. საჰაერო ბაზირების ლაზერებს საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის აღმავალ ფაზაში, რამდენიმე ასეული კილომეტრის სიშორიდან განადგურება შეუძლია. ამასთან, კომპანიის მეცნიერები ამუშავებენ სისტემას, რომელიც მოახდენს იმ სივრცის წინასწარ იონიზირებას, სადაც ლაზერმა უნდა გაიაროს. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ შემცირდეს ლაზერის სხივის სიმძლავრის დანაკარგები.

"სკაიგარდის" გამოცდები პრაქტიკულად დასრულებულია, ამჟამად კი მისი წარმოებისთვის მომზადების პროცესი მთავრდება. სავარაუდოდ, პირველ დანადგარებს ამერიკისა და ისრაელის არმიები მერმისვე მიიღებენ შეიარაღებაში.

ჯერჯერობით არ სახელდება "სკაიგარდის" ღირებულება. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ერთი გასროლისთვის აუცილებელი ქიმიური რეაგენტების ღირებულება 3 ათას დოლარს აღწევს. ერთი შეხედვით, ძალიან ძვირია, როცა ერთი გასროლა ამდენი გიჯდება, თუმცა ცნობილ რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარ "პეტრიოტის" (ამ დანადგარს მხოლოდ რაკეტების განადგურება შეუძლია) ღირებულებასთან (3.8 მილიონი დოლარი) ეს პრაქტიკულად ზღვაში წვეთია.



"სკაიგარდის" ორ-სამ ასეთ დანადგარს პატარა ქალაქის და დიდი სამხედრო შენაერთის საჰაერო დაცვის უზრუნველყოფა შეუძლია (ნორტროპ გრუმენის ილუსტრაცია)




"ნორტროპ გრუმენის" ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის მოქმედების სქემა: 1-რადარი აფიქსირებს ობიექტს, 2-ოპტიკური ესკორტირების (გაცილების) ფაზა, 3-ობიექტის ზუსტი გაცილების ფაზის დასაწყისი, 4-ობიექტის ლაზერით დასხივების დასაწყისი, 5-სამიზნის განადგურება. გარდა ამისა: 6-ლაზერული კომპლესი "სკაიგარდი", 7-რადარი, 8-დაცული ობიექტი (ნორტროპ გრუმენის ილუსტრაცია)



მობილური "სკაიგარდი".

## კლუბები/რესტორნები/ბარები

**ბარი იხსნება: 17:00. ყოველ დღე: 23:00** ახალი DJ და დისკოთეკა. **მიმ-ტანები:** - ქართველი და უცხოელი მოდელები. **მუდმივად** ეკრანზე **ფე-შენ TV; ყოველ ხუთშაბათს:**

**Ladies night** საფირმო კოქტეილი უფასოდ მხოლ-ოდ ქალბატონებისთვის. ასევე - **განახლებული** მენიუ **და ლუდების ფართო არჩევანი;**

**რუსთაველის გამზირი 18;**
**ტ.: 92 22 88 (მობ.: 877 74 71 70);**
ავტოსადგომი უფასოა.

**იხსნება: 16:00; ბიზნესლანჩი: 12:00-დან 15:00-მდე.** მუდმი-ვი კლიენტებისათვის ფასდაკლება. შესაძლებელია წინასწარი შეკვე-თები კერძო წვეულებებისათვის.

დარბაზი გათვალისწინებულია 80 სტუმარზე.
**ახვლედიანის 13.**
**ტ.: 92 00 45**

**იხსნება: 11:00; ლუდსახარში და რესტორანი გთავაზობთ:** გერმანული ტექნოლოგიითა და **უნიკალური რეცეპტით,** მაღა-ლხარისხოვან **გერმანულ სვია-სა და ალაოზე** დამზადებულ **ცოცხალ,** გაუფი-ლტრავ ლუდს ""**კაიზერ ბრაუს."** ქალაქის საუ-კეთესო უბანში, სასიამოვნო გარემოში, თქვენ შეგიძლიათ თვალი ადევნოთ **რესტორანში გა-ნთავსებულ მინი ლუდსახარშში ლუდის ხარ-შვის პროცესს,** შესვათ ახლადმოხარშული შე-სანიშნავი ლუდი და სხვა სასმელები, **მიირთვ-ათ** უგემრიელესი გერმანული და ევროპული კერძები და რესტორნის დიდ მონიტორზე **ნახოთ** სპორტის უახლესი მოვლენები. **"კაიზ-ერ ბრაუს" შეგიძლიათ** ლანჩზეც ეწვიოთ.

**საუკეთესო შეფ-მზა-რეული** თქვენ უამრავ სიურპრიზს გიმზად-ებთ, რათა მოსწყდეთ დაძაბულ დღის რეჟიმს, დაისვენოთ და გემრიე-ლად წაიხემსოთ. **სამ-ზარეულო ღიაა: 02:00; რესტორანი მუშაობს** ბოლო სტუმრის გაცი-ლებამდე.

**სიონის 8;**
**ტ.: + 995 (32) 92 03 22;**
ავტოსადგომი უფასოა

**იხსნება: 10:00; ცოცხა-ლი მუსიკა: 19:00;** სახე-ლმა არ მოგატყუოთ და სამოგზაუროდ არ გაე-მართოთ. **ეს "ლევილი" თბილისშია!** - მყუდრო გარემო, გამორჩეული ქართული და ევროპული სამზარეულო, **მომსახურების უმაღლესი დონე,**

ბარი სუკეთესო სასმელების მრავალფეროვანი არჩევანით. **350** ადგილიანი საბანკეტო დარბაზი, **22** და **10** ადგილიანი **კუპეები,** ერთი სიტყვით, - **იდიალური ადგილი** ნებისმიერი **წვეულების მო-საწყობად.** შესაძლებელია **დარბაზის** ან **მაგიდე-ბის** წინასწარ **დაჯავშნა.** მუშაობს ბოლო სტუმრ-ის გაცილებამდე.

**ალექსანდრე ყაზბეგის 12ა; ტ.: 37 14 19; mob.: 899 223424/899 502414/899 537648.**

**იხსნება: 12:00; დისკოთეკა: 23:00, პარესკევი/შაბათი;** მშვიდი მუსიკა და მაღალი დო-ნის მომსახურება, **უგემრიე-ლესი კერძები** და სასმელების ფართო არჩევანი, **საუკეთესო ადგილი ბიზნეს ლანჩებისთვის** და **საქმიანი შეხვედრებისთვის.** უბრალოდ, - **თქვე-ნი საყვარელი ბარი.**

## ბათუმი








**01. 08.06 - გალაქსი მიუ-ზიქ ქლაბის** "უფო" **გახს-ნა: 21:00;** მოწვეულ **სტუ-მართა შორის** არიან: **სა-ქართველოს პრეზიდენ-ტი, აჭარის** ხელისუფ-ლების **პირველი პირები** და **საზოგადოების** სხვა **ცნობილი წარმომადგე-ნლები.** შესვლა **მხოლოდ მოსაწვევებით.**
**02.08.06** - ჯგუფი **"ფრა-ნი"** /ახალი მიმართულება, ახალი მუსიკა, ახალი სახეები. **პროდიუსინგი - "სანო სტუდია"/;**
**03.08.06/04.08.06 - ასა ფართი** /სუხიშვილები მხოლოდ **ჩვენთან 2 დღით /;**
**05.08.06 - ლათინო ფართი** /ყოველ **შაბათ-კვირ-ას** /. ციდან ვარსკვლავებს ვერ დაგპირდებით, მაგრამ **ამოუცნობ** მფრინავ ობიექტში მაგარ **შო-უზე** ნამდვილად **დაგპატიჟებთ. 1 აგვისტოდან** ყოველ დღე, **23:00 საათზე** ბათუმის თავზე **მაშ-ხალა გავარდება** და მის აკვატორიაში **ყველას ამცნობს,** რომ გალაქსი მიუზიქ ქლაბში **შოუ და-იწყო.** აქამდე **უცნობი** მფრინავი ობიექტი **მალე** თქვენთვის ყველაზე ნაცნობი **გართობის ადგი-ლი** გახდება. ის მთელი სეზონის მანძილზე **არ დატოვებს გალაქტიკას** და მრავალ სიურპრიზ-თან ერთად **დაუვიწყარ ზაფხულს გაჩუქებთ.** მაშ ასე, **თქვენი ვარსკვლავური ცხოვრება დე-დამიწაზე დაიწყო!**
**იხსნება: 10:00; ცოცხალი მუსიკა: 23:00;** ფუნქციონირებს როგორც **რესტორანი: 20:00-მდე;** აქვს **დიდი ბარი** და სასმელების **ფართო** არ-ჩევანი. თქვენი არჩეONEის სიზუსტეზე **3 ბარმე-ნი** იზრუნებს, რომლებიც კარგი განწყობის შესა-ქმნელად ყოველ **კოქტეილს მინი შოუსაც მოა-ყოლებენ.** იტევს **500 სტუმარს** და აქვს **240 დასა-ჯდომი ადგილი.**
გპირდებით, **შოუს დაწყებას ყველგან გაიგებთ,**



ბათუმში იქნებით თუ ქობულეთში, სარფში თუ გონიოში. თქვენი საუკეთესო დასვენებისა და **გა-რთობის დრო და ადგილი უცვლელია** - კლუბი "უფო," **Show time: 23:00; ჩვენი დევიზია:** საქარ-თველო ნარკოტიკის გარეშე! **აიწყვიტე უექსტა-ზოდ!** გაერთე, დალიე და იცეკვე მთელი ღამე შენ და არა შენმა ილუზიამ! ან განმარტოვდი საყვარ-ელ გოგონასთან ერთად **ჰამაკების კუნძულზე.** მოწიე **კუბური სიგარა,** მიირთვი **ცხელი შოკო-**



**ლადი** და **ყავა** და დალიე მხოლოდ **კონიაკი "სა-რაჯიშვილი".** თქვენი და თქვენი სტუმრის **უსა-ფრთხოება გარანტირებულია** კლუბში და მთელ მის მიმდებარე ტერიტორიაზე.
გალაქსი მიუზიქ ქლაბი **საუკეთესო ადგილია წვეულების მოსაწყობად.** შეიკრიბეთ, დაიქირა-ვეთ **"უფო"** და ჩაუშვით ღუზა იქ, სადაც მოისუ-რვებთ. **"უფო"-ს ყველგან შეუძლია გადაადგი-ლება** და საგანგებო სიტუაციებში, უმოკლეს დროში უზრუნველყოფს თქვენს დაბრუნებას ნა-პირზე. მას ყველგან **თან ახლავს რამდენიმე სკუტერი,** რომელთა საშუალებითაც **ნებისმიე-რი დანიშნულების პუნქტში უსწრაფესად გაჩ-ნდებით.** ის **ერთადერთია** მთელი **შავი ზღვის აკ-ვატორიაში** და ისიც თქვენია. **შესაძლებელია** მაგიდების წინასწარ დაჯავშნა. **"უფოს" გამოც-დილი კაპიტანი და ეკიპაჟი მართავს,** ხოლო მის **მენეჯმენტს "სანო" ჯგუფი ახორციელებს.**
**გახსოვდეთ -** გალაქსი მიუზიქ ქლაბი **თქვენი ზე-ციური სიამოვნებაა დედამიწაზე!**
**ბილეთის ფასი: 20 ლარი;**

**ბათუმის იახტ-კლუბის აკვატორია;**
**ტ.: 899 900 911, 899 945 950, 899 210 815; აქვს 200 მანქანაზე გათვლილი საკუთარი ავტოსადგომი.**

ის, რასაც ირჩ-ევთ დასვენები-სა და მყუდრო გარემოში დრო-ის გასატარებლ-ად. საუნდ **ბარი "მიო" მზადაა** ორგანიზება გა-უწიოს თქვენს წვეულებებს, მოგემსახუროთ ოფისებში (სა-დილი ადგილზე მიტანით), სამუ-შაო დღის შემდეგ კი **მოგიწყოთ საუკეთესო გა-რემო** დაღლილობის მოსახსნელად და განსატვი-რთად (სავარძელი-მასაჟორი). თუ ფეხბურთი გი-ყვართ, - **ნახეთ** სასურველი მატჩები ბარის დიდ მონიტორზე, თუ ეგზოტიკა გხიბლავთ, - **მოხერ-ხებულად მოკალათდით** და მოწიეთ ჩილიმი.
**ბარი მუშაობს** ბოლო სტუმრის გაცილებამდე;

**ალექსანდრე ყაზბეგის 12ა;**
**ტ.: (+ 995 32) 38 89 09.**

## მაღაზიები

### პარფიუმერია და კოსმეტიკა

მაღაზიათა ქსე-ლი გთავაზობთ: **Issey MIYAKE, Carolina HERRERA, DOLCE & GABBANA, Van Cleef, & Arpels, Cristian Dior, BVLGARI, ALEXANDER McQVEEN, YVES SANT LAURENT, JIL SANDER, ROCHAS, BOUCHERON, CHANEL, CERRUTI, Davidoff, VALENTINO, Jean Paul GAULTIER, ORLAN, LAGERFELD, Ermenegildo Zegna,TRUSSARDI, Calvin Klein, GF, GUCCI, JOOP, LANCASTER, Ghopard, dunhill, STELLA McCARTNEY, Lolita Lempika -** სა და სხვა ფირმების პარფიუმერიასა და კოსმეტიკას.
**სიახლე:** ვერსაჩეს სახლის მიერ შექმნილი **ბოლო სუნამო,** რომელიც 2006 წელს გამოვიდა - **VER-SACE MAN EAU FRAICHE.** თქვენს წინაშე კვლავ-აც **"ის"** არის - ძლიერი და **საკუთარ თავში დარწ-მუნებული** მამაკაცი - მოდური და მოხდენილი. საინტერესო, მაგრამ ამჯერად არა ექსცენტრიუ-ლი, **სექსუალური,** მაგრამ - ამჯერად არა ვულგა-რული. მისი **ბუნებრივი** შარმი და ელეგანტურობა მაგნიტივით მოქმედებს! ეს მამაკაცი სულით ძლიერია, **თავი-სუფალი** და კა-რგად იცის, რო-გორ დატკბეს ცხოვრებით. **VERSACE MAN EAU FRAICHE-**ის მერქნისებრ არომატს **მატო-ნიზირებელი**



თვისებები აქვს. ელეგანტურ, მაცდურ ფირუზის-ფრად მოელვარე ფლაკონს კი - გამომწვევი ფორ-მა. ის ბრენდის კლასიკურ ბოთლს მოგვაგონებს, ხოლო სქელი შუშა და მართკუთხა ფორმა მის მა-მაკაცურობას ხაზს უსვამს.

**ღიაა: 10:30-დან 20:00-მდე.**
**თბილისი:** რუსთაველის 1/34/42, ჭავ-ჭავაძის 11, ვაჟა-ფშაველას 20, დ.აღ-მაშენებლის გამზ. 83/114, გამსახურდიას 11, ხიზანიშვილის 6, ვეკუას 3 (სავაჭრო ცენტრი GTS), წერეთლის 69. **ქუთაისი** -თამარ მეფის 5. **ბათუმი** - კოსტავას 7.

## დელუქსი
## DELUXE

გთავაზობთ **ქალის ტანსაცმლის** ფართო არჩევ-ანს: თეთრეული, კაბები, ქვედაბოლოები, პიჯაკე-ბი, შარვლები, ბლუზკები, მაისურები, პერანგები, სარაფნები და ფეხსაცმელი; **აგრეთვე,** - ჩანთები ბიჟუტერია და სხვა აქსესუარები. **DELUXE-**ის **ზო-მიერი ფასები** და **მაღალი ხარისხის** პროდუქცია **ყველა ასაკის** ყველაზე **პრეტენზიულ** ქალბატო-ნებსაც კი დააკმაყოფილებს. თუ სიახლეს ეძებთ, გვესტუმრეთ, **ახალი** საზაფხულო კოლექცია და **სპეციალური ფასდაკლება** მუდმივი კლიენტები-სთვის სწორედ ისაა, რასაც თქვენ ეძებთ. ჩვენ ყვე-ლასთან მოვძებნით საერთო ენას. **მობრძანდით და თქვენც ჩვენი მუდმივი კლიენტი გახდებ-ით.მუშაობს ყოველდღე: 11:00-დან 20:00-მდე;**

**საბურთალოს 26;**
**ტ.: 38 08 44.**

### სერვისი

**თუ უცხოელ სტუმარს ელით,** მაგრამ შესაბამისი დრო არ გაქვთ და თანაც ენის ბარიერი ექსკურსიაზე მის წაყვანაში პრო-ბლემებს გიქმნით, ტურისტულ **სააგენტოს "ვიზით ჯორჯია" მიანდეთ მასპი-ნძლობა.** ჩვენი გულისხმიერი, რამდენიმე **უცხო ენაზე**(რუსული, ინგლისური, ფრანგუ-ლი, იტალიური, გერმანული, იაპონური) **მო-ლაპარაკე** კვალიფიციური თანამშრომლები და გიდები დაგეხმარებიან, სურვილის, ინტერესისა და შესაძლებლობისამებრ **შეურჩიოთ თქვენს სტუმარს მარშრუტი** ისე, რომ მოკლე დროშიც კი ბევრი საინტერესო რამის ნახვა მოასწროს. **ჩვენი შეთავაზება** იმდენად მრავალფეროვანია, რომ პრაქტიკულად ნებისმიერი, ყველაზე პრეტენზიუ-ლი სტუმრის მოთხოვნასაც კი დააკმაყოფილებს: ექსკურსია თბილისსა და შემოგარენში, კულტუ-რული, სამთო, ღვინის, გურმანთა ტურები; ჯიპ ტური მეტი ეგზოტიკისა და მაღალმთიანი ზონის მონახულების მსურველთათვის, კრუიზი შავ ზღვაზე, სასომხეთისა და აზერბაიჯანის მონახუ-ლება და სხვა. **აგრეთვე:** სააგენტო დაგიჯავშნით ნებისმიერ სასტუმროსა და ბილეთებს, სპეცია-ლურად თქვენთვის და თქვენი სტუმრებისთვის გაშლის სანაქებო ქართულ სუფრას და ცეცხლო-ვანი ქართული ცეკვების მთელ სილამაზეს გაგრ-ძნობინებთ. ესტუმრეთ "ვიზით ჯორჯიას" და ან-დეთ მას თქვენი სტუმარი თუ გსურთ, რომ ყველა მიხვდეს - **საქართველო უფრო მეტია, ვიდრე მორიგი დანიშნულების პუნქტი. მუშაობს:** 09:00-დან 18:00-მდე **(შაბათ-კვირის გარდა);**

**ნიშნიანიძის 14 (კოლმეურნეობის მოედანთან); ტ.: (995 32) 92 13 88, ფაქსი: (995 32) 99 68 29;**
**E-mail: visitgeorgia@gep.net.ge**
**www.visitgeorgia.ge**

**ჩვენი არჩეONE-ის იმპრესარიო მაია კაპანაძე**
**ინფორმაციისა და რეკლამის განსათავსებლად დარეკეთ:**
**☎ 899 95 57 67**